ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ახალი უნივერსიტეტი

18 მარტი, სამშაბათი, 2014 წ., №3

პრემიერი სტუდენტებს შეხვდა

მე-3,13 გვერდზე

ნოემერში

ახალი სემესტრი სტუდენტური პროტესტის გარეშე! 2

რექტორის სტიპენდიას მარიამ გულბანი მიიღებს 2

სტუდენტთა უმეტესობა პასიურობს, „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა" კი სტუდენტურ არჩევნებში მონაწილეობისთვის მზად არის 4

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს არჩეული დეკანი ჰყავს 13

სხვა გაზაფხული დაუდგა მიხეილ ქურდიანს...



18 მარტს ენათმეცნიერის, ლიტერატურათმცოდნის, პროფესორის, საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწის, პოეტისა და მწერლის მიხეილ ქურდიანის 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილ საღამოზე თსუ-ის რექტორი, აკადემიკოსი ვლადიმერ პაპავა მიხეილ ქურდიანის ოჯახს ივანე ჯავახიშვილის მედალს გადასცემს, რომელიც მიხეილ ქურდიანს ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის თსუ-ს აკადემიურმა საბჭომ 2014 წლის 10 თებერვალს მიანიჭა.

„სამწუხაროა, რომ ადამიანის 60 წლის იუბილე აღინიშნება და იგი ამ დროს ცოცხალი აღარ არის. მე უშუალოდ არ ვიცნობდი პროფესორ მიხეილ ქურდიანს, მაგრამ იგი ბევრს ახსოვს თავისი აქტიური პოზიციით 2004 წელს, როდესაც რექტორის არჩევნები გაიმართა. მაშინ უნივერსიტეტმა რექტორობის კანდიდატად რამდენიმე პიროვნება დაასახელა, მაგრამ მათ შორის ყველაზე გამორჩეული, სოლიდური და ღირსეული მიხეილ ქურდიანი გახლდათ. ვიცით შემდეგ, როგორც ჩატარდა არჩევნები... სამწუხაროდ, ის დამარცხდა და დამარცხდა არა მხოლოდ პროფესორი მიხეილ ქურდიანი, არამედ უნივერსიტეტიც. ხელისუფლების მიერ ჩანერგილ კაცთან დაპირისპირება, გუნებრივია, აღიქმებოდა დაპირისპირებად „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკის მიმართ და ამდენად, მიხეილ ქურდიანი ვერ იქნებოდა პოპულარული „ნაციონალური მოძრაობის" მმართველობის პერიოდში. მაგრამ დრო იცვლება... იმარჯვებს ყოველთვის სიმართლე! სამწუხაროა, რომ მიხეილ ქურდიანი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ მისი ბრძოლა უშედეგოდ ნამდვილად არ დასრულებულა. თუნდაც ის, რომ ჩვენ დღეს მის შესახებ ყველაფერზე ღიად ვსაუბრობთ, საკმარისია ვთქვათ: ხანდახან, შეიძლება, ხელისუფლება უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე უნივერსიტეტი, მაგრამ არც უნივერსიტეტი ყოფილა მუდამ მორჩილი ხელისუფლებისა. და ამას ჩვენ მომავალ თაობებს მიხეილ ქურდიანის მაგალითითაც კარგად ავუხსნით", — განაცხადა ვლადიმერ პაპავამ.

მიხეილ ქურდიანის ხსოვნის აღსანიშნავად გაიმართება მისი ცხოვრებისა და მრავალმხრივი მოღვაწეობის ამსახველი ფილმის — „როცა კაცს უყვარს..." (ავტორი: ჟურნალისტი ნინო კაკულია) ჩვენება. ღონისძიების ბოლოს მოეწყობა მიხეილ ქურდიანის ლექსების, პოემებისა და წერილების ახალი კრებულის — „მარადიული სრბოლის ხმაურში" პრეზენტაცია, რომელშიც ასახულია პოეტის ძველი და ახალი შემოქმედება.

ღონისძიების ორგანიზატორი და საინფორმაციო მხარდამჭერია თსუ-ის გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის" რედაქცია და საზოგადოებრივი მაუწყებელი.

მიხეილ ქურდიანის 60 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საგაზეთო ჩანართი

„ამ ერთი კაცის ბიოგრაფიაც კმარა ქვეყნის მმართველთა პოლიტიკის გასაშიშვლებლად" — მიხეილ ქურდიანის ბიოგრაფიული შტრიხები — გვ. 5

მიხეილ ქურდიანი — ივანე ჯავახიშვილისა და არნოლდ ჩიქობავას მოწაფეთა მოწაფე — გვ. 6

ყველაფერი გააკეთეს, რომ მიხეილ ქურდიანი რექტორი არ გამხდარიყო — გვ. 9

„დედის დღის" დაწესების ინიციატორი — გვ. 10

ორი ბედნიერება — გვ. 12

სულიერებით გამორჩეული — გვ. 12

ავთანდილ არაბული:

„ყველა ეპოქას ჰყავს დაკარგული თაობები, მაგრამ მით უფრო მეტი თაობა ინთქმება ათასწლეულთა დარანებში, რაც უფრო დიდი ძნელბედობა უდგას ქვეყანას. მიხეილ ქურდიანი ერთერთი დაკარგული თაობის ვარსკვლავი იყო, ის ვარსკვლავი, რომლის მოვლენამაც შეიძლება საერთოდ გაამართლოს ამ თაობის არსებობა ისტორიაში".

როლანდ თოფჩიშვილი:

„საქართველოს ვერც ერთი ხელისუფლება რატომღაც ვერ ამჩნევდა მის ნიჭიერებას, საოცარ განსწავლულობას, ორგანიზატორულ უნარს. ალბათ მისი ნიჭიერება სერიოზული შიშის საფუძველს იძლეოდა სხვათა დასაჩრდილად".

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲔᲛᲔᲡᲢᲠᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ!

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲑᲐᲖᲐᲛ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲠᲔ�გᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲐᲓ ᲘᲛᲣᲨᲐᲕᲐ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

თსუ-ში მიმდინარე წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური რეგისტრაცია დასრულდა და, რამდენიმე წლის შემდეგ, პირველად, სოციალურ ქსელში სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონულ ბაზასთან დაკავშირებით სტუდენტების პოზიტიური კომენტარები გამოჩნდა:

„ყოჩაღ თსუ!“

„ამ სემესტრში რეგისტრაციით კმაყოფილი ვარ. დასაფასებელია ყველა იმ ადამიანის შრომა, რომელთა წყალობით რეგისტრაციის პროცესი გამართულად წარიმართა“.

„მთავარი არის, რომ მდგომარეობა გამოსწორდა, ბევრად გაუმჯობესდა და სტუდენტთა უმრავლესობა კმაყოფილია... მესმის მათიც, ვინც ვერ მოასწრო საგნის არჩევა, მაგრამ სად — როცა ყველა უკმაყოფილო იყო და სად — როდესაც უკმაყოფილოთა რაოდენობა მინიმუმამდეა დაყვანილი... საბოლოოდ, არ მგონია, რომ ვინმე უსაგნოდ დარჩეს და 2-3 საგნით ამთავრებდეს სემესტრს... საქმე იმაშია, რომ ყველას გვინდა „განსაკუთრებული“ საგნების, დღეების, დროისა და ლექტორების არჩევა. ეს კი ყოველთვის ვერ მოხერხდება“.

„ამ სემესტრში ბაზა ყველაზე გამართული იყო. ტუტორებს და ყველას, ვინც ამისთვის მუშაობდა, მადლობა ეკუთვნით“.

სასწავლო პროცესების მართვის ელექტრონულ ბაზაში აკადემიური რეგისტრაციის პროცესის ტექნიკური ხარვეზების გარეშე წარმართვისთვის, თსუ-ის ადმინისტრაციის მხრიდან მთელი რიგი სამუშაოები ჩატარდა. ბაზის ოპტიმიზაცია საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის ძალისხმევით და შესაბამისი სპეციალისტების კონსულტაციების გათვალისწინებით განხორციელდა.

„რეალურად ყველა მობილიზებული ვიყავით. აკადემიური რეგისტრაციის პროცესში ბაზის გაუმართაობის გამო შეფერხებები არ დაფიქსირებულა. მიმაჩნია, რომ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია. უკვე გამზადებული გვაქვს სასწავლო პროცესების მართვის ახალი ბაზა, რომელიც სასწავლო კურსის დაგეგმვის კუთხით გაცილებით მოქნილი იქნება. მას დამატებული აქვს საგამოცდო ცენტრის მოდულიც. ყველა სტრუქტურული ერთეული მისთვის საჭირო ინფორმაციას საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტისგან დამოუკიდებლად მიიღებს. ახალი ბაზა გვაძლევს შესაძლებლობას — წინასწარი რეგისტრაცია, უკვე დაგეგმილი სახით, ისე ჩატარდეს, რომ სისტემაში ხარვეზები არ იყოს. ასევე გვექნება შესაძლებლობა, ყველა ტიპის გამოკითხვები ჩავატაროთ, რაც შეიძლება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დასჭირდეს, განვახორციელოთ სხვადასხვა ანალიტიკური სამუშაოები, მაგალითად, მივიღოთ ინფორმაცია დატვირთვების, ცხრილების ოპტიმალურად განაწილების შესახებ და ა.შ. გარდა ამისა, ახალ ბაზას პირდაპირ რეჟიმში მიებმება თსუ-ის აკადემიური პერსონალის მონაცემები და ერთიანი ეროვნული გამოცდების ცენტრის ბაზაც“, — განაცხადა თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსმა ტარიელ ზარანდიამ.

სასწავლო პროცესების მართვის ახალი ბაზის საცდელი ვერსია, ამჟამად მოქმედი ბაზის პარალელურად, მიმდინარე სემესტრის პირველი „შუალედურებისთვის” ამოქმედდება. ამ დროისთვის ახალ ბაზაში უკვე გადატანილი იქნება ძველ ბაზაში არსებული ინფორმაცია. საცდელი ვერსიის ამოქმედება კი სტუდენტებს საშუალებას მისცემს, აღნიშნული ინფორმაცია გადაამოწმონ და შეცდომის აღმოჩენის შემთხვევაში საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტმენტს დაუკავშირდნენ. მათ, ასევე, შეეძლებათ ახალი ბაზის შესახებ დეპარტამენტის სპეციალისტებს კითხვები დაუსვან. თსუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტი ახალი ბაზის სრულყოფილად ამუშავებას მიმდინარე წლის შემოდგომის სემესტრიდან გეგმავს.

ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲐᲞᲐᲕᲐ, ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ:

„ამ ბოლო წლებში აკადემიურ რეგისტრაციასთან დაკავშირებით მძიმე მდგომარეობა იყო, რადგან სტუდენტებს უჭირდათ საგნების სრულფასოვნად არჩევა, ძირითადად, ბაზების სისტემური გაუმართაობის გამო, რაც სტუდენტების მხრიდან ობიექტური პროტესტის საფუძველი გახლდათ. ჩვენ სპეციალურად გავწიეთ სამუშაოები: გადავახალისეთ IT დეპარტამენტის შემადგენლობა, რომელსაც ახალი ხელმძღვანელი ჰყავს და ამ საქმეში გარკვეული ინვესტიცია ჩავდეთ. მივაღწიეთ საინტერესო შედეგს — როცა სისტემის ყველაზე პიკური დატვირთვა იყო, ანუ როცა ყველაზე მეტი სტუდენტი შევიდა ბაზაში, ჩვენი ახალი სერვერის რესურსის მხოლოდ 15% გამოიყენებოდა.

შემდეგი ნაბიჯი, რაც ჩაფიქრებული გვაქვს, არის ის, რომ უკვე ზაფხულისთვის მოვაწესრიგოთ ქსელები, რათა ახალი სასწავლო წლის დაწყებისთვის მცირედი ხარვეზიც აღარ არსებობდეს.

მოკლედ, შემიძლია გითხრათ, რომ აკადემიური რეგისტრაცია ყოველგვარი ზედმეტი აჟიოტაჟის გარეშე დასრულდა. წინასწარი რეგისტრაციის გამოცდილებას, რასაც ამ სემესტრში მივმართეთ, შევისწავლით და შეიძლება ეს ხერხი ყველა ფაკულტეტზე დავნერგოთ. თუმცა ამაზე სასაუბროდ ჯერ მზად არ ვარ, რადგან სემესტრი ახალი დაწყებულია და წინასწარი რეგისტრაციის გამოცდილების დეტალურ გაანალიზებას ახლა ვცდილობთ.



ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲢᲘᲞᲔᲜᲓᲘᲐᲡ ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲒᲣᲚᲑᲐᲜᲘ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲡ

15 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პირველი რექტორის სტიპედიანტი გამოვლინდა. ამ საპატიო ჯილდოს 2014 წლის ზაფხულის სემესტრის მანძილზე თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ეკოლოგიის მიმართულების სტუდენტი მარიამ გულბიანი მიიღებს.

საზეიმო ღონისძიებას თსუ-ის რექტორი ვლადიმერ პაპავა, თსუ „რექტორის სტიპენდიის“ მიმნიჭებელი კომისიის თავმჯდომარე, რექტორის მოადგილე ლევან ალექსიძე, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი რამაზ ბოჭორიშვილი და თსუ-ის პედაგოგები და სტუმრები დაესწრნენ, რომლებმაც რექტორის სტიპენდიის მნიშვნელობაზე ისაუბრეს.

„თავისთავად სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ პირველად უნივერსიტეტის ისტორიაში დაწესდა რექტორის სტიპენდია. კომისიამ, რომელიც ძირითადად თსუ-ის დეკანებით იყო დაკომპლექტებული, დიდხანს იმსჯელა და საუკეთესოთა შორის საუკეთესო შეარჩია. მინდა, მარიამს ეს საპატიო ჯილდო მივულოცო და წარმატებები ვუსურვო. იმედი გვაქვს, მომავალში ეს დიდი სტიმული იქნება სხვა სტუდენტებისთვისაც“, — განაცხადა ლევან ალექსიძემ.

„რექტორის სტიპენდია სხვა სახელობითი სტიპენდიებისგან განსხვავებით იმითიც არის გამორჩეული, რომ მის მოპოვებას მთელი უნივერსიტეტის სტუდენტობა ცდილობს. ჩვენთვის დიდი პატივია, რომ პირველი სტიპენდია ჩვენი ფაკულტეტის სტუდენტმა მოიპოვა. მინდა მადლობა გადავუხადო ბატონ ლადო პაპავას ამ ინიციატივისთვის და წარმატებები ვუსურვო მარიამს“, — აღნიშნა რამაზ ბოჭორიშვილმა.

„ჩვენთვის, ისტორიულად პირველი უნივერსიტეტისთვის და გამორჩეული უმაღლესი სასწავლებლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ახალგაზრდები იყვნენ ორიენტირებულნი სწავლაზე და კარგი განათლების მიღებაზე, რათა მომავალში ისინი მაღალი დონის პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ, ამ თვალსაზრისით მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება რექტორის სტიპენდიის გაცემის თაობაზე და მიხარია, რომ დღეს პირველ გამარჯვებულს ვაჯილდოვებთ. მარიამს პირველი სტიპენდია უკვე ჩაერიცხა და მას შეუძლია გამოიყენოს ეს თანხა თავისი სურვილის მიხედვით“, — განაცხადა ლადო პაპავამ.

მარიამ გულბიანმა თსუ-ის რექტორს, კომისიის წევრებსა და თავის პედაგოგებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ რექტორის სტიპენდია განსაკუთრებით საპატიოა ყველა სტუდენტისთვის.

აღსანიშნავია, რომ თსუ-ის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით, 2013-2014 სასწავლო წლიდან, ყოველ სემესტრში სპეციალური კომისიის მიერ შეირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრების ბაკალავრიატის სტუდენტი, რომელიც რექტორის ხელფასიდან ერთი სემესტრის განმავლობაში ყოველთვიურ სტიპენდიას — 250 ლარს მიიღებს.

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲐᲞᲐᲕᲐ, ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ:

მინდა, უნივერსიტეტის საზოგადოებას ვამცნო ერთი კარგი ამბავი: იმისთვის, რომ მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტებს სრულფასოვანი განათლება მივცეთ, უნივერსიტეტს აუცილებლად სჭირდება საუნივერსიტეტო კლინიკა. სულ ცოტა ხნის წინ ხელი მოეწერა ჩაფიძის კლინიკასთან ურთიერთთანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას, რაც ჩვენი გაზეთის ფურცლებზეც გაშუქდა, მაგრამ, აქამდე, უშუალოდ საუნივერსიტეტო კლინიკა არ გვქონია. მინდა, მადლობა გადავუხადო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და კულტურის სამინისტროს, რომელმაც უნივერსიტეტის სასარგებლოდ თბილისში ერთერთი კლინიკის შენობა დათმო, ხოლო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ ეს შენობა ჩვენ გადმოგვცა და დღეს იგი უკვე ჩვენს ბალანსზეა. ასე რომ, შენობა უკვე გვაქვს. ამჟამად ჩვენი მედიცინის ფაკულტეტის თანამშრომლები ასრულებენ მუშაობას იმ დოკუმენტზე, რომლის მიხედვითაც უნდა წარვდგეთ ჯანდაცვის სამინისტროში, რათა მოვიპოვოთ ლიცენზია და გავხსნათ კლინიკა. ამას გარკვეული ინვესტირება დასჭირდება. სამწუხაროდ, ჩვენ ამის ფული არ გვაქვს, თუმცა გამოჩნდნენ სპონსორები, რომლებიც ამ საქმეში დაგვეხმარებიან და, სავარაუდოდ, უნივერსიტეტს, არც თუ შორეულ პერსპექტივაში, ექნება თავისი საუნივერსიტეტო კლინიკა, რომელიც დიდი შენაძენი იქნება ჩვენი მედიცინის ფაკულტეტისთვის და განსაკუთრებით სტუდენტებისთვის, რომლებიც ამ კლინიკაში შესაბამის მომზადებას გაივლიან.

პრემიერი სტუდენტებს შეხვდა

13 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა სტუდენტებთან შეხვედრა გამართა. ეს იყო პირველი უშუალო ურთიერთობა სტუდენტობასთან და, როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, ამისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შემთხვევით არ არჩეულა – მან სწორედ ამ უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი დაამთავრა 2004 წელს. ერთი წლის შემდეგ აქვე მიიღო მაგისტრის ხარისხი საერთაშორისო ურთიერთობებში.

პრემიერ-მინისტრის გამოსვლამდე უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ ისაუბრა იმის შესახებ, თუ როგორ შეირჩა სტუდენტები, რომლებიც შეხვედრას ესწრებოდნენ. „უნივერსიტეტში 22 000 სტუდენტი სწავლობს. ბუნებრივია, ყველა ვერ მოხვდებოდა ამ დარბაზში, ამიტომ მივმართეთ ფაკულტეტებს და მიმართულებებს — აერჩიათ აქტიური სტუდენტები, რომლებსაც შეეძლებოდათ მათთვის საინტერესო კითხვები დაესვათ. ასევე გავითვალისწინეთ ის სტუდენტური ორგანიზაციები, რომლებიც უნივერსიტეტშია შექმნილი. შერჩევის სხვა კრიტერიუმი არ ყოფილა“, — აღნიშნა მან.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თავისი გამოსვლა დაიწყო იმის აღნიშვნით, რომ სტუდენტობასთან შეხვედრა ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენლისთვის საპასუხისმგებლო და ანგარიშგასაწევია, რადგან ახალგაზრდები საზოგადოებრივად ყველაზე აქტიური ადამიანები არიან და „სამართლიანობის განცდა, ინტერესი, კრიტიკული აზროვნება, უკომპრომისობა ყველაზე მეტად მათ ახასიათებთ“. „თქვენი აქ მოსვლა არავითარ პოლიტიკურ ინტერესებს არ ემსახურება. დამთავრდა ის დრო, როცა „სხვები“ წყვეტდნენ, ვინ სად წასულიყო და რა ეთქვა. ისინი მათ დავალებებს ასრულებდნენ და ყველამ ვიცით, როგორ ძალადობდნენ იმ სტუდენტებზე, რომლებსაც განსხვავებული აზრი ჰქონდათ. დღეს სიტუაცია რადიკალურად შეცვლილია. ყველას შეუძლია გამოთქვას თავისი აზრი, თუნდაც ყველაზე კრიტიკული. თავისუფლება არის ჩვენი ხალხის მთავარი მონაპოვარი. ჩვენ აღარ დავუშვებთ სტუდენტების პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენებას“, — მიმართა დარბაზს ირაკლი ღარიბაშვილმა.

ნახევარსაათიან გამოსვლაში, რაც წინ უძღოდა სტუდენტების კითხვებზე პასუხს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა რამდენიმე აქტუალურ საკითხზე გაამახვილა ყურადღება. მათ შორის, მიმოიხილა მისი ოფიციალური ვიზიტი ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ ამერიკის მთავრობა, და პირადად პრეზიდენტი ბარაკ ობამა, სრულ მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს ხელისუფლებას და ქართველ ხალხს. „ამ ვიზიტისას ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები დარწმუნდნენ, რომ საქართველოს ჰყავს ხელისუფლება, რომლის სრული ნდობაც შეიძლება ჰქონდეთ. ჩვენს ქვეყანას ისინი უყურებენ როგორც საიმედო პარტნიორსა და ერთგულ მეგობარს. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩვენ მივიღეთ დაპირება, რომ დაგვეხმარებიან ყველა მიმართულებით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენით დაწყებული ეკონომიკური დახმარებით დამთავრებული, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენთვის“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

პრემიერ-მინისტრმა თავის გამოსვლაში კიდევ ერთხელ დაადასტურა მხარდაჭერა უკრაინელი ხალხისადმი. „ჩვენ მხარს ვუჭერთ უკრაინელი ხალხის გადაწყვეტილებას და პატივს ვცემთ მათ არჩევანს — ააშენონ ევროპული, დემოკრატიული ქვეყანა. ჩვენ ვგმობთ სახელმწიფო სუვერენიტეტის ნებისმიერ ხელყოფას. ეს არის ჩვენი პოზიცია — მეგობარი ქვეყნის პოზიცია და არ ვაპირებ, ვინმეს გავეჯიბრო მყვირალა განცხადებების კეთებაში“, — განაცხადა მან.

ირაკლი ღარიბაშვილმა ასევე მოკლედ მიმოიხილა ხელისუფლების მიერ გაწეული სამუშაოები. მისი თქმით, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ სასამართლო ხელისუფლება და მედია დამოუკიდებელი გახდა, მიღწევებია ადამიანის უფლებებისა და კერძო საკუთრების დაცვის სფეროში. „ჩვენ დავიწყეთ ფართომასშტაბიანი რეფორმები ჯანდაცვისა და სოციალურ სფეროებში, შარშან განვახორციელეთ უპრეცედენტო პროგრამა სოფლის მეურნეობაში და ეს წელსაც გრძელდება. უკვე გვაქვს ძალიან მნიშვნელოვანი შედეგები. თუმცა, ჩვენი გაკეთებული საქმით არ ვტრაბახობთ, არ ვთვლით საჭიროდ ყოველ წუთს შევახსენოთ და გამუდმებით ამაზე ველაპარაკოთ ხალხს. კარგად ვიცით, რამხელა მოლოდინია საზოგადოებაში ჩვენი პოლიტიკური გუნდის მიმართ. ჩვენ ვიკისრეთ ეს პასუხისმგებლობა და, დამერწმუნეთ, ყველაფერს ვაკეთებთ, რომ ეს მოლოდინი გავამართლოთ“, — განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

პრემიერის ინიციატივები განათლების სფეროში

პრემიერის გამოსვლაში განსაკუთრებით საინტერესო იყო ის ინიციატივები, რომლის გატარებაც განათლების სფეროშია დაგეგმილი. უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრაზე ასეთი ოთხი ინიციატივა გახმიანდა. კერძოდ: პრემიერ-მინისტრის თქმით, დაგეგმილია შეიქმნას საერთაშორისო განათლების ცენტრი, რომლის მიხედვითაც მოხდება ყველა ფინანსური რესურსის აკუმულირება და საერთაშორისო და დონორი ორგანიზაციების რესურსების კონსოლიდაცია. „ცენტრი განახორციელებს იმ პროექტებს, რომელთაც აქამდე განათლების სამინისტრო ახორციელებდა — სახელმწიფო დააფინანსებს საზღვარგარეთ პროფესიული ცოდნის ამაღლების მსურველებს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებზე სწავლისთვის. პირველ რიგში დაფინანსდება ის მიმართულებები, რომლის დეფიციტიც დღეს ჩვენს ქვეყანაშია. მაგალითად, საჯარო სექტორში უკვე

დაწყებულია კვლევები იმის გამოსავლენად, თუ რა მიმართულების სპეციალისტები ესაჭიროება საჯარო სექტორს დღეს ყველაზე მეტად“, — განაცხადა პრემიერმა და იქვე დასძინა, რომ ამ პროექტში ჩადებული იქნება პირობა, რომლის მიხედვითაც საზღვარგარეთ სწავლის შემდეგ სპეციალისტები დაბრუნდებიან საქართველოში და ჩაერთვებიან სახელმწიფოს საქმიანობაში. ცენტრი ხელს შეუწყობს საქართველოში დაბრუნებული სპეციალისტების დასაქმებას. მან ასევე ხაზი გაუსვა ტექნიკური სასწავლებლებისა და პროფესიული სასწავლებლების გახსნის აუცილებლობას.

მეორე მნიშვნელოვანი ინიციატივა, რომელიც ირაკლი ღარიბაშვილმა აუდიტორიას გააცნო, შეეხებოდა „სტუდ-ქალაქის“ აშენებას რეგიონებიდან ჩამოსული სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის. „ჩვენ გვესმის, რომ ეს წლების განმავლობაში წარმოადგენდა გადაუდებელ საჭიროებას. საერთო საცხოვრებელი იქნება აღჭურვილი ყველა საჭირო ინვენტარით და შექმნილი იქნება ყველა აუცილებელი პირობა, რათა სტუდენტებს საკუთარი ნიჭის რეალიზაციის საშუალება ჰქონდეთ“, — აღინიშნა გამოსვლაში.

სტუდენტები განსაკუთრებული ინტერესით შეხვდნენ მორიგ ინიციატივას, რომელიც შეეხებოდა წარჩინებულ სტუდენტთა დასაქმების პერსპექტივის გაზრდას. კერძოდ, პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ იწყება საჯარო სტრუქტურების რეფორმირების პროცესი, რაშიც აქტიურად იქნება ჩართული სტუდენტობა. მისი თქმით, „წარჩინებულ სტუდენტებს საშუალება ექნებათ 6 თვის განმავლობაში იმუშაონ სახელმწიფო სტრუქტურებში. სტაჟიორების აყვანა მოხდება აკადემიური მოსწრებისა და რიგითობის მიხედვით. სტაჟირების წარმატებით დასრულების შემდეგ სტაჟიორი მიიღებს სათანადო სერტიფიკატს“.

„ახალი თაობის იდეა პრემიერს“

შეხვედრაზე ცნობილი გახდა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური გვერდისთვის შეიქმნა სპეციალური აპლიკაცია — „ახალი თაობის იდეა პრემიერს“, რომელზეც სტუდენტობას უშუალოდ ექნება საშუალება, დაუკავშირდეს მას და მიიღოს პასუხები მისთვის საინტერესო კითხვებსა და პრობლემებზე. „მიუხედავად იმისა, რომ გადატვირთული გრაფიკი მაქვს, მაინც მოვახერხებ, გავეცნო თქვენს მოსაზრებებს, თქვენს იდეებს და მქონდეს თქვენთან კომუნიკაცია. მოგიწოდებთ, რომ იაქტიუროთ! მერწმუნეთ, რომ ჩემი და ჩვენი პოლიტიკური გუნდის საქმიანობაში თქვენი მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია. გვერდი ხვალიდან ამოქმედდება“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა და გამოსვლის დასასრულს, სტუდენტებს მოუწოდა, ღიად დაესვათ ყველა ის კითხვა, რაც აწუხებთ.

პრემიერმა სტუდენტთა კითხვებს უპასუხა

შეხვედრის მეორე ნაწილი ინტერაქტიულ რეჟიმში წარიმართა. პრემიერ-მინისტრი, დაახლოებით, საათნახევრის განმავლობაში პასუხობდა სტუდენტთა კითხვებს.

განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახლდათ სამეცნიერო კვლევებისა და დოქტორანტთა ხელშეწყობის საკითხები.

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტი თათია მთვარელიძე დაინტერესდა, რა გეგმები აქვს ხელისუფლებას ახალგაზრდა მეცნიერთა დასაქმების თვალსაზრისით, აქვს თუ არა ქვეყანას პოსტსადოქტორო კველევის დაფინანსების პროგრამა და შეძლებს თუ არა საქართველო, გახდეს მიმღები ქვეყანა უცხოელი სტუდენტებისთვის — დააფინანსებს თუ არა მათ სწავლას საქართველო? ამავე საკითხებს ეხებოდა მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტისა და გეოგრაფიის მიმართულების დოქტორანტის შეკითხვები. ასევე დოქტორანტმა ვახტანგ ჭარაიამ კი სტატუსშეჩერებული დოქტორანტების საკითხი დასვა და დაინტერესდა, რამდენად არის შესაძლებელი ამგვარი პრობლემების მქონე სტუდენტების დახმარება.

პრემიერ-მინისტრმა ამ საკითხებზე საუბრისას განაცხადა, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა ხელშეწყობა არის ხელისუფლების ერთერთი პრიორიტეტი. მისი თქმით, უახლოეს მომავალში დაგეგმილია შეხვედრები მათთან და პრობლემების შესწავლის შემდეგ გამოინახება გზა, რომლითაც მოხდება კონკრეტული მიმართულებებით პროგრამების განხორციელება. „რაც შეეხება იმას, სთავაზობს თუ არა საქართველო უცხოელებს განათლების მიღებას საქართველოში სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე, ვფიქრობ, ამის ფუფუნება ჩვენს ქვეყანას ჯერ არ აქვს. მე მირჩევნია, პირველ რიგში ჩვენი ქვეყნის მოქალაქე დავაფინანსოთ. ამ ეტაპზე უცხოელებს აქვთ საშუალება, მიიღონ განათლება საქართველოში, მაგრამ არა სახელმწიფო დაფინანსების ხარჯზე“, — აღნიშნა მან.

რაც შეეხება ახალგაზრდა მეცნიერთა სადოქტორო კვლევების დაფინანსებას, პრემიერ-მინისტრის თქმით, ამის საშუალება ქვეყანას ჯერ არ აქვს, მაგრამ თუ რომელიმე დოქტორანტს სურს ცოდნის სრულყოფა უცხოეთში, მისი დაფინანსება შესაძლებელი იქნება ახლად შექმნილი ცენტრის საშუალებით.

ამავე საკითხზე მოსაზრება გამოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა ვლადიმერ პაპავამ, რომელმაც განაცხადა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით, წარმატებულმა დოქტორანტმა შესაძლოა მიიღოს დაფინანსება 21 000 ლარის ფარგლებში. „ეს კონკურსები უკვე ჩატარდა გასული წლის ბოლოს და ჩვენი უნივერსიტეტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ყველაზე მეტი გრანტი მიიღეს ჩვენმა დოქტორანტებმა. ასევე უნდა ვთქვათ, რომ პოსტდოქტორანტურის შესახებ ჩვენ უკვე განვახორციელეთ ინიციატივა. გვაქვს დებულება, რის საფუძველზეც შემოდგომაზე გამოცხადდება კონკურსი თსუ-ის პოსტდოქტორანტურის ინსტიტუტში, სადაც მაქსიმუმ 12 დოქტორანტს უნივერსიტეტი დააფინანსებს“, — აღნიშნა რექტორმა.

ახალგაზრდა მეცნიერთა დასაქმების შესახებ პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ ეს პრობლემა მისთვის ცნობილია, თუმცა ანალოგიური პრობლემაა სხვა სფეროებშიც. „ამ ეტაპზე ჩვენი მთავარი გამოწვევა არის ეკონომიკის განვითარება. თუ არ დავიწყეთ რეგიონებში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, ისე ძნელი იქნება ამ პრობლემების მოგვარება. რეგიონული განვითარების სამინისტრო უკვე მუშაობს რეგიონული განვითარების სამოქმედო გეგმაზე, რის საფუძველზეც დავიწყებთ ადგილობრივი წარმოების განვითარებას და წახალისებას. რაც შეეხება თქვენ მიერ დასმულ საკითხს, როგორც აღვნიშნე, უახლოეს მომავალში ვაპირებ, შევხვდე ახალგაზრდა მეცნიერებს, რათა მოვისმინო მათი პრობლემები. ამ ეტაპზე არასწორი იქნება პირდაპირ პასუხის გაცემა. გპირდებით, შევისწავლი ამ საკითხს და პრობლემის გადაჭრის გზებსაც შემოგთავაზებთ“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომელიც ასევე დაჰპირდა სტუდენტებს, შეისწავლოს სტატუსშეჩერებული დოქტორანტების საკითხი და შესაძლებლობის ფარგლებში დაეხმაროს მათ.

საინტერესო ინიციატივა გაახმოვანა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტმა ნინო აბესაძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ სახელმწიფო შეიმუშავებს პროგრამას კონფლიქტური რეგიონებიდან ახალგაზრდა მკვლევრების ჩამოყვანის შესახებ, რაც მათთან ინტეგრაციასაც შეუწყობს ხელს.

უნივერსიტეტისთვის ყველაზე მტკივნეულ თემას – სახელმწიფო დაფინანსებას შეეხებოდა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტის ლევან ლორთქიფანიძის კითხვა. კერძოდ, იგი დაინტერესდა, არის თუ არა მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული უნივერსიტეტების პირდაპირი დაფინანსება. „ნორმალური ევროპული ტიპის უნივერსიტეტი არ არსებობს პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების გარეშე. 2014 წლის ბიუჯეტში არც ჩვენი და არც სხვა სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსების თანხები არ არის გათვალისწინებული. დღეს ჩვენი უნივერსიტეტი არის ყველაზე ღარიბი აღმოსავლეთ ევროპის დიდ უნივერსიტეტებს შორის. თუ თქვენ ბიუჯეტის ნაკლებობაზე საუბრობთ, გთავაზობთ – მოაკელით თანხები თქვენი ყოფილი სამინისტროს ბიუჯეტს, მხედველობაში მაქვს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელიც განსაკუთრებით დიდ თანხებს ხარჯავს და დააფინანსეთ პირდაპირი დაფინანსების წესით საუნივერსიტეტო დაწესებულებები, რათა ჩვენ გვქონდეს სამეცნიერო-კვლევითი პრაქტიკის განხორციელების შესაძლებლობა“, — განაცხადა ლევან ლორთქიფანიძემ.

პრემიერ-მინისტრი არ დაეთანხმა მოსაზრებას, რომ რომელიმე სამინისტროს, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტროს, მოაკლდეს ბიუჯეტი და ამ თანხით უნივერსიტეტი დაფინანსდეს. „ეს ასე მარტივად არ გამოვა. გეთანხმებით, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მონსტრია, მაგრამ აქ მუშაობს ხალხი, რომელიც იცავს ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოებას. სახელმწიფოს აქვს თავისი პრიორიტეტები, რისი გათვალისწინებაც გვიწევს. საქართველოში არსებულ პრობლემებს ჩვენ კარგად ვიცნობთ, რადგან მძიმე მემკვიდრეობა გვერგო, თუმცა ნურავის ექნება ილუზია, რომ ამ პრობლემების გადაჭრა ერთ დღეში მოხდება. ის, რომ უნივერსიტეტს სჭირდება მეტი დაფინანსება, უდავოა, მაგრამ როგორ ფიქრობთ, სახელმწიფოს აქვს ამის საშუალება და არ აკეთებს? მე არ მივეკუთვნები იმ პოლიტიკოსთა რიცხვს, რომლებიც პოპულისტურ განცხადებებს აკეთებენ. მე მირჩევნია, ჯერ გავაკეთო და გაკეთებულმა საქმემ ილაპარაკოს ჩვენზე“, — აღნიშნა მან.

ეკონომისტმა ირაკლი მურცხვალაძემ პრემიერ-მინისტრის წინაშე პროფესიონალი კადრების დასაქმების აუცილებლობის საკითხი დააყენა. „თქვენ აღნიშნეთ, რომ ძალიან ბევრი ახალგაზრდა მეცნიერი მიდის უცხოეთში და უკან აღარ ბრუნდება. ასევე აღნიშნეთ, რომ არ გვყავს სპეციალისტები. მე რატომღაც მგონია, რომ სპეციალისტები კი გვყავს, მაგრამ იმ უწყებებში არ გვყავს, სადაც გვჭირდება. სხვადასხვა სამინისტროები გადაჭედილია ყავის მომდუღებლებით და არაფრის გამკეთებლებით, მაშინ, როცა ასეთი ნიჭიერი ახალგაზრდები, როგორებიც თუნდაც ამ დარბაზში სხედან, სამსახურს ვერ შოულობენ. მაგალითისთვის, დაინტერესდით ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში რამდენია ეკონომისტი და რამდენი – არაეკონომისტი. ცხადია, ეს ყველაზე არ ითქმის, მაგრამ თუ ამას არ ეშველა, განათლებას, პროფესიის დაუფლებას აზრი ეკარგება...“ — აღნიშნა მან, რაზეც პრემიერ-მინისტრმა უპასუხა, რომ საკითხი აქტუალური და მტკივნეულია და რომ მისი მოგვარების პროგრამა უკვე არსებობს. „მეც ძალიან მაწუხებს ეს საკითხი, რადგან თავადაც სანთლით ვეძებთ კვალიფიციურ კადრებს, რომელთა დეფიციტიცაა საქართველოში. ჩვენ დავიწყეთ საჯარო სამსახურის რეფორმა. შინაგან საქმეთა მინისტრად მუშაობის პერიოდში მე გამოვაცხადე კონკურსი, რომელშიც, დაახლოებით, 500-მა სტუდენტმა მიიღო მონაწილეობა. აქედან 130 შევარჩიეთ. ნაწილი ავიყვანეთ შტატში, ნაწილმა სტაჟირება გაიარა სამინისტროში. ამგვარი მეთოდი არის ერთ-ერთი საშუალება ნიჭიერი ახალგაზრდების საჯარო სამსახურებში მოზიდვისა და არაკომპეტენტური პირების ახალგაზრდა ნიჭიერი კადრებით ჩანაცვლებისა. ამას სჭირდება თანმიმდევრულობა. ჩანაცვლება უნდა მოხდეს ეტაპობრივად. როცა ნიჭიერი ახალგაზრდა მივა საჯარო სამსახურში, მას კონკურენციას ვერ გაუწევენ არაკომპეტენტური კადრები“, — ითქვა პრემიერ-მინისტრის პასუხში.

სტუდენტები ასევე დაინტერესდნენ საყდრისის მაღაროს, როგორც კულტურული

მე-13 გვერდზე

სტუდენტთა უმეტესობა პასიურობს, „ერთიანი სტუდენტური მოძრაობა" კი სტუდენტურ არჩევნებში მონაწილეობისთვის მზად არის

ნათო ობოლაძე

ნელს, გაზაფხულზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები გაიმართება. სტუდენტების ნაწილს მიაჩნია, რომ უნივერსიტეტის ახალგაზრდების უმეტესობა სტუდენტური თვითმმართველობის ინსტიტუტის და, ასევე, არჩევნების მიმართაც გულგრილად არის განწყობილი. ნაწილის შეხედულება კი საპირისპიროა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გთავაზობთ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის რამდენიმე სტუდენტისა და თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის პოზიციებს.

თორნიკე ბაქაქური,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— თვითმმართველობის არჩევნებისადმი სტუდენტებში ინდიფერენტული განწყობაა. არა მარტო ჩვენს ფაკულტეტზე, არამედ მთელს უნივერსიტეტში ბევრი პრობლემაა, რომელთა მოგვარებაც ძალიან ნელა მიმდინარეობს და სტუდენტური თვითმმართველობა ამ პროცესებში აქტიურად არ არის ჩართული. სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობას, ზოგადად, აქტიური სტუდენტები აკრიტიკებენ, მაგრამ სტუდენტების ძირითადი მასა ამ ინსტიტუტის მიმართ საერთოდ გულგრილად არის განწყობილი. ნდობაც დაბალია სტუდენტური თვითმმართველობის მიმართ, რადგან სტუდენტების უფლებების დასაცავად არ იბრძვიან. ამ ბოლო დროს კი მათი აქტივობა განსაკუთრებით შენელებულია. პრობლემა მხოლოდ სტუდენტების გულგრილობა არ არის, სტუდენტური თვითმმართველობის საარჩევნო კანონმდებლობა უამრავი ხარვეზის შემცველია. ამის შესახებ წინა რექტორს ვკითხეთ და გვიპასუხა, რომ ეს საკითხი სტუდენტების მოსაგვარებელი იყო. არადა სტუდენტს ნამდვილად არ ავალია უნივერსიტეტში მოქმედი კანონმდებლობის ხელახლა დაწერა.

მაისში დაგეგმილ არჩევნებში მონაწილეობას, როგორც კანდიდატი, არ მივიღებ. ორი წლის წინ ვმონაწილეობდი და ამ გამოცდილების გათვალისწინებით მივხვდი — არ ღირს. ძირითადად, იქ არის ერთი ძალა ერთიანი სტუდენტური მოძრაობის სახით. ეს სისტემა არის საშინლად იერარქიული და ცენტრალიზებული. არჩევნებზე, როგორც ამომრჩეველი, წავალ და თუ ჩემთვის არც ერთი კანდიდატი მისაღები არ იქნება, ყველას გადავხაზავ.

ნინო მღებრიშვილი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— პირველად გავიგე, რომ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება. არ ვინტერესდები ამ საკითხებით, რადგან ჩემი აზრით, სტუდენტური თვითმმართველობა ქმედითუნარიანი არ არის. წელიწადნახევარია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობ და მათი ორგანიზებით ჩატარებულმა არცერთმა ღონისძიებამ არ დამაინტერესა. გამონაკლისის სახით მხოლოდ ინტელექტუალურ თამაშს — „რა? სად? როდის?" დავასახელებდი. მაისში არჩევნებზე წასვლასაც არ ვაპირებ.

მარიამ ქორიძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— ახლა გავიგე, რომ მაისში სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნები იქნება. ალბათ წავალ, მანამდე ინფორმაციას მოვიძიებ, თუმცა დიდად არ ვინტერესდები სტუდენტური თვითმმართველობის საქმიანობით.

სოსო გულდავა,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების შესახებ ინფორმირებული არ ვარ და არც მაინტერესებს. უნივერსიტეტში მხოლოდ ლექციებზე დასასწრებად დავდივარ.

ანი ლორთქიფანიძე,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— არჩევნების შესახებ არაფერი ვიცოდი, თუმცა მაინც არ წავალ. მე არ მეხება ეს საკითხები. სტუდენტურ თვითმმართველობასთან არაფერი მაკავშირებს.

ანო მაჭავარიანი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

— ჯერჯერობით სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისთვის განსაკუთრებული მზადება არ შემიმჩნევია. დიდი მოლოდინი არც მაქვს, თუმცა აუცილებლად მივალ და სასურველ კანდიდატს ხმას მივცემ. ზოგადად, ამ ინსტიტუტის მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება მაქვს. ვერ ვხედავ ნორმალურად გაკეთებულ პროექტებს, ღონისძიებებს, სადაც სტუდენტები აქტიურად ჩავერთვებით. ვფიქრობ, სტუდენტურ თვითმმართველობას რეფორმები სჭირდება. სტუდენტები ხშირად ვსაუბრობთ, მათ შორის თვითმმართველობის წევრებთანაც იმაზე — საერთოდ უნდა არსებობდეს თუ არა თვითმმართველობა? ჩვენთან ამ სისტემამ არ იმუშავა. შეიძლება იდეა კარგია, მაგრამ სწორად ვერ ხორციელდება.

ალექსანდრე ცაგარელი,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრანტი:

— წლევანდელი არჩევნები თავისი შინაარსით განსხვავებული იქნება. სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებს ის დატვირთვა აღარ აქვს, რაც ადრე ჰქონდა. მაშინ აქ გამარჯვება სისტემაზე გამარჯვებად ითვლებოდა და არა მგონია ახლაც ასეთი მნიშვნელობა მიენიჭოს. ალბათ, ადრეა დასკვნების გამოტანა, მაგრამ სტუდენტების ინტერესს სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების მიმართ ჯერ ვერ ვხედავ. თუმცა ყველა მოწოდებულია, რომ კარგი საარჩევნო კანონმდებლობა იყოს.

მაქვს ინფორმაცია, რომ გარკვეული გარე ძალები სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას გეგმავენ. სავარაუდოდ, ეს კოალიცია „ქართული ოცნების" ერთ-ერთი პატარა ჯგუფი იქნება. შეიძლება ისინი უკეთესი ადამიანები იყვნენ, მაგრამ ეს არსებით შინაარსს არ შეცვლის. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ თუ დაფინანსების სისტემა არ შეიცვალა, ვითარება არ გამოსწორდება. საჭიროა ერთიანი ფონდის ჩამოყალიბება, სადაც სტუდენტებისთვის გამოყოფილი თანხა ჩაირიცხება და საიდანაც დაფინანსების მიღება, თანაბარი კონკურენციის პირობებში, ყველა სტუდენტს შეეძლება.

რაც შეეხება სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტროს მხრიდან სტუდენტური თვითმმართველობის რეფორმირების საკითხებზე მუშაობას, პროცესი გაჩერებულია. კომისიაში უმრავლესობა სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები იყვნენ, მაგრამ ჩვენ მაინც მოვახერხეთ შეგვეჩერებინა ის ცვლილებები, რომელთა გატარებაც მათ სურდათ. ვფიქრობ, შეუძლებელია ერთიანი მიდგომით ყველა უმაღლეს სასწავლებელში სტუდენტური თვითმმართველობების სისტემა გაუმჯობესდეს. საჭიროა ინდივიდუალური მიდგომა.

ინტერვიუ თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტთან სოფიო ჩიტაძესთან

— სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში შექმნილია სტუდენტური თვითმმართველობის განვითარების კომისია, რომელიც აერთიანებს საქართველოს მასშტაბით ყველა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტურ თვითმმართველობებს, მოქმედ ახალგაზრდულ ორგანიზაციებსა და კლუბებს (მათ შორის საკმაოდ დიდი რიცხოვნობითაა წარმოდგენილი ჩვენი უნივერსიტეტიც). კომისიის ფარგლებში მიმდინარეობს საკმაოდ ნაყოფიერი მუშაობა სხვადასხვა მიმართულებით, შემუშავებულია სტუდენტთა უფლებების დეკლარაცია.

თსუ-ის სტუდენტურ თვითმმართველობას არ გააჩნია თავისი ბიუჯეტი, შესაბამისად, ისევე როგორც ნებისმიერი სტუდენტი, ჩვენც წარვუდგენთ პროექტებს ადმინისტრაციას და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღება გადაწყვეტილება კონკრეტული პროექტის განხორციელების შესახებ.

რაც შეეხება სტუდენტური არჩევნებისადმი სტუდენტების განწყობას, ცოტა ნაადრევია ამაზე საუბარი, რადგან არჩევნებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა და კონკრეტული თარიღი არ არის გამოცხადებული. ის ძალა, რომელიც დღეს სტუდენტური თვითმმართველობის სათავეშია, ყოველთვის მზადაა — მონაწილეობა მიიღოს არჩევნებში. ჯერჯერობით რაიმე განსაკუთრებული სამზადისი არ არის, განვაგრძობთ ჩვეულ რეჟიმში მუშაობას და ვგეგმავთ იმ ღონისძიებებს, რომლებსაც სტუდენტებს მიმდინარე სემესტრში შევთავაზებთ.

— გაქვთ ინფორმაცია იმ სხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავენ?

— პირადად ჩემთვის უცნობია, კიდევ რომელი ორგანიზაციები აპირებენ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. მივესალმებით, თუ სხვა გაერთიანებები და დამოუკიდებელი სტუდენტები იყრიან კენჭს — სწორედ ეს არის თავისუფალი არჩევნების პრინციპი.

— ერთერთმა სტუდენტმა მოგვაწოდა ინფორმაცია, რომ კოალიცია „ქართული ოცნების" წევრმა ახალგაზრდებმა შესაძლოა სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ. ცნობილია თუ არა თქვენთვის ეს ფაქტი?

— ეს ინფორმაცია თქვენგან მესმის პირველად. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ნებისმიერ ძალას აქვს საშუალება, მიიღოს მონაწილეობა არჩევნებში. მაშინ, როდესაც სტუდენტური თვითმმართველობის ერთერთი ფუნდამენტური პრინციპი მისი აპოლიტიკურობა და აპარტიულობაა, ვთვლი, რომ უმჯობესია ეს პრინციპი შენარჩუნებული იქნას. თუმცა, რა თქმა უნდა, სტუდენტები გადაწყვეტენ, სურთ თუ არა პოლიტიკური პარტია თავიანთ წარმომადგენლობით ორგანოში.

— ჩვენთან ინტერვიუს დროს რამდენიმე სტუდენტმა განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ახალგაზრდების დიდი რაოდენობა ინდიფერენტულია არა მხოლოდ სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების, არამედ ზოგადად ამ ინსტიტუტის მიმართ...

— იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც, ერთის მხრივ, თავად იღებენ მონაწილეობას არჩევნებში და, მეორეს მხრივ, თავიანთ პოზიციას ხმის მიცემით აფიქსირებენ, თქვენს მიერ იმის აღნიშვნა, რომ შესაძლოა პოლიტიკური პარტიის მომხრეებმაც მიიღონ არჩევნებში მონაწილეობა და ამასთანავე თქვენი დაინტერესებაც ამ მნიშვნელოვანი ინსტიტუტის მიმართ, სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს.

რექტორის კომენტარი

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესის დეპოლიტიზება

ვლადიმერ პაპავა, რექტორი, აკადემიკოსი:

— სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნების მოახლოებასთან დაკავშირებით ჩვენ გარკვეული გამოკითხვა ჩავატარეთ სტუდენტებში. სტუდენტები საკმაოდ პასიურობენ და არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ბევრი არ აპირებს. ხომ არ იკვეთება ისეთი სურათი, რომ თვითმმართველობის ამჟამინდელი შემადგენლობის დიდი ნაწილი კვლავაც დარჩება?

— კანონით მკაფიოდ არის განსაზღვრული სტუდენტური თვითმმართველობის მოქმედების სფერო და არის გარკვეული ჩარჩო, რასაც ვერ გაცდება თსუ-ის ადმინისტრაცია. ნამდვილად არ ვაპირებ სტუდენტების საქმიანობაში ჩარევას, ამის უფლებას არც კანონი მაძლევს. რაც შეეხება ძველი შემადგენლობის დარჩენა-არდარჩენის თემას, გვინდა თუ არ გვინდა, უნდა ვიცოდეთ, რომ სტუდენტური თვითმმართველობის ის წევრები, რომელთაც სტუდენტური მოღვაწეობის ვადა გასდით, ამ ორგანიზაციაში ავტომატურად ველარ დარჩებიან. რაც შეეხება არჩევნებს, მინდა, ეს პროცესი ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე წარიმართოს, მით უფრო, რომ სტუდენტური თვითმმართველობა არ არის უნივერსიტეტის მმართველი ორგანო. უფრო მნიშვნელოვნად მიმაჩნია სტუდენტების მონაწილეობა ფაკულტეტების საბჭოებსა და წარმომადგენლობით საბჭოში, სადაც სწორედ უნივერსიტეტის მართვის თვალსაზრისით უნდა მიიღონ მონაწილეობა.

ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესის დეპოლიტიზება, რათა თავიდან ავიცილოთ ნებისმიერი პოლიტიკური ინტრიგები, რასაც, ადრე ჰქონდა ადგილი. პროცესის სამართლიანად წარმართვის განცდას ჩვენი დამოკიდებულებაც შექმნის, რადგან ჩემგან, როგორც რექტორის მხრიდან, გადადგმული იქნება ყველა ნაბიჯი თვითმმართველობის არჩევნებისთვის პოლიტიკური ელფერის მოსაშორებლად. ისე, გულწრფელად რომ გითხრათ, მე, პირადად, სტუდენტური თვითმმართველობის ,,ზომაც" არ მომწონს. ლამის 3 მილიონი ამომრჩეველი გვყავს ქვეყანაში და 150 კაცია პარლამენტში, ჩვენს სტუდენტურ თვითმმართველობაში კი 120 სტუდენტი გვყავს. ამიტომ, ვფიქრობ, რომ, ალბათ, საუკეთესო ვარიანტია 50 სტუდენტის არჩევა ამ ორგანოში, თუმცა ეს თავად სტუდენტების გადასაწყვეტია, მაგრამ ჩემი, როგორც უფროსი მეგობრის, რჩევაა, რომ 120 კაციანი ორგანიზაცია ძალიან დიდია იმ საქმისთვის, რისთვისაც ის არის შექმნილი.

რედაქტორის მინაწერი

წლების მანძილზე „ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკაზე ორიენტირებული სტუდენტური თვითმმართველობები, რომელთა წევრობაც ხელისუფლების რგოლებში კარიერული წინსვლის საწინდარი იყო, შეინარჩუნებენ თუ არა ძველ შემადგენლობებს, ახალი არჩევნების შედეგად გახდება ცნობილი. ფაქტი ერთია, მოახლოებული სტუდენტური თვითმმართველობის არჩევნებისთვის სტუდენტურ წრეებში დიდი სამზადისი არ იგრძნობა. მოარულ ხმებს პარტია „ოცნების" გააქტიურებაზე ჯერჯერობით საფუძველი არ აქვს და ისიც არის ცნობილი, რომ ამჟამინდელი ხელისუფლება სტუდენტური თვითმმართველობების დეპოლიტიზების მომხრეა.

მიხეილ ქურდიანი

60

მცირერიცხოვან ერს არ აქვს უფლება, არ დააფასოს თანამედროვენი, როცა ისინი ამას უდავოდ იმსახურებენ. სამრეალობა მხოლოდ ის არის, რომ ეროვნულ ფასეულობებსა და ზნეობრივ ღირებულებებზე ნაკლებად ორიენტირებულმა ხელისუფლებებმა სწორედ ის ადამიანები დათრგუნეს და გასწიეს გვერდზე, ვისაც, წესით, ქართული საზოგადოების ფლაგმანობა უნდა ეთავა. ნიჭიერი ადამიანი ვერასდროს გაძლებს დიქტატორული გამოვლინებების გვერდით; განსწავლული და კეთილშობილური ლოგიკის უნარით დაჯილდოებული პიროვნება ვერასდროს დაუკრავს ტაშს დემოკრატიული ფასეულობების გათელვას; ივანე ჯავახიშვილისა და არნოლდ ჩიქობავას მოწაფეთა მოწაფედ მიჩნეული მეცნიერი ვერაფრით გაითავისებს ერში განათლებისა და მეცნიერების როლის დაკნინებისა თუ ილიას, აკაკის, ვაჟას ფასეულობებისგან მოწყვეტით მომავალი თაობების აღზრდის მცდელობებს, რადგან მის „ხმას", გონებასა და გულს სინდისი კარნახობს — ნიჭიერება ხომ ღვთისგან ბოძებული მადლია. სწორედ ამ „ვერ შეგუების", „არ მიღების", პროტესტის, ბრძოლის გამო, საბჭოთა იდეოლოგიას დაპირისპირებულ დისიდენტად ცნობილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე მიხეილ ქურდიანი, „საშიშ ორატორად" თუ „საშიშად განათლებულად" მიიჩნეოდა და „საშიში ზნეობრიობით" საზოგადოებისგან მუდამ „მისაჩქმალი" ხდებოდა. დიდ პოლიტიკაში ადგილდაუმკვიდრებელს, არც უნივერსიტეტში და მეცნიერებათა აკადემიაში გაუღეს ფართოდ კარი. არადა, მცირერიცხოვან ერს, უფლება არ აქვს, არ დააფასოს თანამედროვე ნიჭიერი მეცნიერი, მამულიშვილი, პიროვნება, რადგან მხოლოდ წარსული დროის კორიფეების დიდება ისტორიის ფურცლებს ვერ შეავსებს. დიახ, ჩვენ მომავალი თაობებისთვის დასაწერ თანამედროვე ისტორიას დავაკელით იმ ფურცლის შემატება, რასაც მიხეილ ქურდიანის ცხოვრება და მოღვაწეობა ჰქვია. ამის გამოსწორებას, სამწუხაროდ, მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ ვახერხებთ.

ᲜᲘᲜᲝ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐ

ᲜᲘᲭᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲤᲐᲡᲓᲔᲑᲝᲓᲔᲡ!

„ᲐᲛ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐᲪ ᲙᲛᲐᲠᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲨᲘᲨᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ...“

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ ᲓᲐ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ — ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲥᲣᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲛᲠᲬᲐᲛᲡᲘ

უოფილ წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებელში, ამჟამად კი თბილისის 47-ე სკოლაში, 60-იან წლებში, ლიტერატურულ წრეს ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბორის კანდელაკი ხელმძღვანელობდა, რომელიც ლიტერატურული წრის გამორჩეულ წევრებთან საქართველოს დამოუკიდებლობის თემაზე მალულად საუბრობდა და საბჭოთა კავშირის იდეოლოგიის მოწინააღმდეგე ქართულ ბანაკს თანამოაზრეებს უმრავლებდა. ბორის კანდელაკის მთავარი მესაიდუმლე 15 წლის მიხეილ ქურდიანი იყო. გადის წლები და მიხეილ ქურდიანი ეროვნული მოძრაობის ამქარში ებმება. 1987 წელს გიორგი ჭანტურიასთან და ეროვნული მოძრაობის კიდევ 5 წარმომადგენელთან ერთად იგი „ილია ჭავჭავაძის საზოგადოებას" აფუძნებს, რომლის მიზანიც დიდი ილიას იდეალების განხორციელებისთვის ბრძოლა იყო. მიხეილ ქურდიანი ამ საზოგადოების გამგეობის წევრი და მებაირახტარე წლების მანძილზე გახლდათ, რომელიც ამ ორგანიზაციაში ლიტერატურულ სექციას ხელმძღვანელობდა.

14 ენას ფლობდა, მათ შორის იბერიულ-კავკასიურ, სემიტურ, ინდო-ევროპულ და ძველი აღმოსავლეთის მკვდარ ენებს.

უშიშროებას მიხეილ ქურდიანის გამოსვლები აკრთობდა, რადგან მისი სიტყვები საზოგადოებას სამშობლოსა და თავისუფლების სიყვარულით ათრობდა.

სიტყვა, რომლითაც ისტორიამ მიხეილ ქურდიანი მამულიშვილად შერაცხა, აფხაზეთის თემას უკავშირდება. მაშინ, როდესაც აფხაზი სეპარატისტების მხრიდან საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფის მოთხოვნას საქართველოში ვითარების დაძაბვა და 1988 წლის ნოემბერში ეროვნული ძალების გამოსვლები მოჰყვა, მიხეილ ქურდიანი აქტიურად მონაწილეობდა მთავრობის სახლის წინ გამართულ მიტინგებში. 1988 წლის 3 დეკემბერს კი მან მოახერხა სოხუმში ჩასვლა და იმ მიტინგის წარმართვა, რომელსაც ბევრი მისი თანამებრძოლი დაკავების გამო ვერ შეუერთდა.

სიყვარულის პოზიციიდან აფხაზებისადმი მოწოდებების უშედეგობამ მიხეილ ქურდიანს მოგვიანებით იარაღიც კი აასხმევინა და აფხაზეთის ომში საბრძოლველად რიგით ჯარისკაცად წავიდა. „1993 წლის სექტემბერში მე ყველა სურვილი სოხუმთან ერთად დავკარგე. ცხრა თვე ვიბრძოდი რუსეთის წინააღმდეგ აფხაზეთისთვის და ეს ომი დაუმარცხებლად წავაგე. არცერთი სანტიმეტრი ქართული მიწისა ჩვენთვის მტერს არ წაურთმევია ბრძოლაში, ყველა ტერიტორია უბრძოლველად გვაქვს დატოვებული სარდლობის ბრძანებით, ასევე, ხელისუფლების ღალატის გამო დავთმეთ სოხუმიც. ამ ომმა თვალნათლივ დამარწმუნა, რომ ქართველი ჯარისკაცის დამარცხება მხოლოდ საკუთარ მთავრობას შეუძლია", — წერს მიხეილ ქურდიანი წერილში სატრფოსადმი (მომავალი მეუღლისადმი), რომელსაც მხოლოდ წლების შემდეგ უზიარებს თავის, როგორც გაუგებარი შეთქმულების მიზეზით დამარცხებული ჯარისკაცის, ტკივილს და აქვე აგრძელებს: „სოხუმის დაცემიდან რამდენიმე დღის შემდეგ უკანასკნელი სურვილი რევანშისა გაქრა. მე უკვე „ცოცხალი მოკლული" გავხდი და რაკი საკუთარი სურვილები აღარ მქონდა, სხვათა სურვილების ამსრულებლად ვიქეცი. მთხოვეს დამეცვა საკანდიდატო დისერტაცია და დავიცავი, მთხოვეს – დამეცვა სადოქტორო დისერტაცია და დავიცავი..“

ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲮᲢᲝᲛᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲨᲘ

მიხეილ ქურდიანი დაიბადა 1954 წლის 1 იანვარს ქ. თბილისში კარდიოქირურგის, პოეტისა და მწერლის – ემილიანე ქურდიანის ოჯახში. მისი ფუძე სვანეთში იყო, სოფელ მულახში, სადაც ჩარჩენილ ფესვებს ხშირად უბრუნდებოდა და მთელი არსით ეხმიანებოდა სვანეთის მიწის ყივილს.

სწავლობდა თბილისის 47-ე საშუალო სკოლაში. 1976 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ხოლო 1977 წელს – ხელოვნების ფაკულტეტი ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალობით.

1995 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე — „ქართული ავანგარდიზმი", ხოლო 1998 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „საერთო ქართველური ვერსიფიკაციული სისტემა და ლექსთწყობის ზოგადლინგვისტური თეორია", რისთვისაც მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი ერთდროულად როგორც ენათმეცნიერებაში, ასევე ლიტერატურათმცოდნეობაში.

2001 წელს დაამთავრა ქუთაისის ნიკო მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურა მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და გამოყენებითი ლინგვისტიკის სპეციალობით.

მისი პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ 1978 წლიდან, როდესაც იგი, ჯერაც ახალგაზრდა, კითხულობდა ლექციებს ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში.

1984 წლიდან გარდაცვალებამდე მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

1993-1994 წლებში იყო აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო 1994-2001 წლებში ამავე უნივერსიტეტის ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე.

მიხეილ ქურდიანის სამეცნიერო ინტერესის სფერო იყო: ზოგადი ენათმეცნიერება, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ზოგადი ლიტერატურათმცოდნეობა, ლექსთმცოდნეობა, ხელოვნებათმცოდნეობა, საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის ეთნოგრაფია და ეთნოლოგია, ცივილიზაციათა დიალოგი, თეოლოგია.

ფლობდა 14 ენას, მათ შორის იბერიულ-კავკასიურ, სემიტურ, ინდო-ევროპულ და ძველი აღმოსავლეთის მკვდარ ენებს.

იყო გატაცებული მეტალურგიით და ამ სფეროში სამაგისტრო ნაშრომზეც მუშაობდა. განსაკუთრებით უყვარდა სპორტი და გახლდათ ფეხბურთის დაუძინებელი გულშემატკივარი. მას ჩამოყალიბებული ჰქონდა საფეხბურთო კლუბი, რომელსაც „მგლები" ერქვა და რომელიც საქართველოს ჩემპიონატის მეორე ლიგაში თამაშობდა.

* * *

მას შემდეგ, რაც მიხეილ ქურდიანმა უარი თქვა პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელებაზე, მან კალმით დაიწყო ბრძოლა მეცნიერული მწვერვალების დასაპყრობად.

გარდა იმისა, რომ გამოქვეყნებული აქვს 300-მდე სამეცნიერო ნაშრომი, 2007 წელს მიხეილ ქურდიანის ავტორობით გამოიცა სქელტანიანი, 1040 გვერდიანი, ფუნდამენტური მონოგრაფია სახელწოდებით — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები". მასში ავტორი ძალზე სერიოზული ლინგვისტური არგუმენტების მოხმობით უბრუნდება იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტიკური ერთიანობის თეორიას. ამ ჰიპოთეზას მკვლევართა ნაწილი სკეპტიკურად უყურებს, მაგრამ მიხეილ ქურდიანი ივანე ჯავახიშვილისეულ და შემდეგ არნოლდ ჩიქობავას ლოგიკის კვალს გაჰყვა. „ამ მონოგრაფიის დასრულებით იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება ფინიშის სწორზე გავიდა", — ასე აფასებს ნაშრომს ენათმეცნიერი ავთანდილ არაბული.

ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲣᲚᲘ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

„23 ნოემბერს შევარდნაძე გადადგა. ყველაფერი, რაც ქუჩაში ხდებოდა, ამერიკელებმა დაგეგმეს და დააფინანსეს, რამაც კიდევ ერთხელ აჩვენა მათი უპირატესობა რუსებთან შედარებით. როცა რუსებმა დაგეგმეს და დააფინანსეს სახელმწიფო გადატრიალება თერთმეტი წლის წინ, ამას სისხლისღვრა მოჰყვა. ამერიკელებმა ეს უსისხლოდ გააკეთეს და სახელიც რომანტიული შეურჩიეს — „ვარდების რევოლუცია". ეს არის ნიშან-სვეტი ძველის დასრულებისა და ახლის დაწყებისა. ძველს ახალი ყველა შემთხვევაში აჯობებს. მიშა სააკაშვილმა გაიმარჯვა არჩევნებში და საქართველოს რიგით მესამე პრეზიდენტი გახდა. ძალიან მინდა, რომ კარგი პრეზიდენტი იყოს. სანდრა რომ კარგი პირველი ლედი იქნება, ამაში ეჭვი არ მეპარება" (ამონარიდი მიხეილ ქურდიანის გზავნილიდან გერმანიაში მივლინებული სოფოსადმი (მომავალი მეუღლისადმი). 2004 წლის 6 იანვარი. სტილი დაცულია).

„ვარდების რევოლუციამ" მიხეილ ქურდიანს უხვად მოუტანა ტკივილი და ცრემლები. ახალი ხელისუფლების პოლიტიკამ განათლებასა და მეცნიერებაში მიხეილ ქურდიანისა და ღირსეული პროფესურის ნაწილის დიდი იმედგაცრუება შვა. ლომაიას რეფორმებს პროტესტი მოჰყვა და ამ ბრძოლაში ჩაბმული მიხეილ ქურდიანი ის უკომპრომისო მეცნიერი აღმოჩნდა, რომელიც უნივერსიტეტის რექტორობისთვის, ანუ უნივერსიტეტის გადარჩენისთვის სახელისუფლო კანდიდატს – რუსუდან ლორთქიფანიძეს დაუპირისპირდა. მიხეილ ქურდიანი არჩევნების მეორე ტურში დამარცხდა (2004 წ). მაშინდელმა სამეცნიერო საბჭომ მიხეილ ქურდიანს ნდობა არ გამოუცხადა. თსუ-ის რექტორად რუსუდან ლორთქიფანიძე აირჩიეს.

დამარცხებული რექტორობის კანდიდატი, მისი თანამოაზრე პროფესორებისგან განსხვავებით, არ ირჩევს ამბოხის გზას და 2006 წელს გამოცხადებულ აკადემიურ კონკურსში გამარჯვებისთვის ბრძოლას აგრძელებს. მიხეილ ქურდიანი, რომელიც უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე, ლექციებს ჯერ კიდევ 1997 წლიდან კითხულობდა, კონკურსში მხოლოდ ასოცირებულ პროფესორად გავიდა.

მიხეილ ქურდიანმა მოგვიანებითაც, 2010 წელსაც სცადა კონკურსში მონაწილეობა, მაგრამ ასოცირებული პროფესორის სტატუსს მაინც ვერ გასცდა. საკონკურსო კომისიამ იგი სრულ პროფესორად არ აირჩია. მანამდე კი ვერც მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი გახდა. არადა, როგორც ამას კავკასიოლოგი ცირა ბარამიძე აღნიშნავს, იგი უნივერსიტეტის გარეთ უნივერსიტეტს წარმოადგენდა, კავკასიაში – საქართველოს, დანარჩენ მსოფლიოში კი სრულიად კავკასიას.

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲘᲡ ᲣᲪᲜᲝᲑᲘ ᲨᲢᲠᲘᲮᲔᲑᲘ

მიხეილ ქურდიანის პოლიტიკური მოღვაწეობა თავიდან დემოგრაფიული საზოგადოების წევრობით დაიწყო. 90-იანი წლების დასაწყისში დემოგრაფიული საზოგადოების წევრებმა კომუნისტებს „გმირი დედის" წოდება „ქართლის დედის" წოდებით შეაცვლევინეს. 3 მარტის „დედის დღედ" დაწესებაც თურმე მიხეილ ქურდიანისა და მისი მეგობრების სახელს უკავშირდება, არადა ეს დამსახურება საზოგადოებამ სხვა პოლიტიკოსებს მიაწერა. დემოგრაფიულ საზოგადოებას მიხეილ ქურდიანი 1990-1994 წლებში ხელმძღვანელობდა და მისი პრეზიდენტიც იყო. მიხეილ ქურდიანის ინიციატივა გახლდათ სოლომონ დოდაშვილის რუსეთიდან გადმოსვენებაც და მისი დაკრძალვა მთაწმინდის პანთეონში. იგი მოგვიანებით, 2003 წლიდან საქართველოს რუსთაველის საზოგადოების პრეზიდენტიც იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას არც პოლიტიკური კარიერის შექმნაში მოემართა ხელი, იგი ცხოვრების ბოლომდე რჩებოდა თავისი ქვეყნის გულშემატკივარ მოქალაქედ, რომელსაც 2007 წელს საქართველოში განვითარებულმა ნოემბრის მოვლენებმა ეჭვი გაუჩინა ხელისუფლების პროამერიკელობაზე და მისთვის საბჭოთა მმართველობად აღქმული პოლიტიკის გასაპროტესტებლად ერთი დღე „საკანშიც ჩაჯდა", — იგი

ᲒᲔ-6 ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ნიჭიერება უნდა ფასდებოდეს!

მეხუთე გვერდიდან

სტუმრად ეწვია მაესტროს ეთერში გასული გადაცემის — „საკანის" წამყვანს გია გაჩეჩილაძეს (უცნობს).

მიხეილ ქურდიანი 1999 წელს ევროპასა და ამერიკაში „წლის ადამიანად" აღიარეს. კემბრიჯის საერთაშორისო ბიოგრაფიულმა ინსტიტუტმა მას „წლის საერთაშორისო ადამიანის" წოდება მიანიჭა. მიხეილ ქურდიანის ბიოგრაფია შეტანილია კემბრიჯში მომზადებულ ენციკლოპედიაში - „XX საუკუნის გამოჩენილი ადამიანები". დიახ, იგი ადამიანად მოვიდა დედამიწაზე, ენერგიის და სიყვარულის წვიმად მოევლინა თავის ქვეყანას, მაგრამ დიდ ადამიანად აღიარება მხოლოდ ამერიკასა და ევროპაში ხვდა წილად. უსამართლოდ დამარცხებების ქრონიკა მასზე მხოლოდ საქართველოში დაიწერა.

მუდამ პოეტი

„სულ მუდამ პოეტი მიშა ქურდიანი", — ასე მოიხსენიებენ მას მისი მეგობრები, რომლებსაც იგი ქარის ქროლვის ხმას მიყურადებული, აკაკისა და ილიას ძეგლთან თბილისის შუაგულ ქუჩაში მოხეტიალე, გალაკტიონზე შეყვარებული და შემდეგ ახალგაზრდა „ვერთერის ვნებებად" გადმოღვრილი, მოულოდნელად საიდანღაც ნიაღვარივით მოვარდნილი და წამში სადღაც გამქრალი ახსოვთ... გამქრალი იგი პოემებსა და ლექსებს წერდა და სჯეროდა მარტის, რომელიც ისევ და ისევ მოიტანდა მის ცხოვრებაში ლამაზ ყვავილებს. თავიდან ახალგაზრდა პოეტს საბჭოთა ცენზურა უბღვერდა და ლექსებს არ უბეჭდავდნენ. მხსნელად პოეტი გრიგოლ აბაშიძე მოევლინა, რომლის რეკომენდაციამაც პირველივე მცდელობაზე გაჭრა. მიხეილ ქურდიანის ლექსების პირველი კრებული — „ქრონიკა" 1982 წელს გრიგოლ აბაშიძის რედაქტორობით გამოიცა. მისი ზოგიერთი ლექსი მანამდე პერიოდულ პრესაში და სტუდენტობისას გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტშიც" იბეჭდებოდა. წელს კი, მიხეილ ქურდიანის ყველა ლექსი, პოემა თუ ინტერნეტ-წერილი შევიდა ერთ კრებულში — „მარადიული სრბოლის ხმაურში", რომლის გამოცემაც მიხეილ ქურდიანის მეუღლემ სოფიო ლობჟანიძემ და მისმა დედამ — ბელა სურგულაძემ ითავეს.

მიხეილ ქურდიანი 1992 წლიდან მწერალთა კავშირის წევრიც გახლდათ.

ეკლესიისთვის მოღვაწე

მიხეილ ქურდიანს სიცოცხლეშივე ჰქონდა ვარაუდი, რომ ქართლის მოქცევის თარიღია 326 წელი და არა 337 წელი, როგორც ეს დღემდე საყოველთაოდაა ცნობილი. თუმცა მკვლევარმა ვერ მოასწრო ამ ვარაუდის მეცნიერულად დასაბუთება 2009 წელს გამოცემულ წიგნში — „წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს სახისმეტყველების პარადიგმატული და სინტაგმატური ასპექტები", რომელზეც თსუ-ის ასოცირებულ პროფესორთან ეკა ვარდოშვილთან ერთად მუშაობდა.

მიხეილ ქურდიანის მსგავსი წიაღსვლები ადამიანთა მსოფლმხედველობაში რევოლუციის მოსახდენად ყველაზე პოზიტიურად ეკლესიამ გამოიყენა. დიდაჭარაში „ცივილიზაციათა დიალოგის" ეპოპეა, რომლის იდეის ავტორი საქართველოს პატრიარქი უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორეა, მიხეილ ქურდიანის საკონფერენციო გამოსვლებით გახდა შთამბეჭდავი. დიდაჭარაში მიხეილ ქურდიანს მუსლიმანი ქართველების გული ჰქონდა დაპყრობილი და ამ როლს იგი სხვადასხვა აღმსარებლობის ქართველთა შესაკავშირებლად ითავსებდა. მან იცოდა – ვისთვის რა და როგორ უნდა ეთქვა, სათქმელი კი უამრავი ჰქონდა თითქმის ყველა რელიგიის ისტორიის საუკეთესოდ მცოდნესა და სხვათა რწმენის პატივსაცემად საკუთარი მრწამსის სიყვარულით შემთავაზებელს.

მისი უნარების გენიალურობას ყველაზე უკეთ ეკლესია ჩასწვდა და ნიჭიერ შვილს თვითგამოხატვისთვის ასპარეზს უთმობდა. მიხეილ ქურდიანი, რომელიც 1995 წელს გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად აირჩიეს, 2007 წლიდან გელათის აკადემიის გამორჩეული პრეზიდენტი იყო.

2010 წლის 30 ოქტომბერს მიხეილ ქურდიანი ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა. პატრიარქის ილია მეორეს ლოცვა-კურთხევით იგი სამთავროს დედათა მონასტრის ეზოში დაკრძალეს.

დარჩა 5 შვილი და 7 შვილიშვილი.

მიხეილ ქურდიანმა იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტიკური ერთიანობის თეორიას აქტუალობა დაუბრუნა

მიხეილ ქურდიანი, როგორც მეცნიერი, ყურადღებას იპყრობს თავისი კავკასიოლოგიური და ქართველოლოგიური ნაშრომებით. მისი უკანასკნელი დიდი ნამუშევარი კი, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები", ჩემი აზრით, საეტაპო მნიშვნელობის ნაშრომს წარმოადგენს, რომლის სათანადო შეფასება, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ქართულ სამეცნიერო წრეებში არ მომხდარა. ეს წიგნი საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში ავტორი ძალზე სერიოზული ლინგვისტური არგუმენტების მოხმობით უბრუნდება იბერიულ-კავკასიურ ენათა გენეტიკური ერთიანობის თეორიას. ამ ჰიპოთეზას მკვლევართა ნაწილი სკეპტიკურად უყურებს, ამიტომ, ვფიქრობ, მომავალში ეს წიგნი სერიოზული მსჯელობის საგანი გახდება.

მოგეხსენებათ, საქართველოში XX საუკუნის პირველი ნახევრიდან ჩამოყალიბებული იყო თვალსაზრისი იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთიანობის შესახებ. მსოფლიოს ენათმეცნიერთა ერთმა ნაწილმა, მათ შორის, ზოგიერთმა ქართველმა მეცნიერმაც, არ დაუჭირა ამ თვალსაზრისს მხარი, რადგან თვლიდნენ — ამ ენების ნათესაობის დასამტკიცებლად საჭირო იყო ბგერათა რეგულარი შესატყვისობების სისტემის დადგენა და იმის მტკიცება, რომ ამ ენებს შორის არსებობს გენეტიკური კავშირები. ისინი მიიჩნევდნენ, რომ ამგვარი სისტემა არ იყო გამოვლენილი. სწორედ ამის გამო, კავკასიურმა თეორიამ რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში დაკარგა თავისი აქტუალობა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და გარკვეულ მეცნიერულ წრეებში თვით საქართველოშიც. რაც შეეხება მიხეილ ქურდიანს (მასთან ერთად მინდა დავასახელო მერაბ ჩუხუა), ვფიქრობ, მათ ამ თეორიას თავისი აქტუალობა დაუბრუნეს, რადგან შემოგვთავაზეს ამ თეორიის საფუძვლად სწორედ ბგერათა კანონზომიერი შესატყვისობების სისტემის წარმოჩენა.

ჩემი აზრით, მომავალში იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისთვის ძალზე არსებითია ამ ნაშრომების, პირველ რიგში, მიხეილ ქურდიანის წიგნის ძალზე სერიოზული კრიტიკული და ობიექტური შეფასება. თუკი ჩვენ მივიღებთ მის არგუმენტაციას, მაშინ შეგვიძლია ვთქვათ, რომ იბერიულ-კავკასიური ენების ნათესაობა საკმაოდ რეალურია. თუკი მეცნიერები შეძლებენ დაასაბუთონ საპირისპირო მოსაზრება, მაშინ საუბარი სხვა კუთხით შეიძლება წარიმართოს, მაგრამ ფაქტია, რომ შემდგომი კვლევებისთვის, არნოლდ ჩიქობავას ნაშრომებთან ერთად, სწორედ მიხეილ ქურდიანის და მისი თანამოაზრეების გამოკვლევები შეიძლება გახდეს მყარი საფუძველი კვლევის ფინიშამდე მისაყვანად. ჯერჯერობით რატომღაც ამ წიგნის სერიოზულ განხილვას თავს არიდებენ.

ამ გადასახედიდან გულდაწყვეტით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ მისთვის სიცოცხლეში სათანადო პატივი მიგვეგო. მისმა კოლეგებმა ვერ გამოვხატეთ ზრუნვა და პატივისცემა, როგორსაც იგი იმსახურებდა.

რისმაგ გორდეზიანი,
პროფესორი, აკადემიკოსი

მიხეილ ქურდიანი იყო ერთგული მიმდევარი ივანე ჯავახიშვილისა და არნოლდ ჩიქობავასეული თეორიისა

გვესაუბრება **ავთანდილ არაბული,**
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოს-მდივანი, წევრ-კორესპონდენტი, თსუ-ის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი:

— ***როგორც ვიცით, ბატონი მიხეილის ყველაზე სერიოზული ნაშრომი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები" იყო. თქვენ როგორ აფასებთ ამ ნაშრომის ღირებულებას?***

— ეს წიგნი იმით არის მნიშვნელოვანი, რომ მასში თავმოყრილია პრობლემატიკა, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის ჰიპოთეზას უკავშირდება. ეს მიშას მთელი სიცოცხლის შრომაა. მას იდეები ბევრი ჰქონდა, მაგრამ მათ ფორმირებას, ჩამოყალიბებას თითქოს გაურბოდა და მხოლოდ სიცოცხლის ბოლო წლებში დაიწყო საკუთარი შეხედულებების დალაგება.

წიგნის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები" ღირსებაა ის, რომ მასში მიხეილმა თავი მოუყარა როგორც იმ მასალას, რომელიც აბორიგენ იბერიულ-კავკასიურ ენათა ნათესაობის ჰიპოთეზას უკავშირდება, ასევე, ამ შეხედულებათა პლუს-მინუსებს. მან ეს წარმოადგინა თანამიმდევრულად, ენათა ჯგუფების მიხედვით. მოგეხსენებათ იბერიულ-კავკასიური ენების 4 ჯგუფია: ქართველური, აფხაზურ-ადიღეური, ჩეჩნურ-ინგუშური და დაღესტნური. მიხეილმა ენათა ამ ნათესაობაში შემოიყვანა ბასკური და ეს თეორია ამ კვლევაში საკმაოდ ორგანულად აღმოჩნდა ჩართული. მისი დაკვირვებით, ბასკური უფრო გვიან გამოეყო საერთო კავკასიურს, ვიდრე ჩრდილო-კავკასიური ენები...

მიხეილ ქურდიანი იყო ერთგული მიმდევარი ივანე ჯავახიშვილისა და არნოლდ ჩიქობავასეული თეორიისა, რომ კავკასიის აბორიგენი ენები არიან მონათესავე ენები. ამის დამცველი იყო და ეს წიგნი სწორედ ამ თეორიის გასავითარებლად დაწერა.

მიხეილ ქურდიანი უდროოდ წავიდა ამ ქვეყნიდან და მინდა გულისტკივილი გამოვთქვა იმის გამო, რომ ასეთი დიდი მასშტაბის პიროვნებისა და მეცნიერის არცერთი ნაბიჯი არ გამოდგა ისეთი წარმატებული, როგორსაც იმსახურებდა. იგი არაერთი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბების სათავეებთან იდგა, მაგრამ ამას ხშირად მოჰყვებოდა იმედგაცრუება, რადგან მოდიოდნენ შემთხვევითი თუ შემოგზავნილი ადამიანები, რომლებიც ყველაფერს შლიდნენ... განსაკუთრებით მძიმე იყო მიხეილისთვის ბოლო 9-10 წელი, როდესაც ურთულეს ვითარებაში, ერთი მხრივ, გელათის აკადემიას ჩაუდგა სათავეში, ხოლო მეორე მხრივ, 2004 წელს, კენჭი იყარა უნივერსიტეტის რექტორის პოსტზე. მას ასეთი თანამდებობებისადმი მიდრეკილება არ ჰქონდა, რადგან თავისუფალი ადამიანი იყო, მაგრამ რექტორის პოზიციაზე მისი კანდიდატურის წამოყენება მაშინ უნივერსიტეტის გადარჩენის ჩვენი ბოლო ცდა იყო და მან ეს „სასოწარკვეთილი" ნაბიჯი გადადგა...

— ***აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით მიხეილ ქურდიანი ივანე ჯავახიშვილის მედლით დაჯილდოვდა, რის შესახებაც იუბილეზე ოფიციალურად გაცხადდება...***

— ამაღელვა ამ ინფორმაციამ, სასიხარულო ამბავია და ეს არის ნიშანი იმისა, რომ უნივერსიტეტი სრულიად ახალ გზაზე დგას, უნივერსიტეტი დაუბრუნდა წარსულს, საფუძვლებს, ადამიანების დაფასებას... მადლობა ბატონ ლადო პაპავას ამ ინიციატივის წახალისებისთვის.

90-იან წლებში ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები ტრანსპორტით ვერ სარგებლობდნენ, ფეხით მოდიოდნენ უნივერსიტეტში და იმ ცივ აუდიტორიებში ლექცია არ გაცდენილა. ამ ერთგულებას დაფასება უნდა. სადაც გაწყდება მოთმინება ერისა, იქ გაწყდება პროცესი ნათელი გზის გაგრძელებისა, ამ შემთხვევაში უნივერსიტეტის არსებობისა... უნივერსიტეტის დღევანდელი არსებობა იმ ადამიანების თავდადებაზეა დაფუძნებული და არა იმათ მცდელობაზე, ვინც კარგი კაბინეტები მოიწყო...

სიცოცხლეს აგრძელებენ მისი სამეცნიერო ნაშრომები...

მიხეილ ქურდიანზე საუბარი ერთდროულად ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია, რადგან ბევრი რამ შეგვიძლია გავიხსენოთ მისი მოღვაწეობის შესახებ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ყველაფერს დღეს ტკივილი ახლავს, რადგან მასზე უკვე წარსულში გვიწევს საუბარი.

იგი მართლაც გამორჩეული პიროვნება იყო. უნივერსალური განათლების წყალობით, მრავალ სფეროში მოსინჯა თავისი შესაძლებლობები და ყველგან გამორჩეული კვალი დატოვა.

მიხეილ ქურდიანის, როგორც ლექტორისა და პროფესორის, საქმიანობა გამორჩეული, მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო. უნივერსიტეტის კედლებში იგი თავს ლაღად გრძნობდა. სტუდენტების დაინტერესება მას დიდ სიამოვნებას ანიჭებდა. მინახავს მიშა ქურდიანის ლექციაზე მოსული ახალგაზრდები, რომლებიც უნივერსიტეტის ყველაზე დიდ აუდიტორიას ავსებდნენ და ხშირად ტაშითაც აჯილდოვებდნენ მას. მახსოვს, როგორი გამოხმაურება მოჰყვა მის გამოსვლას უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში, როდესაც იგი „ნორჩ ჰუმანიტართა სკოლაში" ლექციის წასაკითხად მოვიწვიეთ. სააქტო დარბაზმა ვერ დაიტია მსმენელები, ამიტომ ზოგი ბავშვი პირდაპირ იატაკზე მოკალათდა და აღფრთოვანებული უსმენდა ბატონ მიხეილს.

მიხეილ ქურდიანი ბრწყინვალე ორატორი იყო. მას ურთულეს საკითხებზე ისე შეეძლო ესაუბრა, რომ ეს მსმენელისთვის არა მხოლოდ ინფორმაციული, არამედ საინტერესო და გარკვეულწილად დამაინტრიგებელიც ყოფილიყო. რთული სამეცნიერო პრობლემებისადმი მიძღვნილი მისი ლექციები მსუბუქი იუმორითაც იყო შეზავებული. ასეთი შეხამება მხოლოდ მას შეეძლო, ამიტომაც, ჩემი აზრით, ესეც იყო ერთერთი მიზეზი იმისა, რომ მისი ყოველი გამოსვლა დაუვიწყარი გამხდარიყო.

მიხეილ ქურდიანი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საკითხებზე მუშაობდა. მისი ბოლო ვრცელი მონოგრაფია, რომელიც უნივერსიტეტის გამომცემლობაში დაიბეჭდა, უაღრესად მნიშვნელოვანი გამოკვლევაა. აღსანიშნავია, რომ თავად ავტორი ამ მონოგრაფიას თავის მთავარ ნაშრომს უწოდებდა, რადგან მასში ერთგვარად შეჯამებულია ამ სფეროში მისი წლების განმავლობაში შესრულებული სამუშაო.

მიხეილ ქურდიანი არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. მასთან ურთიერთობა ყველას უადვილდებოდა, რადგან დიდთან დიდი იყო, პატარასთან — პატარა. მიშაზე დღემდე საუბრობენ, როგორც ჭეშმარიტ მეგობარსა და საიმედო კოლეგაზე.

მიხეილ ქურდიანს წელს 60 წელი შეუსრულდებოდა. მისი იუბილეს აღნიშვნა მნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენი ფაკულტეტის ცხოვრებაში. კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ, მართალია, მიხეილ ქურდიანი წავიდა ამ ქვეყნიდან, მაგრამ მისი ხსოვნა ცოცხალია ჩვენს მოგონებებში, ჩვენს გულებში... და რაც ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია საუნივერსიტეტო ცხოვრებისთვის, სიცოცხლეს აგრძელებენ მისი სამეცნიერო ნაშრომები...

ცოტა ხნის წინ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარდგინების საფუძველზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით მიხეილ ქურდიანი ივანე ჯავახიშვილის მედლით დაჯილდოვდა. მიხეილ ქურდიანი ნამდვილად განუმეორებელი პიროვნება იყო, ამიტომ მისი წასვლის შემდეგ უნივერსიტეტში, ჩვენს ფაკულტეტზე გაჩნდა სიცარიელე, რომელსაც, სამწუხაროდ, ვეღარავინ შეავსებს.

დარეჯან თვალთვაძე,
თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი

უნივერსიტეტმა სიცოცხლეში ვერ დააფასა დიდი მეცნიერი

„გულსა მოკლულსა კაცთ სიავით და ბედის ბრუნვით..."

მეცნიერი მიხეილ ქურდიანი

ქართული საენათმეცნიერო სკოლის წინაშე XX-XXI საუკუნეთა გასაყარზე იდგა უმნიშვნელოვანესი, კარდინალური საკითხი ქართველთა ეთნოგენეზისა. ქართული ეროვნული უნივერსიტეტის დაარსებისთანავე დასვა ეს საკითხი ივანე ჯავახიშვილმა. არნოლდ ჩიქობავას ქართულმა კავკასიოლოგიურმა სკოლამ კი გასულ საუკუნეში საფუძველი ჩაუყარა იბერიულ-კავკასიურ ენათმეცნიერებას, მისი მყარი კედლებიც ამოიყვანა და დადგა მომენტი შემაჯამებელი სიტყვისა. ეს სიტყვა პროფესორ მიხეილ ქურდიანის სახელთან არის დაკავშირებული. კავკასიოლოგთა ახალმა თაობამ (მ. ქურდიანი, რ. აბაშია, მ. ჩუხუა, ნ. არდოტელი...) ღირსეულად გააგრძელა ქეთევან ლომთათიძის, ტოგო გუდავას... დაწყებული კვლევები კომპარატივისტიკაში და შედეგმაც არ დააყოვნა: რადგან მას, რაც ცხადი იყო XX საუკუნის 40-იანი წლებიდან ივ. ჯავახიშვილის, არნ. ჩიქობავას, ს. ჯანაშიასა და სხვა კავკასიოლოგ მკვლევართათვის, ემპირიულ მასალაზე დაყრდნობითა და კომპარატივისტიკის მეთოდოლოგიით, ხორცი შეასხა ახალმა თაობამ. მიხეილ ქურდიანმა კი „ეს მყარად აშენებული კედლები მყარი სახურავით გადახურა". რამდენადაც დიდი იყო ინტერესი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერებისადმი, იმდენად განსაკუთრებული იყო დამოკიდებულება იმ მეცნიერებისადმი, რომელნიც სწორედ ამ კარდინალურ (გულისგულ) საკითხზე მუშაობდნენ. კავკასიოლოგთა მოსკოვური სკოლა მხოლოდ იმაზე მუშაობდა და მუშაობს დღესაც, რომ „არ დამტკიცებულიყო ქართველთა ანუ სამხრულ კავკასიურ ენათა ნათესაობა ჩრდილო კავკასიურ ენებთან". 1954 წელს მოსკოვში გამართული დისკუსია ლამის პოლიტიკური დირექტივა იყო: „არ არის დამტკიცებული და არც არასოდეს დამტკიცდება...". ასე უნდა ემუშავა ქართველ ენათმეცნიერთა ერთ ფრთას იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების გასანეიტრალებლად. მეცნიერული ფაქტები კი ჯიუტად მეტყველებდნენ საპირისპიროს. მიხეილ ქურდიანის კაპიტალური მონოგრაფია (1040 გვ.) „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები" ამის უტყუარი დადასტურებაა. შედეგები ვერიფიცირებადია მეთოდის, მასალისა და სისტემის მიხედვით. ასეთი შედეგების მეცნიერი კი, სამწუხაროდ, არ სჭირდებოდა უნივერსიტეტს. ამიტომაც შეიქმნა 2010 წელს გაზაფხულზე სპეკკომისია, რათა მიხეილ ქურდიანს არ დაეკავებინა სრული პროფესორის ადგილი, ამიტომაც მოხსნა აკადემიურმა საბჭომ სწორედ მაშინ კონკურსის წესში ასაკობრივი ზღვარი. ასეთი მეცნიერი არც მეცნიერებათა აკადემიისთვის იყო მისაღები. მიუხედავად ამისა, მიხეილ ქურდიანის შრომები მნიშვნელოვანი სახელმძღვანელოა დღეს კავკასიოლოგთა არა მარტო ქართული სკოლისთვის. მას ფართო საერთაშორისო აღიარება მისსავე სიცოცხლეში ხვდა წილად.

პროფესორი მიხეილ ქურდიანი

ვისაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისი ლექცია ან საჯარო გამოსვლა, ის ვერასოდეს დაივიწყებს მას. განუმეორებელი ორატორი, მჭევრმეტყველი; კათედრასთან იდგა კაცი, რომლის ბაგეებიდან ღმერთი მეტყველებდა, რადგან ჩვეულებრივ მოკვდავთ არ ძალუძთ ინტელექტის, ემოციის, ინოვაციის ამგვარი სინთეზი. მისი მონუმენტური არსება თითქოს აერთიანებდა ჩვენი ერის წარსულს, აწმყოსა და მომავალს, აერთიანებდა მთავარსა და არამთავარს, რადგან თვლიდა, რომ მთავარი ზოგჯერ არამთავარში იმალებოდა.

პროფესორ მიხეილ ქურდიანს ყოველთვის აწუხებდა ის მდგომარეობა, რომელშიაც ამჟამად იმყოფება თეორიული ლინგვისტიკა საქართველოში. იგი აღნიშნავდა, რომ გვყავს ცალმხრივად განსწავლული ლექტორები, რომლებიც მათი მაღალი სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მიუხედავად, არიან შეზღუდულნი ამა თუ იმ მიმდინარეობის ან სკოლის თვალსაზრისით, მეტიც, მოდური თუ მოდიდან გამავალი მეცნიერული პარადიგმით, რომელსაც აწვდიან სტუდენტებს, როგორც მეცნიერების უკანასკნელ სიტყვას. უნივერსიტეტში ბაკალავრის, მაგისტრის ან დოქტორის სამეცნიერო ხარისხმიღებული ლინგვისტი კი თავისი სამეცნიერო ხარისხის შესაბამისად უნდა ფლობდეს ზღვრულ, კვალიფიცირებულ ინფორმაციას თავის სპეციალობაში, კორექტულად, მეთოდოლოგიური იმანენტიზმის დონეზე იყენებდეს სპეციალურ მეთოდებს და, რაც მთავარია, აზროვნებდეს კრიტიკულად.

თაობებმა დაკარგეს ლექტორი მიხეილ ქურდიანი, რომლის ბადალი არავინ მეგულება.

კოლეგა მიხეილ ქურდიანი

არნოლდ ჩიქობავა სტუდენტებსაც ასე მოგვმართავდა: „კოლეგა". ერთ-ერთ ჩემს კოლეგას წიგნზე შემოკლებით „კოლ-ა" წაუწერა (ხელი სტკიოდა). ამგვარად მონათლული კავკასიოლოგი „კოლ-ები" ერთ დიდ ოჯახს ვქმნიდით და ვქმნით დღესაც მისსავე სახლში, სადაც მოვიდოდა მიშა, კართან ზარს დარეკავდა და იკითხავდა: კოლეგა არნოლდ ჩიქობავა სახლში ბრძანდება? იუმორი იყო მისი სიცოცხლის თანამგზავრი. გარეგნულად მხიარულ მიშას სულით უდიდესი ტკივილი დაჰქონდა, ადამიანად ყოფნის ტკივილი. მასწავლებლის კართან მისი სიკვდილის ანუ ადამიანად არყოფნის ტკივილი იუმორით უნდა გაექარწყლებინა, რადგან ამით ეხმიანებოდა კიდეც იმსოფლად გარდასულთ და ავალებდა კიდეც ამქვეყნად დარჩენილთ კოლეგიალობას, განსაკუთრებით ახალგაზრდა კოლეგებს. მიხეილ ქურდიანი ინტერდისციპლინარული კოლეგა იყო; ლინგვისტების გარდა ყველა ჰუმანიტარული დარგის სპეციალისტთან ჰქონდა კოლეგიალური და საქმიანი ურთიერთობა. უხაროდა ყველა კოლეგის წარმატება. მისთვის უცხო იყო სხვის სიკეთეზე წუხილი. ის გულისგული იყო კოლეგებისათვის. ერთ დღეს მოვიდა ჩვენთან ინსტიტუტში (ჩიქობავას სახლში) ფერდაკარგული, გული ხელით ეჭირა, შევწუხდით კოლეგები, რა იყო, მოკვდა ვინმე-მეთქი? ჰო, კოლეგა და მეგობარი მომიკვდაო. მისი „გარდაცვალების" მიზეზი კი ის იყო, რომ მას კავკასიელები თურმე ჩამორჩენილ ხალხებად მიაჩნდა და არც იბერიულ-კავკასიური თეორია იყო მისთვის მისაღები.

მიხეილ ქურდიანი უნივერსიტეტის გარეთ, უნივერსიტეტს წარმოადგენდა (აკი წარადგინა კიდეც ივ. ჯავახიშვილი ტელევიზიით), კავკასიაში — საქართველოს, დანარჩენ მსოფლიოში კი — სრულიად კავკასიას; იგი კავკასიის დიდი შვილი იყო, რადგან არ არსებობს კავკასიაში კვალიფიციური ჰუმანიტარი, რომლისთვისაც იგი არ იყოს მეტრი კოლეგიალობისა და პროფესიონალიზმისა. პრინციპულ საკითხებზე კოლეგებთან შეურიგებელი მიშა საოცარ სითბოს იჩენდა კამათის შემდეგ. მახსოვს მეცნიერებათა აკადემიაში წაიკითხა მოხსენება სომხეთისა და ქართლის გაქრისტიანების თარიღთან დაკავშირებით. მასსა და პროფესორ ლილია ვარდანიანს შორის შეურიგებელი „ორთაბრძოლა" გაიმართა. მისი არგუმენტები მტკიცე იყო და ოპონენტი ლამის აკადემიურ ზღვარს გადასცდა. ვიფიქრე, დამთავრდა მათ შორის ურთიერთობა-მეთქი. სულ მალე ერევანში მომიხდა გამგზავრება. მიშამ უპირველესი მოკითხვა სწორედ მასთან დამაბარა.

დღეს კოლეგა ქურდიანის სკამი ჩვენი ინსტიტუტის აივანზე ცარიელია, კოლეგების გული კი — ტკივილით სავსე.

მეგობარი — მიშა

ვაცის იმსოფლად მიბრძანება ერთგვარი შემაჯამებელი მოვლენაა ამსოფლად ნაღვაწისა. შემჯამებლები კი, უმეტესწილად, მეგობრები არიან. სამთავროს მადლიან მიწამდე მეგობართა ზღვამ მიაცილა მიხეილ ქურდიანი. ყველას თავისი განსაკუთრებული მიშა მოუკვდა. არავის გულში არ იყო მისგან ხინჯის იოტიც კი. მას დაუბრუნეს ის სიყვარული, რომელიც მან თავად დათესა მზისქვეშეთში. დიდი იყო ცრემლიანი სამკალი. იგი რჩეული მეგობარი იყო. მან ზუსტად იცოდა, ვის რა სული ედგა, ვის რა უჭირდა თუ ულხინდა. როდის მუშაობ, მთელი დღე მეგობრებთან რომ ატარებ-მეთქი? სწორედ მაშინო, მიპასუხა. სწორედ მაშინ იბადებიან აზრები და ხორცშესხმასაც მეგობრებით ჰპოვებენო. იგი ინიციატორი იყო, იდეების გენერატორი. გვაიძულებდა, სწორედ პრობლემურ საკითხებს შევბმოდით: ქართველთა პირველსაცხოვრისი ლინგვისტური მონაცემების მიხედვით — აი, ეს იყო ჩვენი ბოლო მეგობრული ანუ საქმიანი შეხვედრა იმ შეხვედრებიდან, რომლებიც ყოველდღიური და საკმაოდ ხანგრძლივი იყო; მაგრამ ამ ურთიერთობაში არ იყო არც ერთი ფუჭი წუთი და ყალბი ბგერა. მიშა ბავშვების დიდი მეგობარი იყო, თავადაც ბავშვივით უშუალო და ზოგჯერ მიამიტიც. მზესავით ანათებს იმ წუთის მოგონება, ჩერქეზეთში სტუმრად მყოფებმა სურათის გადაღება რომ გადავწყვიტეთ; მიშამ უეცრად ქუჩაში გამვლელი გააჩერა და სიყვარულით სთხოვა, სურათი გადაეღო, მიმართა: სოლნუშკა, გადაგვიღეო. სად ნახე, მიშა, შავი სოლნუშკა-მეთქი (ის გოგო შავი იყო). ეწყინა, რადგან მე მის გულწრფელობაში შევიტანე ეჭვი. ახლა კი მე მრცხვენია მისი ხსოვნის წინაშე, თუ ოდესმე მის გულწრფელობაში დავეჭვდი, რადგან ვფიქრობდი, როგორ შეუძლია ერთ გულს ასე გაათბოს ირგვლივ ყოველი-მეთქი. ვაი, რომ ვცდებოდი. იგი მართლაც გულისგული იყო — სიყვარულითა და სითბოთი სავსე გული.

ცირა ბარამიძე,
კავკასიოლოგი, პროფესორი

მიშა ქურდიანის უნივერსიტეტი

გვესაუბრება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი, ეთნოლოგი **როლანდ თოფჩიშვილი:**

— თქვენ საკმაოდ ახლო ურთიერთობა გქონდათ მიხეილ ქურდიანთან და საინტერესოა, რას იტყვით მასზე, როგორც მეცნიერსა და როგორც პიროვნებაზე?

— საერთოდ, მიხეილმა გვიან დაიცვა დისერტაცია, რატომღაც არ ანიჭებდა მნიშვნელობას სამეცნიერო ხარისხს, მაგრამ შემდეგ მეგობრები და ოჯახის წევრები შევუჩნდით და, როგორც იქნა, დავითანხმეთ. დიდი ხნის დაწერილი ჰქონდა საკანდიდატო დისერტაცია, ჯერ ის დაიცვა და მერე ძალიან მალე მიაყოლა სადოქტორო დისერტაცია.

საერთოდ, ფართო ერუდიციის პატრონი იყო, არა მარტო ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე გახლდათ, არამედ კარგად ერკვეოდა ისტორიაში, ეთნოლოგიაში და მეცნიერების სხვადასხვა დარგებში. ხშირად ჩემს ნაწერებს მიშას ვაკითხებდი. როდესაც წიგნი დავბეჭდე, „ამერიკისა და ევროპის ხალხები“, გადაათვალიერა და მითხრა: ვაიმე, როლანდ, ლივები გამოგრჩენიაო. მე ვუპასუხე, ლივები ხომ უკვე გაქრნენ, აღარ არიან! არა, მაგათ ოჯახში ნამყოფი ვარ, ბალტიის ზღვის პირზე, რიგასთან. ისედაც პატარა ეთნოსია და არ გეცოდება? სულ 130 კაცია და რატომ გამოტოვეო? შემრცხვა და მივეცი პირობა, რომ შემდეგ გამოცემაში ლივებსაც შევიტანდი. მართლაც, იმ ჩემს წიგნში „ევროპის ეთნოლოგია“, არა მარტო ევროპის ყველაზე დიდი ხალხები, არამედ ყველაზე პატარა ხალხი — ლივებიც შევიტანე და ეს მიშას დამსახურების გამო მოხდა.

მიშა ისეთი ფენომენი იყო, რომ ხშირად მიკვირდა, როგორ ასწრებს ამდენის წაკითხვას. ძალიან სწრაფად კითხულობდა. მე, თუ საშუალო ზომის წიგნის კითხვას რამდენიმე დღე ვუნდებოდი, მიშა მას ერთ ღამეში კითხულობდა.

იგი არა მხოლოდ ენათმეცნიერი და ლიტერატურათმცოდნე იყო, არამედ კარგად ერკვეოდა სხვადასხვა მეცნიერების ნიუანსებში, ამიტომ მასთან კამათი ძნელი იყო. ერთხელ ძალიან ცნობილ, მაღალი რეგალიების მქონე ენათმეცნიერთან თსუ-ის დარბაზში გაიმართა კამათი. ჩვენ გვეგონა, რომ ის მეცნიერი გამოვიდოდა და მიშას თავის არგუმენტებს დაუპირისპირებდა, მაგრამ მიშა იმდენად დასაბუთებულად მსჯელობდა, რომ იმ მეცნიერმა ვეღარ გაბედა შეწინააღმდეგება.

საოცრად მყარი მეცნიერული ლოგიკა ჰქონდა, ერთხელ გავეხუმრე კიდევაც, აი, ახლა ამ თეორიას ამტკიცებ და ყველა მონუსხული გყავს, მაგრამ შენ შეგეძლო, საწინააღმდეგოც დაგემტკიცებინა, იმდენად მაღალი ლოგიკა გაქვს. მან თანხმობის ნიშნად გაიცინა.

მიშა თითქმის ყოველ მეორე დღეს მოდიოდა ჩემს ოჯახში, ვსაუბრობდით მეცნიერებაზე, ქვეყნის მდგომარეობაზე, იგი ძალიან პატრიოტი ადამიანი იყო. ჩემი შვილები მის ხელში გაიზარდნენ. ყოველ საღამოს, მითუმეტეს, იმ წლებში, როდესაც უშუქობა იყო, მიშას ყოველთვის სიამოვნებით უგდებდნენ ყურს. როდესაც ჩემმა შვილებმა დაამთავრეს თსუ, მერე მივხვდი, რომ მათ არა მხოლოდ ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ჰქონდათ დამთავრებული, არამედ სხვა უნივერსიტეტიც — და ეს იყო მიშა ქურდიანის უნივერსიტეტი. დღესაც, თითქმის დღე არ გავა, რომ ჩვენს ოჯახში მიშა არ ვახსენოთ.

— თქვენ ესწრებოდით დიდაჭარაში შეხვედრებს, სადაც მიხეილ ქურდიანი გამოჩნდა, როგორც შეუდარებელი მედიატორი სხვადასხვა აღმსარებლობის ადამიანებს შორის. როგორ ფიქრობთ, რა იყო ის ხიბლი, რითაც იგი ხალხის დატყვევებას ახერხებდა?

— დიდაჭარაში ერთად ხშირად დავდიოდით, სადაც ეწყობოდა ჰუმანიტარების საერთაშორისო კონფერენციები. იქ, საშუალო სკოლის დარბაზში, ერთერთმა ქართველმა მკრეხელური განცხადება გააკეთა მაჰმადიანი ქართველების წინაშე და მოუწოდა იქაურ ქართველებს — თქვენ რა ქართველები ხართ, თუ გინდა ქართველები იყოთ, დაუბრუნდით ქრისტიანობასო. წარმოუდგენლად დაიძაბა სიტუაცია. არ ვიცი, რა მოხდებოდა, მიშა ქურდიანი რომ არა... მიშას ბრწყინვალე გამოსვლამ გაანეიტრალა დაძაბული სიტუაცია და როცა სხდომა დამთავრდა, მიშას ადგილობრივი აჭარლები, ქართველი მაჰმადიანები გარშემო ეხვეოდნენ და ჰკოცნიდნენ.

— ყველა, ვინც მასზე საუბრობს, აღნიშნავს, რომ მიხეილ ქურდიანი იმსახურებდა უფრო მეტს, ვიდრე, ვთქვათ, თსუ-ის ასოცირებული პროფესორობაა... თქვენი აზრით, რატომ მოხდა ასე?

— სამწუხაროდ, ხშირად ვამბობ, მიშა ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, რომ უნივერსიტეტის სრული პროფესორობა არ ეღირსა. იგი არა მხოლოდ გელათის მეცნიერებათა აკადემიის წევრი, არამედ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრიც უნდა ყოფილიყო. მინდა გითხრათ, რომ ეს მისთვის ნამდვილად შეურაცხმყოფელი იყო.

იმის გამო, რომ დაუნდობელი პოლემისტი იყო, ზოგიერთ ენათმეცნიერს მის მიმართ ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა: სხვადასხვა მეცნიერულ პოზიციებზე როცა იდგნენ, პიროვნულში გადაჰქონდათ და, დღესაც, სამწუხაროდ, ასეა ქართულ მეცნიერებაში, როდესაც მეცნიერების შესახებ სხვადასხვა შეხედულებები გააჩნიათ, ხშირად გადააქვთ ეს პიროვნულ ურთიერთობებში. ეს მიშას შეეხო ყველაზე მტკივნეულად. როდესაც აკადემიაში კენჭს იყრიდა, მას ფაქტობრივად არც ერთმა აკადემიის წევრმა ხმა არ მისცა. ამას ვერაფრით ავხსნით, თუ არა მიზეზად პიროვნული ფაქტორის დასახელებას.

როდესაც ჩემმა შვილებმა დაამთავრეს თსუ, მერე მივხვდი, რომ მათ არა მხოლოდ ჯავახიშვილის უნივერსიტეტი ჰქონდათ დამთავრებული, არამედ სხვა უნივერსიტეტიც — და ეს იყო მიშა ქურდიანის უნივერსიტეტი.

მხოლოდ მე არ ვიყავი მისი სტუდენტობით აღფრთოვანებული

გვესაუბრება ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ნათელა ქუთელია:**

— ქალბატონო ნათელა, მიხეილ ქურდიანი თქვენი სტუდენტი და შემდგომ მეგობარიც იყო. როგორ დაახასიათებთ მას, როგორც პიროვნებას, როგორც მეცნიერს...

— მიშას ვიცნობ იმ დღიდან, როდესაც ჩემი სტუდენტი გახდა. ეს იყო პირველივე კურსზე. უკეთესი სტუდენტის წარმოდგენა ძალიან ძნელია — დაინტერესებული, მოაზროვნე... გაგიკვირდებოდათ, ისე უცებ ჩასწვდებოდა საკითხს. საოცარი შეკითხვების დასმა იცოდა. ქცევა ჰქონდა უაღრესად ინტელიგენტური. მხოლოდ მე არ ვიყავი მისი სტუდენტობით აღფრთოვანებული, სხვებიც აღნიშნავდნენ მის გამორჩეულობას. მეამაყებოდა, რომ ასეთი ყმაწვილი ზის ლექციაზე და გისმენს.

მას ჰქონდა ინტერესების უზომო დიაპაზონი. ლექცია რომ დამთავრდებოდა, აუცილებლად გამოგყვებოდა და კიდევ გებაასებოდა მისთვის საინტერესო საკითხებზე. საოცარი მიგნებები ჰქონდა.

წლები გავიდა, მიშა დიდი ხანი არ მყავდა ნანახი. ერთ დღეს ენათმეცნიერების ინსტიტუტში ვიყავი სესიაზე და იქ შევხვდი. დისერტაციის დაცვა მიმდინარეობდა და მიშაც სიტყვით გამოვიდა. ჩემთვის ეს იყო ხელახალი აღმოჩენა — იგი ჩამოყალიბდა, როგორც კარგი მეცნიერი.

არ შემიძლია მიშა გავიხსენო და არ ვიტირო. მთელი მისი არსება სავსე იყო სიხარულით და ცხოვრების წყურვილით. არც მოიწყენდით მასთან. რაც უნდა გაბრაზებული ყოფილიყავი, აუცილებლად მოგესიყვარულებოდა და აუცილებლად წაშლიდა ამ უსიამოვნო განცდას თქვენში. ძალიან მიყვარდა და მინდოდა, რომ კარგად ყოფილიყო.

რენესანსული განათლების ადამიანი

გვესაუბრება ლიტერატურის კრიტიკოსი **ლევან ბრეგაძე:**

— ბატონო ლევან, რას იტყვით მიხეილ ქურდიანზე, როგორც პიროვნებაზე, ლიტერატურათმცოდნეზე? თქვენ კარგად იცნობდით მის შემოქმედებას, მის მოღვაწეობას...

— იგი იყო არაჩვეულებრივად მრავალმხრივი ადამიანი, ასეთები ახლა აღარ არიან, რადგან ვიწრო სპეციალიზაციის ხანა დადგა. ფართო და მასშტაბური განათლების ადამიანები, რომლებიც რენესანსის ეპოქამ წარმოშვა, ჩვენს დროში ნაკლებად სჭირდებათ. მიშა კი სწორედ რენესანსული განათლების ადამიანი იყო.

მიჭირს იმის თქმა, იგი ლიტერატურათმცოდნე უფრო იყო თუ ლინგვისტი, ხელოვნებათმცოდნე თუ მათემატიკოსი... ყველაფერში დიპლომირებული გახლდათ.

მიშა გახლდათ მოდერნიზმის და ავანგარდიზმის არაჩვეულებრივი მცოდნე. ლიტერატურის თეორიაში და ლიტერატურის ისტორიაშიც ეს საკვლევად ყველაზე რთული დარგებია. საქართველოში, ისე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის პირველ ნახევარში, თითქმის 1932 წლამდე, ქართულ ლიტერატურაში გაბატონებული იყო მოდერნიზმი და ავანგარდიზმი. იქმნებოდა მსოფლიო მნიშვნელობის ტექსტები. თბილისი მაშინ, ფაქტობრივად, მსოფლიო ავანგარდიზმის ცენტრად იქცა. არსებობს კიდეც არაჩვეულებრივი გამოკვლევა — იტალიელი ქართველოლოგის ლუიჯი მაგაროტოს „ავანგარდიზმი თბილისში“, რომელზედაც კარგი რეცენზია აქვს გამოქვეყნებული მიშას, რამდენიმე თანაავტორთან ერთად. თუ ვინმეს რაიმე დაინტერესებდა ქართულ ავანგარდზე, უნდა მიემართა მიშა ქურდიანისთვის. მან მოდერნიზმი იცოდა ისეთი ცოდნით, რომელსაც მხოლოდ საგნისადმი დიდი სიყვარული იწვევს.



„ანტიავერეოსი, ანუ პოეტური შემოქმედების პრინციპები და მეთოდის პრობლემა თანამედროვე ქართულ კრიტიკაში“ — ეს მისი ნაშრომია, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ეს ნაშრომი თავის დროზე ალმანახ „კრიტიკაში“ დავბეჭდეთ და დიდი აღშფოთება გამოიწვია კონსერვატორი ლიტერატურათმცოდნეების მხრიდან იმის გამო, რომ ძალიან ბევრი და საჭირო სიახლე იყო მასში. მიშამ ამ ნაშრომში, და არა მარტო ამ ნაშრომში, ხელოვნება ორ ნაწილად გაყო. ერთს უწოდა არსობრივი ხელოვნება, მეორეს — მოვლენებრივი ხელოვნება. ეს აბსტრაქცია ძალიან ნაყოფიერი გამოდგა, განსაკუთრებით ავანგარდიზმის შესასწავლად. მან პირველი დისერტაცია ქართულ ავანგარდზე დაიცვა, აქედან რამდენიმე ფრაგმენტია გამოქვეყნებული და ეს აუცილებლად გამოსაცემია. მისი მეორე დისერტაცია თანაბრად იყო როგორც ლიტერატურათმცოდნეობა, ასევე, ლინგვისტიკაც. ეს გახლდათ უძველესი ქართული ლექსთწყობის პრობლემებზე და კავშირზე ქართული ენის ბუნებასთან. მიშას ძალიან უწყობდა ხელს სამეცნიერო მუშაობაში ის გარემოება, რომ სამივე ქართველური ენა მშობლიური იყო და აქედან მოდიოდა მისი არაჩვეულებრივი პატრიოტიზმიც.

— როგორი იყო მიხეილ ქურდიანი მეგობრებთან და კოლეგებთან ურთიერთობაში?

— მიშა ურთიერთობების დიდოსტატი გახლდათ. მისი გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, გამოვაქვეყნე წერილი, რომელსაც დავარქვი „ბანალურობის მტერი“. მართლაც, მასში ბანალური არაფერი იყო. მისალმებაც კი ორიგინალური ჰქონდა. როდესაც ტელეფონზე დაგირეკავდათ, არანაირი ბანალური მოკითხვა და დასაწყისი საუბრისა... არა, რაღაცას ორიგინალურს იტყოდა. მის გვერდით ყოფნა, მუშაობას რომ თავი დავანებოთ, იყო გამდიდრება. მასთან მუშაობა ერთი სიამოვნება იყო, რადგანაც ყველაფერი იცოდა.

საუკეთესო ორატორი გახლდათ და არაჩვეულებრივი იუმორის გრძნობა ჰქონდა. ყველა მის ნათქვამში, საქმეში, მოქმედებაში მძლავრი ინტელექტი იგრძნობოდა, რომელიც კი არ გრთგუნავდა, არამედ პირიქით, აღგძრავდა სამუშაოდ, სამოქმედოდ, საფიქრალად.

* * *

„მიშა ჰყვებოდა ხოლმე, როგორ დაუპირეს ერთხელ უნივერსიტეტიდან გარიცხვა გაცდენების გამო. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლისას იგი თვეობით მიემგზავრებოდა სანკტ-პეტერბურგს, რომელსაც მაშინ ლენინგრადი ერქვა. და იქ ლექციებს ისმენდა ხელოვნების ისტორიაში. სესიების დროს თბილისში ბრუნდებოდა გამოცდების ჩასაბარებლად, რაც მისთვის, სწავლის სურვილით შეპყრობილი ჭაბუკისთვის, დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა – ფრიადებს ღებულობდა. მაგრამ ამდენ გაცდენას ვინ აპატიებდა! და კურსის კურატორმა რექტორთან, დავით ჩხიკვიშვილთან შეიყვანა — უნდა გავრიცხოთ, ლექციებზე არ დადისო. აბა ერთი შენი ჩათვლის წიგნაკი (მატრიკული) მაჩვენეო, — რექტორმა. მეც ამას ველოდებოდიო, — ამბობდა მიშა, — ჩათვლის წიგნაკი სასწრაფოდ მივაწოდე რექტორს. ბატონმა დავითმა გადაშალა ერთი ფურცელი — ფრიადები, გადაშალა მეორე ფურცელი — ფრიადები, გადაშალა მესამე ფურცელი – ისევ ფრიადები. აწია თავი და კურატორს მიმართა: — ხუთოსანს მარიცხინებთ?

დაბნეულმა კურატორმა ღირსახსოვარი ფრაზა წარმოთქვა: — ბატონო დავით, განგებ სწავლობს ხუთებზე, რათა ვერ გავრიცხოთ“...

ჩვენ მას შევარქვით „21-ე საუკუნის რექტორი“

გვესაუბრება ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, მიხეილ ქურდიანის მხარდამჭერი ყოფილი სტუდენტი **გიორგი სიგუა:**

— ბატონო გიორგი, თქვენ იმ პერიოდის სტუდენტი ბრძანდებით, როცა უნივერსიტეტში საპროტესტო აქციები მიმდინარეობდა უმაღლესი განათლების რეფორმასთან დაკავშირებით და ახლო ურთიერთობა გქონდათ ბატონ მიხეილ ქურდიანთან. რას გაიხსენებთ იმ პერიოდიდან?

მიხეილ ქურდიანის სტუდენტი ვიყავი, თუმცა საკმაოდ ახლო ურთიერთობა მქონდა და მასთან ჩემი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვანი და ფათერაკებით აღსავსე ნაწილი არის დაკავშირებული.

ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანს გავიხსენებ იმას, რომ ვიყავი ახალგაზრდების იმ ჯგუფში, რომლებმაც გააპროტესტეს მაშინდელი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მიერ უნივერსიტეტის საშინაო საქმეებში ჩარევა, როდესაც იგი როინ მეტრეველის გადადგომის შემდეგ მოვიდა უნივერსიტეტში და თავისი დედის მეგობარი, ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე მოიყვანა რექტორად, მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის რექტორს მაშინ ირჩევდა დიდი აკადემიური საბჭო, რომლის წევრი მეც ვიყავი სტუდენტური ორგანიზაციიდან. ჩვენ გავაპროტესტეთ ეს და განვაცხადეთ, რომ არ შეიძლება პრეზიდენტი მოდიოდეს უნივერსიტეტში და ის უთითებდეს — ვინ იქნება მისი რექტორი.

მაშინ ახალგაზრდების ჯგუფმა, რომლებმაც ეს ამბავი გავაპროტესტეთ, ვთქვით, რომ ჩვენ მოვძებნით კანდიდატურას, რომელიც მიიღებს მონაწილეობას არჩევნებში. ეს კანდიდატურა იყო მიხეილ ქურდიანი. იგი გახლდათ უნიკალური ადამიანი — ძალიან ცნობილი მეცნიერი, სხვადასხვა უნივერსიტეტის თუ აკადემიის წევრი და საპატიო დოქტორი. საუბრობდა 14 ენაზე, იყო აფხაზეთის ომის მონაწილე, რუსთაველის საზოგადოების თავმჯდომარე, ღვაწლმოსილი და დადებითი პიროვნება. ამდენად, მიგვაჩნდა, რომ რექტორის პოსტზე ბატონი მიხეილი იქნებოდა საუკეთესო კანდიდატურა.

რექტორის არჩევნები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გადაიზარდა და იმდენად დაიძაბა სიტუაცია, რომ მაშინდელმა დანაშაულებრივმა რეჟიმმა უნივერსიტეტში შემოიყვანა სპეცდანიშნულების რაზმი და მძიმე ტექნიკაც კი. პრაქტიკულად ჩაკლეს მაშინ უნივერსიტეტი, დააშინეს მთელი პროფესორ-მასწავლებლები, დეკანები, ვინც სამეცნიერო საბჭოს წევრები იყვნენ და მცირედი უპირატესობით, პრაქტიკულად ძალით მოაგებინეს ეს არჩევნები რუსუდან ლორთქიფანიძეს.

— თქვენი ლოზუნგი იყო — „მიხეილ ქურდიანი — 21-ე საუკუნის რექტორი“ რომელიც დამარცხდა....

— დიახ, დამარცხდა უსამართლო ბრძოლაში. სხვათა შორის, მაშინ დამარცხდა საქართველო, და არა მარტო მიხეილ ქურდიანი.

ყველაფერი გააკეთეს, რომ მიხეილ ქურდიანი რექტორი არ გამხდარიყო!

ინტერვიუ თსუ-ის რექტორის მრჩეველთა საბჭოს წევრთან, პროფესორ გიორგი გოგოლაშვილთან

— ბატონო გოგი, რა შეიძლება ითქვას მიხეილ ქურდიანზე, როგორც პიროვნებასა და მეცნიერზე, როგორ შეაფასებდით მას, როგორც მეგობარი, კოლეგა და თანამშრომელი?

— ცხოვრებაში ბევრი ადამიანი შემხვედრია და ერთერთი ყველაზე საინტერესო პიროვნება, ვისაც კი ვიცნობდი, მიხეილ ქურდიანი იყო. მაგალითად, ჩემი გაოცება გამოიწვია იმან, რომ, მას შემდეგ, რაც სადოქტორო დისერტაცია დაიცვა და უკვე გელათის მეცნიერებათა აკადემიის ერთერთი დამფუძნებელი და მისი აკადემიკოს-მდივანი გახლდათ, ახლად აღებული მათემატიკის მაგისტრის დიპლომი მაჩვენა. ერთი პერიოდი იგი ქუთაისის პედაგოგიურ უნივერსიტეტში ზოგადი ენათმეცნიერების კათედრის გამგე იყო და, თურმე, იმჟამად ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურაში მათემატიკის განხრით ჩაუბარებია. ეს მისი ერთერთი მორიგი უცნაურობა იყო, რომელზეც ხშირად ვლაპარაკობთ. მიხეილ ქურდიანის ზუსტი აზროვნება კარგად ჩანს მის სამეცნიერო კვლევებში. იგი ძირითადად კომპარატივისტიკაში მუშაობდა, ეს სამეცნიერო მიმართულება ყველაზე ახლოსაა მათემატიკასთან.

— საინტერესოა, ასეთი უნიკალური პიროვნება და მეცნიერი რატომ იყო უნივერსიტეტში მხოლოდ ასოცირებული პროფესორი?

— მიხეილ ქურდიანი ასოცირებული პროფესორი 2006 წელს გახდა. ამ წელს უნივერსიტეტში ჩატარდა „რეფორმა“, რომელსაც ჩვენ „ლომაია-ხუბუას რეფორმას“ ვეძახით. ვინ უნდა გამხდარიყო სრული პროფესორი და ვინ — ასოცირებული, წყვეტდა არა ამ პროფესორის პიროვნული, მეცნიერული, პედაგოგიური თუ ორატორული მონაცემები, არამედ ის, თუ როგორ უყურებდნენ მას ზემოდან – სამინისტროდან, რექტორატიდან და ა.შ. მაშინ მიხეილ ქურდიანმა რამდენიმე წერილი გამოაქვეყნა ამ რეფორმის სანინააღმდეგოდ და ისიც კი გამიკვირდა, ასოცირებული პროფესორი რომ გახდა. 2009 წელსაც ჰქონდა მას შეტანილი განაცხადი და სრული პროფესორის ვაკანსია ვერ დაიკავა, რადგან მაშინაც წინასწარ იყო განსაზღვრული, ვინ უნდა გამხდარიყო სრული პროფესორი...

— მიხეილ ქურდიანი, როგორც გამორჩეული მეცნიერი, უნივერსიტეტში ამ წლების განმავლობაში არ ჩანდა. ჩვენ ის პერიოდიც გვახსოვს, როცა ბატონმა მიხეილმა რექტორობის სურვილი გამოთქვა. მაშინ მას არჩევნებში გამარჯვების რეალური შანსი ჰქონდა, მაგრამ შედეგი არ აღმოჩნდა ისეთი, როგორი მოლოდინიც სტუდენტებისა და პროფესორების დიდ ნაწილს ჰქონდა. გავიხსენოთ, ვინ უჭერდა მიხეილ ქურდიანს მხარს და, თქვენი აზრით, რატომ არ აირჩიეს იგი რექტორად?



— ეს გახლდათ 2004 წლის დეკემბერი. იმ პერიოდში განათლების სამინისტრომ (მინისტრი, მოგეხსენებათ, კახა ლომაია იყო) დაიწყო „რეფორმა“ და გადაწყვიტა, რომ უნივერსიტეტებში თავიანთი ხალხი მოეყვანა. ასეც მოიქცნენ და 2004 წლის ბოლოს ყველა უნივერსიტეტში იმ ხელისუფლების მომხრე რექტორი დასვეს.

ჩვენს უნივერსიტეტშიც მაშინდელ რექტორს — როინ მეტრეველს — განცხადება დააწერინეს და მისი მოვალეობის დროებით შემსრულებლად უნივერსიტეტისთვის სრულიად უცხო ადამიანი — ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე მოიყვანეს. პირადად ამ ქალბატონის მიმართ სიმპათიით ვარ განწყობილი, რადგან, როგორც კი მიხვდა, რომ უცხო გარემოში აღმოჩნდა და ხელისუფლებამ მისი გამოყენება მოინდომა, წინააღმდეგობა გაუწია და ამას შეეწირა კიდეც...

იმ პერიოდში, როცა მიხეილ ქურდიანი იყრიდა კენჭს რექტორის თანამდებობაზე, ქალბატონი რუსუდანი იყო ხელისუფლების მიერ მოყვანილი რექტორის მოვალეობის შემსრულებელი. გამოცხადდა კონკურსი, რომელშიც ხუთმა თუ ექვსმა პროფესორმა მოინდომა მონაწილეობა. მიხეილ ქურდიანის კანდიდატურა სტუდენტებმა წამოაყენეს და საინიციატივო ჯგუფმა ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მიმართა. იმჟამინდელი წესდებით, კანდიდატის წარდგენა შეეძლო ჯგუფს და ფაკულტეტს, რექტორს კი ირჩევდა დიდი სამეცნიერო საბჭო, სადაც 200-მდე წევრი იყო გაერთიანებული.

ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ, როგორც მახსოვს, 35-მდე პროფესორი იყო მის შემადგენლობაში, ერთხმად დაუჭირა მხარი მიხეილ ქურდიანის კანდიდატურას. წარმოიდგინეთ, რა პერიოდია: ყველამ იცის, რომ ხელისუფლება მხარს უჭერს ქალბატონ რუსუდან ლორთქიფანიძეს, ისიც იციან, რომ მიხეილ ქურდიანი ოპოზიციური კანდიდატია, რომელიც იმჟამინდელი რეფორმის წინააღმდეგ გამოდიოდა და კრიტიკული წერილებიც ჰქონდა გამოქვეყნებული. ამ სიტუაციაში არჩევნების პირველ ტურში მან ქალბატონ რუსუდანთან ერთად გაიმარჯვა. შემდეგ მეორე ტური შედგა. ახლაც მახსოვს — აუდიტორიაში სადღაც ბოლოში, კუთხეში იჯდა მიხეილ ქურდიანი და ერთად ველოდებოდით შედეგებს. მეორე ტური ქალბატონმა რუსუდანმა მოიგო. თავისთავად ის ფაქტი, რომ იმ სიტუაციაში მიხეილ ქურდიანმა მეორე ტურში გასვლა შეძლო, ბევრს ნიშნავს, რადგან, გარდა სამეცნიერო საბჭოს წევრებისა, აუდიტორიაში უცხო ხალხიც მრავლად იყო – სპეცსამსახურების წარმომადგენლები და ოფიციალური პირები.

— თქვენი აზრით, ეს სამართლიანი არჩევნები იყო?

— როცა არჩევნებში უნივერსიტეტისათვის უცნობი პიროვნება იმარჯვებს და ეს უცნობი პიროვნება ხელისუფლების მიერაა შემოთავაზებული, არ შეიძლება ითქვას, რომ ეს სამართლიანი არჩევნები იყო.

— მაგრამ, წესით ხომ დიდი სამეცნიერო საბჭო ირჩევდა რექტორს? რამ განაპირობა, რომ მათ დაუშვეს და ზემოდან ნაკარნახევი კანდიდატურა აირჩიეს? ხომ არ იყო ეს დიდი სამეცნიერო საბჭოს მიერ გამოვლენილი სისუსტე, რამაც შემდგომში უნივერსიტეტის ხელისუფლების გავლენის ქვეშ მოქცევა განაპირობა?

— თქვენ სწორედ შეაფასეთ. ეს იყო სწორედ იმჟამინდელი დიდი სამეცნიერო საბჭოს სისუსტე. ვიცი, ამ საბჭოს ძალიან ბევრი წევრი სხვა აზრზე იყო და შედეგი სულ სხვა მივიღეთ.

— თუ გახსოვთ, როგორ შეხვდა მიხეილ ქურდიანი მეორე ტურში დამარცხებას?

— დიახ, მახსოვს. ეს არჩევნები უნივერსიტეტის ეზოში გამართული მიტინგის ფონზე ჩატარდა. სწორედ მომიტინგეებთან გავიდა მიშა ქურდიანი არჩევნების დასრულების შემდეგ და სიტყვით მიმართა მათ. ეს იყო მისი ერთერთი გამორჩეული ნიმუში ორატორული ხელოვნებისა.

— დამარცხებას ელოდით?

— ველოდით, რადგან ვიცოდით, რა ძალა მოვიდა განათლების სისტემაში, რა მიზანი ჰქონდათ მათ და ვისი მეშვეობით ცდილობდნენ მიზნის მიღწევას. ლომაიას კი ქურდიანი ნამდვილად არ გამოადგებოდა. ამიტომაც ყველაფერი გააკეთეს, რომ მიხეილ ქურდიანი რექტორი არ გამხდარიყო.

— როგორც ცნობილია, მიხეილ ქურდიანი დიდი აღტაცებით ხვდებოდა „ვარდების რევოლუციას“. როდის დაშორდა იმ სახელისუფლო გადაწყვეტილებებს და როდის დაიწყო „ვარდების ხელისუფლების“ საწინააღმდეგო მოსაზრებების გამოთქმა?

— „ვარდების რევოლუციას“ ძალიან ბევრი ხვდებოდა დადებითი მოლოდინებით. გარკვეულწილად მეც, რადგან ჩვენ წინა პერიოდმა ბევრი პრობლემა გაგვიჩინა და ვიფიქრეთ, რომ ამ პრობლემების მოგვარება შესაძლებელი იქნებოდა, თუ ხელისუფლებაში მოვიდოდა ის თაობა, რომელიც არ იყო კორუმპირებული და არ ასოცირდებოდა კომუნისტურ რეჟიმთან. ამიტომ მიხეილ ქურდიანიც თანაუგრძნობდა იმათ, ვინც ცდილობდა ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლას. მაგრამ, სამწუხაროდ, ძალიან მალე გამოიკვეთა ცუდი პერსპექტივა (ამჯერად ვსაუბრობ მხოლოდ განათლებისა და მეცნიერების თვალსაზრისით), აშკარად გამოჩნდა, რომ ხელისუფლება, რომელიც რევოლუციური გზით მოვიდა, ძალიან მძიმე დღეში ჩააგდებდა ამ სფეროს.

— ანუ თქვენ და ბატონი მიხეილი იყავით იმედგაცრუებული ადამიანები და არა მაშინდელი ხელისუფლების მოწინააღმდეგეები?

— ნამდვილად. იმ ნოემბრის დღეებში ყავარჯნით ვიდექი მიტინგებზე, რადგან ჩვენი ცხოვრების უკეთესობისკენ შეცვლა მინდოდა. სამწუხაროდ, მალე გამოიკვეთა სავალალო პერსპექტივა... სწორედ შემოდგომაზევე გამოქვეყნდა მიხეილ ქურდიანის და მარიამ ცაცანაშვილის ერთობლივი წერილი. იმჟამად მზადდებოდა კანონპროექტი უმაღლესი განათლების შესახებ. ეს წერილი სწორედ ამ საკითხს შეეხებოდა. მასში მოცემული იყო პროექტის საკმაოდ სერიოზული ანალიზი სამართლებრივი და სხვა თვალსაზრისით. 2004 წლის ნოემბერში ჩვენ გვქონდა შეხვედრები მინისტრ კახაბერ ლომაიასთან და მის გუნდთან. გაიმართა ხელჩართული კამათი იმ პრობლემებზე, რასაც ვხედავდით შემოთავაზებულ კანონპროექტში. ჩვენთან ერთად იყო მიხეილ ქურდიანიც...

— თქვენ პროტესტის ნიშნად არ მიიღეთ თსუ-ის აკადემიურ კონკურსებში მონაწილეობა. ბატონი მიხეილი კი გავიდა კონკურსში და ასოცირებული პროფესორი გახდა. აქ დაშორდით ერთმანეთს?

— ასე გამოდის... აქ გაიყო ჩვენი აზრები: მე ბოლომდე მიმაჩნდა, რომ იმჟამად არსებულ საუნივერსიტეტო ხელმძღვანელობასთან თანამშრომლობა არ შეიძლებოდა. მიხეილ ქურდიანმა სხვა გადაწყვეტილება მიიღო. მას მიაჩნდა, რომ ამ გზით შეიძლებოდა ებრძოლა, დარჩენილიყო სტუდენტებთან და სწორ გზაზე დაეყენებინა ისინი. ალბათ ჩემი შესაფასებელი არ არის, ვისი ნაბიჯი უფრო სწორი იყო, ამას დრო გამოაჩენს, მაგრამ, ფაქტია, ჩვენ ამ შემთხვევაში გავიყავით და ჩამოყალიბდა ორი მიმართულება. თუმცა ამით ჩვენი მეგობრობა არ დამთავრებულა. უბრალოდ, გაიყო თვალსაზრისები უნივერსიტეტთან მიმართებაში სამომავლო ურთიერთობის გზებთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ჩვენ ერთად ვთანამშრომლობდით ენათმეცნიერების ინსტიტუტსა და საპატრიარქოს უნივერსიტეტში, სადაც ენათმეცნიერული მიმდინარეობა, ფაქტობრივად, ჩვენ დავაფუძნეთ — ავთანდილ არაბულმა, მიხეილ ქურდიანმა და მე...

მოამზადა **ნინო კაკულია**

„ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲐᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲝᲓᲘᲡ“

ᲒᲕᲔᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲙᲝᲡᲘ, ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

— ბატონო ვახტანგ, როგორ შეაფასებდით მიხეილ ქურდიანს, როგორც ისტორიის მცოდნეს?

— ბატონ მიხეილს შეეძლო თავისი კომპეტენტური აზრი გამოეთქვა ენათმეცნიერების ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე. იგი იყო პირველი ექსპერტი. მის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ წლების მანძილზე ბატონ მიხეილთან ურთიერთობამ დამარწმუნა, რომ ძალიან ღრმად და საფუძვლიანად იცოდა საქართველოს როგორც ძველი და შუა საუკუნეების, ასევე, ახალი და უახლესი ისტორია. მსოფლიო ისტორიის სპეციალისტი არ ვარ, მაგრამ მსოფლიო ისტორიის პროფესიონალები, კერძოდ, ძველი აღმოსავლეთის, საბერძნეთისა და რომის ისტორიის სპეციალისტები ამბობდნენ, რომ იგი ამ საკითხებშიც ძალიან დიდ ცოდნას ამჟღავნებდა. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ბატონმა მიხეილმა საქართველოს ისტორია იცოდა პროფესიონალი ისტორიკოსის დონეზე. ერთი პერიოდი ჩვენ ვსაუბრობდით და პრაქტიკული ნაბიჯებიც გადავდგით, რომ ბატონ მიხეილს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხიც მოეპოვებინა და ამჯერად მეორე სადოქტორო დისერტაცია, ყველა წესის მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სადისერტაციო საბჭოზე დაეცვა. შემდეგ ამ საქმეს მისმა ხანგრძლივმა ავადმყოფობამ ხელი შეუშალა. თემა ძალიან საინტერესო ჰქონდა: მისი ვარაუდით, დაახლოებით ერთ წელიწადში, სურდა წარმოედგინა დასრულებული ნაშრომი ენობრივი მონაცემების მიხედვით ქართველთა განსახლების არეალის შესახებ. მიკითხავდა კიდეც ამ ნაშრომიდან ცალკეულ ნაწილებს, თუმცა სულ ვეუბნებოდი, რომ კომპეტენტური არ ვარ საქართველოს უძველეს ისტორიაში, მაგრამ ისეთი ახლო ურთიერთობა გვქონდა, რომ ისიც თავს თვლიდა მოვალედ — ჩემთვის ერთერთი პირველისათვის აეხსნა — რას მიაღწია, რა დაადგინა, რას ვერ მიაკვლია და ასე შემდეგ.

— ანუ იგი საკმაოდ დიდ ცოდნას ფლობდა როგორც ენათმეცნიერების, ასევე ისტორიის დარგში და ჰქონდა განსაკუთრებული უნარიც გაეანალიზებინა საკმაოდ დიდი მოცულობის ინფორმაცია...

— იგი უფრო მეტად ინფორმირებული იყო — თუ რა ხდებოდა საქართველოს ისტორიის გაყალბების თვალსაზრისით უცხოეთში. ყველაფერი იცოდა. ვლაპარაკობ იმ წლებზე, როდესაც ინტერნეტი პრაქტიკულად არ არსებობდა. საიდან იღებდა ინფორმაციას, ახლაც მიკვირს, ალბათ ჟურნალ-გაზეთებიდან და კერძო მიმოწერიდან. გადატვირთული სამუშაო დღის მანძილზე ხშირად ყველაფრის მოსმენას ვერ ვახერხებდი, მაგრამ როდესაც ბატონი მიხეილი უნივერსიტეტში ჩემს სამუშაო კაბინეტში შემოვიდოდა, თანაც აღშფოთებული უცხოელი მეცნიერების მიერ დაწერილი სიყალბით, ყველაფრიდან გამოგთიშავდა და გაიძულებდა — მისთვის თუნდაც ერთი ან ორი საათი სიამოვნებით გესმინა. კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლება. მაგალითად, ხშირად ვუგზავნიდი რაიმე წიგნს და ვიცოდი, საღამოს თუ მიიღებდა, უკვე მეორე დილით დამირეკავდა და მთელ შინაარსს მომიყვებოდა. იყო კურიოზული ამბებიც: თავის საცხოვრებელ სახლთან სამარშრუტო ტაქსში ან ავტობუსში რომ ჩაჯდებოდა, სანამ უნივერსიტეტამდე მოვიდოდა, საშუალო ზომის წიგნი უკვე წაკითხული ჰქონდა.

— რა შეგიძლიათ თქვათ ბატონი მიხეილის საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე?

— ახლაც მიკვირს, როგორ ახერხებდა ყველა საქმეში ჩართული ყოფილიყო. ბოლო წლებში სერიოზულად ავად იყო. ამის შესახებ არ ლაპარაკობდა, მაგრამ მეგობრები ხომ ვატყობდით, რომ წლების მანძილზე მისი ჯანმრთელობა სულ უფრო უარესობისკენ მიდიოდა. თუმცა ეს ხელს არ უშლიდა ყოფილიყო ყველგან, სადაც თვლიდა, რომ მისი ყოფნა აუცილებელი იყო. ერთი კარგი თვისება ჰქონდა, სრულიად ბანალურ, უბრალო საკითხზე ისე ისაუბრებდა, რომ მსმენელს მაშინვე დაატყვევებდა. ნებისმიერ საკითხზე შეეძლო აუდიტორია ხელში აეყვანა. ეს ყველაფერი, ახლა ჩვენ მოგონებად დაგვრჩა. მიხეილ ქურდიანის გარდაცვალება მისი მეგობრებისთვის დიდი ტრაგედია იყო, მაგრამ ასევე გული გვწყდება, რომ ბატონმა მიხეილმა ძალიან ცოტა ნაშრომი დატოვა. მეცნიერებისთვის მეტისმეტად ახალგაზრდა გარდაიცვალა. ვერ ახერხებდა საზოგადოებრივ მოღვაწეობას გამოსთიშოდა და, რაც აზრები ჰქონდა, ქაღალდზე გადაეტანა, რადგან ლექციაზე, საზოგადოებრივ ასპარეზზე, მეგობრებთან, სტუდენტებთან მთლიანად იხარჯებოდა, ბევრს მოგზაურობდა. 5 ან 10 წელი რომ დასცლოდა, უამრავ მნიშვნელოვან ნაშრომს დატოვებდა. ეს მის მეგობრებს დღემდე გულში ხინჯად გვაქვს.

— არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც ბევრი ადამიანი, რომელმაც საზოგადოებისა და საკუთარი ქვეყნის კეთილდღეობისთვის უამრავი რამ გააკეთა, გარდაცვალების შემდეგ დააფასეს. თქვენი აზრით, მიეკუთვნება თუ არა მათ რიცხვს მიხეილ ქურდიანიც?

— აფხაზეთში რომ დავმარცხდით და, როგორც ერთ-ერთი რიგითი მებრძოლი, მიხეილ ქუდიანიც დამარცხდა, გარე ძალის დამსახურება იყო, რომელმაც აფხაზეთში პროვოკაციულად წამოიწყო ომი და ჩვენც წამოგვაგო ამ ანკესზე. მიხეილ ქურდიანმა რომ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვერ მიიღო ის, რაც ეკუთვნოდა, ამას გარე ძალას ვერ დავაბრალებთ. იგი განირა იმ გარემომ, რომელიც მაშინ უნივერსიტეტში არსებობდა. როდესაც იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის არჩევნებში დამარცხდა (პირდაპირ ვთქვათ: კი არ დამარცხდა, არამედ მისი კანდიდატურა „ჩააგდეს“), მითხრა: არ მწყინს, რადგან არჩევნები არის საზოგადოების გარკვეული მონაპოვარი და ჩვენთან ეს ჯერ მიღწეული არ არისო. გალიაში გაზრდილი ლომი გალიაში უნდა მოკვდეს, რადგან ბუნებაში, თავისუფლებაში გაზრდილ ლომებთან ერთად ვერ იარსებებსო. აბა, გული როგორ დამწყდება არჩევნებში დამარცხებაზე, მე ხომ გალიაში გაზრდილმა და მერე გამოშვებულმა ადამიანებმა არ მომცეს ხმაო. მე აშკარად ვიგრძენი, რომ მას არჩევნებში დამარცხებაზე კი არ წყდებოდა გული, არამედ იმაზე, რომ ადამიანებმა, რომლებიც მას მხარდაჭერას აღუთქვამდნენ და ერთგულებას ეფიცებოდნენ, საარჩევნო ყუთთან როცა მივიდნენ, მიხეილ ქურდიანის წინააღმდეგ მისცეს ხმა. იმ არჩევნების შედეგებიც მაშინ წინასწარ იყო ცნობილი... ასე რომ, თავისუფლება ადვილად არ მოდის...

მოამზადა **ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ**

„ᲓᲔᲓᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ“ ᲓᲐᲬᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲘ

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲡᲣᲚᲐᲑᲔᲠᲘᲫᲔ საზოგადოებისთვის ცნობილია როგორც დემოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თუმცა იგი ასევე გახლდათ მიხეილ ქურდიანის მეგობარი, თანამებრძოლი, თანამოაზრე და პარტნიორი. მას მიხეილ ქურდიანის, როგორც ადამიანის, როგორც პოლიტიკოსის, როგორც მებრძოლის და როგორც მეცნიერის გასაცნობად, არაერთი ისტორიის გახსენება შეუძლია. თუ როგორ ახასიათებს ავთანდილ სულაბერიძე მიხეილ ქურდიანს, ინტერვიუდან შეიტყობთ.

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

— რას გაიხსენებთ მიხეილ ქურდიანზე, როგორც დემოგრაფიული საზოგადოების დამფუძნებელსა და პრეზიდენტზე?

— 80-იანი წლების დასაწყისში, დემოგრაფიის მიმართულებით, მოსკოვში, დისერტაციის დაცვის შემდეგ, მიშამ თანამოაზრეებთან ერთად, დემოგრაფიული საზოგადოების დაფუძნების იდეა გამანდო. მე, რა თქმა უნდა, მივესალმე ამ იდეას და სიამოვნებით დავთანხმდი. შემდეგ მწერალთა კავშირში წამოაყენა ეს საკითხი, სადაც მხარი დაგვიჭირეს და 80-იანი წლების ბოლოს უკვე შეიქმნა დემოგრაფიული საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედ ლევან სანიკიძე ავირჩიეთ. 1991 წელს კი, როდესაც საქართველოში პოლიტიკური ვითარება აირია, ახალი ყრილობა მოვიწვიეთ და საზოგადოების პრეზიდენტად მიხეილ ქურდიანი ავირჩიეთ. მან ბევრი რამ გააკეთა ამ პერიოდში. მაგალითად, საქართველოს დემოგრაფიული საზოგადოების ძალისხმევით, 1992 წლის 2 მარტს საქართველოს პარლამენტმა დააწესა „დედის დღე“, თუმცა, ამ დამსახურებას, რატომღაც ზვიად გამსახურდიას მიაწერენ, რომელიც ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო. საქართველოს საკანონმდებლო ორგანოში „დედის დღესთან“ დაკავშირებით ჩვენ უფრო ვრცელი პროექტი შევიტანეთ. ჩვენი იდეით, ეს დღე უნდა ყოფილიყო გაზაფხულის პირველი უქმე დღე, რიცხვს მნიშვნელობა არ ჰქონდა. ამ დღეს ყველა იმუშავებდა და შემოსული თანხა ჩაირიცხებოდა დემოგრაფიულ საზოგადოებაში მრავალშვილიანი დედების დასახმარებლად. პროექტი, მიუხედავად ჩვენი წინააღმდეგობისა, საქართველოს პარლამენტმა შეცვალა. უფრო მეტიც, პარლამენტართა გარკვეული ნაწილი დედის დღის დაწესების წინააღმდეგი იყო. ამას მოჰყვა მრავალშვილიან დედათა გამოსვლები, დემოგრაფიული საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის და წევრების შიმშილობა. რამდენადაც, ძირითადი მიზანი მაინც „დედის დღის“ დაწესება იყო, პროექტის ცვლილებას იძულებით დავთანხმდით.



— მიხეილ ქურდიანის პოლიტიკური მოღვაწეობა „ილია ჭავჭავაძის საზოგადოების“ შექმნით დაიწყო. რას იტყოდით მის პოლიტიკურ საქმიანობაზე?

— როგორც ვიცი, ამ საზოგადოების დაფუძნების დროსაც მიშა ერთერთი პირველი იყო. ზურაბ ჭავჭავაძის გვერდით იდგა და თავის აქტიურ როლს თამაშობდა. მისი მგზნებარე გამოსვლები ახლაც თვალწინ მიდგას. იგი გია ჭანტურიას გვერდითაც იბრძოდა. ზვიად გამსახურდიასთან გარკვეული დაპირისპირება ჰქონდა. როდესაც საქართველოს პარლამენტის პარალელურად კონგრესის არჩევნები ჩატარდა, მიხეილ ქურდიანი გია ჭანტურიასთან ერთად მის წევრად აირჩიეს. მიშას ჰქონდა ლიდერის თვისებები. შეიძლება ითქვას, რომ მისი პოლიტიკური მოღვაწეობა დემოგრაფიული საზოგადოებიდან დაიწყო, რადგან იმ პერიოდში დემოგრაფიული საზოგადოება პოლიტიკური ორგანიზაციაც გახდა და 1991 წლის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო.

— რა მიზეზით დაანება თავი მიხეილ ქურდიანმა პოლიტიკას?

— ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა, რომ 1992 წლის არჩევნებში კენჭი გვეყარა, მაგრამ ეს იყო ხუნტის მიერ მოწყობილი პოლიტიკური გადატრიალება და ამიტომ პარლამენტში შესვლაზე უარი ვთქვით. მიხეილ ქურდიანმა გადაწყვიტა, რომ უფრო შედეგიანი კალმით ბრძოლა იქნებოდა. დღეს უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიშას მეცნიერული მოღვაწეობით ბევრად უფრო მეტი მოიგო ქვეყანამ, თუმცა არც იმ შრომის დაკარგვა შეიძლება, რომელიც მან ეროვნული მოღვაწეობის დროს გასწია.

ერთი სიტყვით, მიხეილ ქურდიანი გულანთებული პატრიოტი და არაჩვეულებრივი ადამიანი იყო. მის სახლში რომ შესულიყავით, მხოლოდ წიგნებს ნახავდით. ყველაფერს, რასაც შოულობდა, ქველმოქმედებისა და საერთო საქმისთვის იყენებდა. მულახელ პრინცს ვეძახდი... (ის ხომ წარმოშობით სვანეთიდან იყო) მისი ქცევის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნამდვილად პრინცი გახლდათ. ეს თვისებები აფხაზეთის ომშიც გამოავლინა, სადაც ერთად ვიბრძოდით; მეგობრობაშიც; მეცნიერებაშიც და ქველმოქმედებაშიც.

თამამი ვერსია საქართველოს გაქრისტიანების თარიღთან დაკავშირებით

გვესაუბრება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი ეკა ვარდოშვილი

— თქვენ მიხეილ ქურდიანთან ერთად მუშაობდით წიგნზე „წმინდა ანდრია პირველწოდებულისა და წმინდა ნინოს სახისმეტყველების პარადიგმატული და სინტაგმატური ასპექტები“. რა ითქვა ამ წიგნით მთავარი?

— წიგნის დაწერის იდეა მიხეილ ქურდიანისგან მომდინარეობდა. ამის საფუძველი მას მისცა ჩემმა შრომებმა და განსაკუთრებით სხალთის კონფერენციაზე წაკითხულმა მოხსენებამ — „ჯვარსახოვნებისთვის მე-19 საუკუნის ქართულ პოეზიაში“. მიშა მოვიდა და მითხრა, რომ სურდა ჩემთან თანაავტორობით დაეწერა წიგნი, რომელიც, ძირითადად, შეეხებოდა აკაკი წერეთლის ნაკლებად ცნობილ ორ პოემას, რომლებიც ქართლის ქრისტიანიზაციის პირველ ორ ეტაპს ეხება. ეს პოემებია: „ანდრიაწოდებული“ და „წმინდა ნინო“. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდი მას და ვუთხარი, რომ ეს ჩემთვის დიდი პატივი იქნებოდა.

ამ წიგნის პირველი ვარიანტი 2009 წელს გამოვიდა. ძირითადი, რაც ამ წიგნშია ასახული, გახლავთ ის, რომ მიშას ქართლის მოქცევის თარიღად მიაჩნდა არა 337 წელი, არამედ 326 წელი. აქ მიხეილ ქურდიანი ეყრდნობა არა მხოლოდ ქართულ წყაროებს, არამედ ბერძნულ და რომაულ წყაროებზე დაყრდნობითაც ასაბუთებს, რომ ქართლის გაქრისტიანება 326 წელს მოხდა. საგულისხმოა ისიც, რომ ეს იყო წიგნის პირველი ვარიანტი. მიშას ოცნება იყო, რომ ეს წიგნი უფრო ფართოდ გამოცემულიყო, იმ ფორმატით, როგორიც არის სიმონ ყაუხჩიშვილის ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია და ეს გამხდარიყო ყველა ქართველის სამაგიდო წიგნი. აღსანიშნავია, რომ მიშამ გელათის მეცნიერებათა აკადემიის სხდომებზე რამდენჯერმე წაიკითხა მოხსენება ამ საკითხებთან დაკავშირებით, მაგრამ ჩვენ წიგნის გამოცემის პირველ ეტაპზე ვერ მოვახერხეთ, რომ სრულად წარმოგვედგინა ის ვერსიები, რადგან მათ დამუშავება და უფრო ხანგრძლივი შრომა სჭირდებოდა.

— ანუ ამ წიგნით შეეცადეთ საქართველოს გაქრისტიანების სხვა თარიღის დასაბუთებას?

— საერთოდ ამ თარიღთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ოფიციალურ წყაროებში და, ასევე, სამეცნიერო ლიტერატურასა და ისტორიოგრაფიაში დასაბუთებულია, რომ საქართველოში ქრისტიანობა 337 წელს შემოვიდა. ეს მოსაზრება, ძირითადად, ეყრდნობა ივანე ჯავახიშვილს. მიხეილ ქურდიანი კი ასაბუთებს, რომ ეს თარიღი შეიძლება იყოს 326 წელი.

— ანუ მიშა ქურდიანი და თქვენ, როგორც მისი თანაავტორი, ასაბუთებთ იმის საწინააღმდეგოს, რაც ივანე ჯავახიშვილმა თქვა?

— ამ წიგნში ასეა მიჩნეული, მაგრამ საკითხი ჯერ კიდევ ბოლომდე შეუსწავლელია. სინამდვილეში, 319 წლიდან მოყოლებული, მზის დაბნელება საქართველოში ეტაპობრივად რამდენჯერმე განხორციელდა. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ თარიღთან დაკავშირებით არსებობს ბოლო პერიოდის ასტრონომიული გამოკვლევებიც და, შეიძლება, ის მართლა უფრო ემთხვეოდეს 326 წლის ახლო მდებარე პერიოდს, ვიდრე 337 წელს. ამის ბოლომდე დასაბუთება ამ წიგნში ვერ მოვახერხეთ მიხეილ ქურდიანის გარდაცვალების გამო. თუმცა ეს არის ძალიან სადავო საკითხი და შეიძლება კიდევ სხვა ვერსიები და სხვა რედაქციებიც აღმოჩნდეს. მაგალითად, „წმინდა ნინოს ცხოვრების“ სინური ხელნაწერი მაშინ გამოჩნდა, როდესაც ამ წიგნზე მუშაობა დასრულებული იყო. ანუ ეს არის დაუსრულებელი მეცნიერული კვლევა, რომლის შედეგებზეც შეიძლება სხვა შეგვედავოს, ან — დაგვემოწმოს.

— უდავოდ თამამი ნაშრომია...

— დიახ, ეს ჩათვალეს თამამ ნაშრომად, როგორც ისტორიულ თარიღთან მიმართებაში, ასევე, ამ ისტორიულ და ლიტერატურულ წყაროებთან აკაკი წერეთლის დამოკიდებულებასთან მიმართებაში. ჩვენ უარყოფითი გამოხმაურება და რეცენზია არ მიგვიღია, მიუხედავად იმისა, რომ ლიტერატურათმცოდნეების და ისტორიკოსების ფართო წრე, როგორც ჩვენთან, ასევე, უცხოეთში, გაეცნო ამ წიგნს.

— ეს მიიღეს, როგორც ერთერთი ვერსია?

— დიახ, და საერთოდ, გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალში ქალბატონმა დამანა მელიქიშვილმა აღნიშნა კიდეც ამ წიგნის გამოსვლისა და მნიშვნელობის შესახებ. ამდენად, ჩვენ მხოლოდ დადებითი რეცენზიები გვაქვს.

„მულახელი პრინცი“

გვესაუბრება მწერალი ერეკლე საღლიანი:

— უამრავი რამ მაქვს მოსაყოლი, მაგრამ განსაკუთრებით სვანეთში მომხდარ ამბებს გავიხსენებ: ერთხელ მყინვარზე ავიყვანე. უზარმაზარ ჩანჩქერს შეუდგა, მეგონა კლდიდან ჩამოვარდნილი წყალი კისერს მოაწყვეტდა. მყინვარიდან რომ ჩამოვედით, მიშა ორი დღე საწოლიდან ვერ ადგა. მამაჩემმა უსაყვედურა: ჩემი შვილის სიგიჟეს როგორ აჰყევი და მყინვარზე როგორ ახვედითო. მიშამ უპასუხა: ეს ის შემთხვევაა, როდესაც სიკვდილი ღირს... ვინატრებდი, რომ იქ მომკვდარიყავი. გავა ორი-სამი დღე და ისევ ამ უსახურ ცხოვრებაში დავბრუნდები, სიცოცხლე მომეწამლება, იქ კი სულიერი აღზევების პიკში ვიყავიო.

მიშა ქურდიანთან ურთიერთობა — ეს იყო უზარმაზარი სკოლა, რომელსაც ვერც უნივერსიტეტი და ვერც ერთი პრესტიჟული სასწავლებელი ვერ შეგვიცვლის.

მიხეილ ქურდიანს ყველგან აქვს აგებული თავისი პირამიდა...

გვესაუბრება პროფესორი, ლიტერატურათმცოდნე გოგი გაჩეჩილაძე:

— მიხეილ ქურდიანი, როგორც პიროვნება, როგორც ინდივიდი, ფენომენი იყო. იგი დაჯილდოებული იყო ისეთი ნიჭით და ისეთი თვისებებით, რომ ჰუმანიტარული დარგის ნებისმიერ სპეციალობაში ლიდერი იქნებოდა — დაწყებული ფილოსოფიური ანთოლოგიიდან, დამთავრებული კულტუროლოგიის ნებისმიერი საკითხით. ვფიქრობ, ბოლომდე რომ გაჰყოლოდა პოეზიას, იგი კარგი პოეტიც იქნებოდა. წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, რას წარმოადგენდა მიხეილ ქურდიანი, როგორც ფენომენი, გავიხსენოთ ძველი ეგვიპტელები, რომლებიც ამბობდნენ — ადამიანი ცოცხლობს მანამ, სანამ იხსენებენ. ერთერთი მიზეზი, რატომაც ეგვიპტის ფარაონები პირამიდებს აშენებდნენ, იყო სიკვდილის შემდეგ მათი სიცოცხლის გახანგრძლივების, მათი მოგონების, მარადიულობის ნიშანი. ამ თვალსაზრისით, რასაც მოჰკიდა მიშამ ხელი, ყველგან აქვს აგებული თავისი პირამიდა.

მიშას განსაკუთრებული თვისება იყო სტრატეგიული აზროვნება, რაც ნიშნავს დროსა და სივრცეში ერთმანეთისგან დაშორებულ მოვლენებს შორის კავშირების დანახვის უნარს. ეს ადამიანის უნიკალური თვისება გახლავთ, რომლითაც ღმერთი განსაკუთრებულთ აჯილდოებს. აი, ასეთი იყო მიხეილ ქურდიანი და თუ ძველი ეგვიპტელები ამბობდნენ, რომ ადამიანი ცოცხლობს მანამ, ვიდრე მას იხსენებენ, ის, რაც მან გააკეთა, არის პირამიდების მსგავსი გარანტია, რომ ყოველთვის გაიხსენონ მიხეილ ქურდიანის პიროვნება.

მეგობრები მიხეილ ქურდიანზე

გრიგოლ აბაშიძის პატარა მეგობარი

გვესაუბრება ხელოვნებათმცოდნე თოლია აბაშიძე (გრიგოლ აბაშიძის ქალიშვილი):

— გრიგოლ აბაშიძესთან მიშა ქურდიანის მეგობრობა დიდი ხნის წინ დაიწყო. მიშა სულ ახალგაზრდა, დამწყები მწერალი და პოეტი იყო, როდესაც თავისი პირველი ლექსების კრებულის გამოცემა სცადა. მაგრამ არ უბეჭდავდნენ, რადგან ჯერ მისი სახელი ცნობილი არ იყო. ერთ გამომცემელს უთქვამს, თუ გრიგოლ აბაშიძის რეცენზიას მომიტან, ამ წიგნს დაგიბეჭდავო.

მიშა ნინო ქუთათელაძესთან ერთად (მისი მეგობარი პოეტი, მწერალი) მოვიდა ჩვენთან. მაშინ პატარა ბიჭი იყო, 27 წლის. მამას ძალიან უყვარდა ნიჭიერი ახალგაზრდები და ყოველთვის სიხარულით ეგებებოდა მათ. როდესაც მამა გაეცნო მის პოეზიას, ძალიან მოეწონა და რეცენზიაც დაუწერა. შემდეგ მალევე დაიბეჭდა მისი კრებული, რომლის რედაქტორიც გრიგოლ აბაშიძე გახლდათ. მიშა არ ელოდა, რომ ასე უცბად მოხდებოდა ყველაფერი, რამაც იგი ძალიან გაახარა. ამის შემდეგ დაიწყო მათი მეგობრობა. მიშა ხშირად მოდიოდა ჩვენთან. ისინი საათობით საუბრობდნენ პოეზიასა და მწერლობაზე. მათი მეგობრობა მამას სიცოცხლის ბოლომდე გრძელდებოდა.

ინდური ფილმის ფანტაზიორი „რეჟისორი“

გვესაუბრება მიხეილ ქურდიანის გავშვოების მეგობარი თამაზ დოგრაშვილი:

— ჩვენს სკოლაში იყო საინტერესო ლიტერატურული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა თეატრალი, შემდეგ ფილოლოგი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბორის კანდელაკი. შეიძლება ითქვას, მიხეილ ქურდიანი იქ შედგა. იგი ამ წრის ღირსება გახლდათ. ბორის კანდელაკი იყო შენიღბული დისიდენტი, რომელიც ვერ იტანდა, რომ სსრკ-ის შემადგენლობაში ვიყავით და რომ საქართველო დამოუკიდებელი არ იყო. აქედან გამომდინარე, მისი ეს მსოფლმხედველობა ყველა მის მოწაფეზე გადადიოდა და, მითუმეტეს, მიხეილ ქურდიანზე. მიხეილი, როგორც ჭეშმარიტი პატრიოტი, ამ ლიტერატურული წრიდან იწყება... იგი სულ გატაცებული იყო საქართველოს დამოუკიდებლობის თემით. იმ პერიოდში გრიგოლ რობაქიძე აკრძალული იყო. მიშამ მომიტანა მისი სურათი და მთხოვა, დაახლოებით 30 ეგზემპლარი დამიბეჭდეო (ფოტომოყვარული ვიყავი და ჩემი ფოტოლაბორატორია მქონდა). მაშინ პირველად ვიხილე გრიგოლ რობაქიძე. წარმოიდგინეთ, სსრკ-ში აკრძალული მწერლის 50 ფოტო დავბეჭდე, ჩავაბარე და მეორე დღეს მომიტანა „მნათობი“, სადაც დაბეჭდილი იყო გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“. ეს იყო 1968 თუ 1969 წელი, როდესაც გრიგოლ რობაქიძე აღიარეს საბჭოთა კავშირის მტრად. ამაზე უკეთესი საბუთი მიშას დისიდენტური (კარგი გაგებით) მოღვაწეობისა, ძნელია წარმოიდგინო.

* * *

ჩვენს ბავშვობაში არსებობდა კინოთეატრი „კოლმეურნე“ და სულ ინდურ ფილმებს აჩვენებდნენ. ერთ დღესაც მე და მიშა რიგით „შატალოზე“ ვართ და შევედით ამ კინოთეატრში. ბუნებრივია, იგი სავსე იყო ინდური ფილმების მოყვარული ხალხით. მიშა მეუბნება: დაგენიძლავები, პირველი 5 წუთი მაცადე და ამ ფილმის მთელ სიუჟეტს გეტყვიო და, თქვენ წარმოიდგინეთ, როგორც იწინასწარმეტყველა სიუჟეტი, ზუსტად ისე განვითარდა მოვლენები. აგვიტყდა სიცილი, ამ დროს კი ხალხი ჩვენს ირგვლივ ცრემლებად იღვრებოდა და კარგად გამოგვლანძღეს, შემდეგ დირექციამ დარბაზი დაგვატოვებინა.

ლიტერატურა ლიტერატორებისთვის

გვესაუბრება პოეტი, მიხეილ ქურდიანის მეგობარი ნინო ქუთათელაძე:

— იგი სულ ამბობდა, იოლია იმის გაგება, რომ ადამიანებს არ აქვთ მუსიკალური სმენა, მაგრამ ძალიან რთულია იმის გაგება, რომ ადამიანს არ აქვს პოეტური სმენა და ლექსებს მაინც წერსო. სწორედ ამით გამოირჩეოდა მისი ლექსები. საოცარი დამოკიდებულება ჰქონდა სიტყვისადმი, სიტყვას უბრალოდ არ იტყოდა, იმას მეორე უნდა მოჰყოლოდა ისეთი, რომელიც გაამართლებდა. საოცარი მეტაფორები ჰქონდა, ძალიან ვერაგული (მაპატიეთ ამ სიტყვისთვის), რადგან დიდ განათლებას მოითხოვდა მის მეტაფორებში წვდომა. მიშას ლექსები ჩვეულებრივი მკითხველისთვის არ იყო განკუთვნილი. საერთოდ, არსებობს ლიტერატურა მასებისთვის და არსებობს ლიტერატურა ლიტერატორებისთვის. მისი პოეზია იყო სწორედ ლიტერატურა ლიტერატორებისთვის და არა მასისთვის.

ჩვენ ხშირად ვუძღვნიდით ერთმანეთს ლექსებს და ეს ბავშვობიდან შემოგვრჩა.

მისი გარდაცვალებით ჩემთვის დიდი ეტაპი დამთავრდა ცხოვრებაში. ისეთი განწყობა მაქვს, თითქოს აღარც ვარსებობ, რადგან შემოქმედების სტიმული თითქოს გაქრა. ეს იმ ლექსშიც იგრძნობა, რომელიც ბოლოს მივუძღვენი მას. საავადმყოფოში თითქმის ყოველ დღე დავდიოდი, რადგან ძალიან უხაროდა. ის ლექსიც მაშინ დავწერე, მაგრამ მისთვის არ წამიკითხავს, რადგან მომეჩვენა, რომ გავანერვიულებდი.

* * *

დიდი მადლობა ბატონ ლადოს, ის კეთილშობილი კაცია და ვიცი, რომ შეძლებისდაგვარად დააფასებს მიხეილ ქურდიანს. დღეს გავიგე კიდეც, რომ მიშასთვის ივანე ჯავახიშვილის მედალი მიუნიჭებიათ — ეს ჩვენი ზეიმია, მაგრამ უკეთესი იყო, მიხეილიც მოსწრებოდა ამ სიკეთეს...

„მეგობარს მთელს სამყაროში არჩევს ადამიანი“

გვესაუბრება ნუგზარ ბაბუციძე — სამხედრო თადარიგის გენერალ-მაიორი, მიხეილ ქურდიანის მეგობარი:

— მასზე საუბარი იოლიც არის და საკმაოდ რთულიც. ვინმეს შეიძლება ხმამაღლა ნათქვამად მოეჩვენოს, მაგრამ ეს კაცი გენიოსი იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მასზე შეიძლება ვილაპარაკოთ, როგორც უდიდეს მეცნიერზე, შესანიშნავ პოეტზე, დიდ მამულიშვილზე, საზოგადო მოღვაწეზე, შესანიშნავ ოჯახიშვილზე, კარგ მამაზე, კარგ ბაბუაზე. არც ერთი სიტყვა, რომელსაც მასზე ვიტყვით, როგორ მაღალფარდოვნად ნათქვამადაც უნდა მოგეჩვენოთ, არ იქნება გადაჭარბებული.

მეგობრობას განსაკუთრებით აფასებდა. იგი სულ ამბობდა, მეგობრის მოძებნა და შერჩევა გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მეორე ნახევრის პოვნა. მეგობარს მთელს სამყაროში არჩევს ადამიანი, ხოლო მეორე ნახევარს — ნახევარ სამყაროშიო. ისეთი განცდა მაქვს, რომ როგორც ელინელი ბრძენი ეძებდა დღის შუქზე სანთლით მეგობარს, ადამიანს, ისე ეძებდა ბატონი მიხეილი მართალ ადამიანს.

ჯერ მხოლოდ 3 წელი გავიდა, მაგრამ დღეს უკვე შეიძლება ვთქვათ, რომ იგი დაკარგა არა მარტო ოჯახმა და ქართველმა ხალხმა, იგი დაკარგეს ოსებმა, აფხაზებმა, სომხებმა, აზერბაიჯანელებმა, ებრაელებმა, ბერძნებმა... იგი მთელმა კავკასიამ და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხმა დაკარგა.

„მუხა მუხაში მეორდება და არა რკოში“

გვესაუბრება მიხეილ ქურდიანის შვილი
ლევან ქურდიანი:

— ლევან, შვილის თვალში ვინ იყო მიხეილ ქურდიანი?

— როცა მამამ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, ვიღაც ქალბატონი შეგვხვდა უნივერსიტეტის ეზოში და ჰკითხა: ახლა შვილების თვალში როგორ გამოიყურებითო? მამამ უპასუხა: რა მნიშვნელობა აქვს ჩემი შვილისთვის, ვინ ვარ — დოქტორი, კანდიდატი თუ საერთოდ არანაირი ხარისხი არ გამაჩნია. თუ შვილი მამას მისი სტატუსით ზომავს, მაშინ იმ შვილსაც და მამასაც დახმარება სჭირდებაო. მამას შემთხვევაში ბედნიერება იყო, რომ შვილს ნიშანსვეტად, ორიენტირად პიროვნების სხვაგან ძებნა არ სჭირდებოდა. უბრალოდ, მთავარი იყო, როდის მიხვდებოდა შვილი ამას, რომ ეს კონკრეტული მამა არის ადამიანი, რომელიც მისთვის სამაგალითო უნდა იყოს.

— რას გასწავლიდათ? როგორი მამა იყო?

— მხოლოდ ორი მნიშვნელოვანი რჩევა მივიღე მისგან. პირველი იყო პროფესიის არჩევაზე. მამამ თქვა: ვინც და რაც უნდა იყოს შენი ცხოვრების მეგზური, თვითონ უნდა აირჩიო. სხვებს შეუძლიათ მხოლოდ მოგაშორონ ის ბარიერები, რაც გზაზე გხვდება და რეალურ სურათს გიჩრდილავს, რათა მიხვდე — რა ან ვინ აირჩიოო. მეორე შემთხვევა იყო უფრო მოგვიანებით, როდესაც ვკითხე, როგორ გავრკვეულიყავი ჩემს რელიგიურ გრძნობებში და რომელ მოძღვართან მივსულიყავი. მაშინ მითხრა, ბევრი ჭკვიანი ადამიანი ვიცი, მაგრამ საქართველოს ეკლესიაში მეგულება ორი ბრძენი ადამიანი — ერთი პატრიარქი და მეორე — მამა გიორგი გამრეკელი (ახლა მეუფე იოანე), უწმინდესის მრევლი ყველანი ვართ და მიდი მამა გიორგისთანო. აი, ეს იყო ორი ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც მან მომცა ჩემს ცხოვრებაში.

სხვა მხრივ, სრულ თავისუფლებას გვაძლევდა.

— მის ერთერთ ლექსში ნათქვამია: „ღმერთო, გთხოვ მოწყალებას, შვილებისათვის დაწერილ ლექსში გამარითმინე სამშობლო და თავისუფლება“. აქედან გამომდინარე, როგორ ხედავთ თქვენდამი მის დამოკიდებულებას? როგორ მიიღეთ ეს ლექსი?

— ამ ლექსს ჰქონდა ხანგრძლივი წინა ისტორია. 80-იანი წლების ბოლოს მამამ სახლში მოიტანა მჭიდროდ ნაქსოვი სქელი საქართველოს სამფეროვანი დროშა. მაშინ ამ დროშის სახლში გაჩერებაც იკრძალებოდა. სახლში გვაქვს ძველისძველი სკივრი, სადაც მამა ინახავდა ძველ პერიოდიკას — ბაბუას და ბაბუას მამის დროინდელს. მან ისინი ამოალაგა, ეს დროშა აიღო, ჯერ შემომახვია მე, მერე ჩემს ძმას, შემდეგ ჩადო სკივრში და დაალაგა ზევიდან გაზეთები. 26 მაისს ამოჰქონდა ეს დროშა... შემდეგ, როდესაც საქართველო გათავისუფლდა, დროშა კედელზე გვეკიდა. დისიდენტობის და ეროვნული მოძრაობის გამო, მახსოვს, ჩვენი ოჯახის ძალიან ხშირი სტუმარი იყო უშიშროება.

მამასთვის მთავარი გახლდათ, როგორ მიიღებდნენ მისი შვილები — რა არის თავისუფლება და სამშობლო.

— რით ჰგავხართ მამას? რაიმე მსგავსებას თუ ამჩნევთ?

— მამას ჰქონდა ერთი პრობლემა — ის და დრო კარგად ვერ თანამშრომლობდნენ. მეც არეული ურთიერთობა მაქვს დროსთან. მამას არასოდეს ჰყოფნიდა დრო საქმის დასამთავრებლად და მეც არ მყოფნის. სხვაა, რომ მინდა ვგავდე, მაგრამ იმდენი გონიერება მაქვს — დავინახო, რომ არ ვგავარ, რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს ეს ჩემთვის. მამას უყვარდა ერთი გამოთქმა და ხშირად იმეორებდა: „მუხა მუხაში მეორდება და არა რკოშიო“. მას უცნაურობად არ მიაჩნდა, რომ მას არ ვგავდი. დიდი იმედი ჰქონდა, რომ შვილიშვილები დაემსგავსებოდნენ, ვნახოთ... მას უკვე 7 შვილიშვილი ჰყავს...

P.S. სულ რამდენიმე ხნის წინ პატარა მიხეილი ქურდიანი დაიბადა, რომელსაც ბაბუის სახელი დაარქვეს. შესაძლოა სწორედ იგი გაიზარდოს „მუხად“, რომელზეც მიხეილ ქურდიანი ოცნებობდა.

ორი ბედნიერება

გვესაუბრება მიხეილ ქურდიანის მეუღლე, პროფესორი
სოფიო ლობჟანიძე:

— სად გაიცანით მიხეილ ქურდიანი და რა უძღოდა წინ თქვენს ცნობილ ინტერნეტ-მიმოწერას, რომელიც შესულია მიხეილ ქურდიანის ახალ კრებულში — „მარადიული სრბოლის ხმაურში”? რამდენადაც ვიცი, თქვენ და თქვენმა დედამ, ქალბატონმა ბელა სურგულაძემ მოამზადეთ ეს კრებული...

— მიშა გავიცანი ტაო-კლარჯეთის ექსპედიციაში. იმ პერიოდში სტაჟირებაზე გახლდით გერმანიაში, ტუბინგენის უნივერსიტეტში და შვებულებით ვიყავი ჩამოსული. ამით ვისარგებლე და ჩემს მეგობრებთან ერთად წავედი ექსპედიციაში. როგორც შემდეგ მიშამ თქვა, პირველივე წუთებში, პირველივე დანახვაზე, როდესაც თბილისში, რუსთაველის ძეგლთან შევხვდით ერთმანეთს (აქედან უნდა დაძრულიყო ჩვენი ავტობუსი), უკვე შემიყვარდიო. მერე სულ იმას ამბობდა, რომ რაღაც სიმბოლურია იმაში, რომ მე ჩემი სიყვარული საქართველოს დაკარგულ ტერიტორიაზე (ტაო-კლარჯეთში) გავიცანიო.

ტაო-კლარჯეთიდან ჩამოსვლის შემდეგ ერთ კვირაში დავბრუნდი გერმანიაში. იქიდან დაიწყო და, 6 თვის განმავლობაში, თითქმის ყოველ დღე მიგზავნიდა წერილებს და ინტერნეტ-ლექსებს... ამ ყველაფერს კრებულში გაეცნობა მკითხველი. რამდენიმე წერილში მწერს: შენგან არაფერს ვითხოვ, მხოლოდ ნუ მომისპობ იმის საშუალებას, რომ ჩემი გრძნობები შენდამი გამოვხატოო. ამ წერილებში მხოლოდ მიშას პირად გრძნობებზე არ არის საუბარი. მასში ჩანს მიშა, როგორც პოლიტიკურად და საზოგადოებრივად მოაზროვნე, როგორც პოეტი და მწერალი — ლირიული, რომანტიული, იუმორის მოყვარული და ა.შ. და როგორც პიროვნება... სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ წერილების შეტანა კრებულში. შემდეგ მე ჩამოვედი გერმანიიდან და ჩვენი გაცნობიდან ორი წლის თავზე დავქორწინდით.

ფოტოზე სოფიო ლობჟანიძე, ელენე ქურდიანი და მიხეილ ქურდიანი

— როგორი პიროვნება იყო მიხეილ ქურდიანი? რამდენად ადვილი იყო მასთან ცხოვრება?

— ალბათ, უნდა ვილაპარაკო მიშაზე, როგორც მეუღლეზე, მამაზე, რადგან სხვა კუთხით მასზე მისი მეგობრები და კოლეგები ისაუბრებენ.

მიშა უგანათლებულესი ადამიანი გახლდათ. ზოგადად, ასეთ ადამიანებთან ურთიერთობა ძნელია, მაგრამ იგი აქაც განსხვავებული იყო. გახლდათ ძალიან მარტივი საურთიერთობო, თბილი, მოსიყვარულე მეუღლე. ჩვენი ბინა ერთადავაშენეთ და როცა ვარემონტებდით, ვეკითხებოდი: მიშა, ეს როგორ გავაკეთოთ? მპასუხობდა: სოფო, სახლი ქალის არის და შენ როგორც გინდა, ისე გააკეთეო.

მიშა საკმაოდ არაპრაქტიკული იყო და ვცდილობდი, რომ ყოველდღიური ოჯახური, ყოფითი საკითხებისგან გამეთავისუფლებინა, რათა თავიდან ბოლომდე მეცნიერებაზე ყოფილიყო გადართული. ის დიდი მონოგრაფია — „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების საფუძვლები“ ჩვენი თანაცხოვრების პერიოდში დაიწერა. ვთვლი, რომ საკმაოდ დიდი ძალისხმევა ჩავდე, რომ მიშას ეს მონოგრაფია დაემთავრებინა. მახსოვს, ბოლოს ერთი თვით სარფში წავიყვანე. იქ ერთ-ერთი მეგობრის სახლში ვცხოვრობდით. დავთქვით, რომ, როცა საბოლოოდ გაკეთდებოდა სიტყვათა საძიებელი, თბილისში მხოლოდ შემდეგ დავბრუნდებოდით. მადლობა ღმერთს და, ბედნიერი ვარ, რომ მიშა არ წავიდა ამ ქვეყნიდან ისე, რომ ამ მონოგრაფიის გამოქვეყნება ვერ მოესწრო.

— ანუ თქვენ ხელს უწყობდით, რათა ეწერა, ემუშავა?

— ვცდილობდი, რომ ხელი შემეწყო. 2009 წელი იყო, როდესაც გაგვიჩნდა ელენე — მისი ბოლო შვილი, რომელიც მიშას შვილიშვილებზე უმცროსია. ამავე წელს გამოვიდა წიგნიც. ანუ ამ წელს მისი ორი ბედნიერება გაჩნდა. როდესაც ელენე მოვიყვანეთ სამშობიაროდან, მიშამ სასწორზე ჯერ ელენე აწონა (იგი ძალიან პატარა დაიბადა — 2 კილო და 600 გრამი), შემდეგ — წიგნი და თქვა: ჩემი ელენე 200 გრამით უფრო მძიმეა, ვიდრე ეს წიგნიო. ელენე რომ დაიბადა, მამიკომ პირველი სათამაშო მოუტანა — ცხენი. მე შევიცხადე: — რად უნდა გოგოს ცხენი? მან მიპასუხა: სვანის გოგოს პირველი სათამაშო ცხენი უნდა იყოსო.

სამწუხაროდ, მიშა რომ გარდაიცვალა, ელენე წლინახევრის იყო. მას სურდა, ელენე ლაღი გაზრდილიყო. მახსოვს მისი ბოლო სიტყვები საავადმყოფოში: ალბათ, ეს პროცესი უკან აღარ დაბრუნდება და შენ მოგიწევს ელენეს უჩემოდ გაზრდა. სოფო, ელენე უნდა იყოს ლაღი... მიშა თვითონ იყო ძალიან ლაღი და, ალბათ, ეს სურვილიც ამიტომ ჰქონდა. ვცდილობ, რომ მიშას ანდერძი შევასრულო და ელენე ღირსეული მამის ღირსეული შვილი გავზარდო.

იგი ნამდვილად გამორჩეული გახლდათ თავისი სულიერებით

გვესაუბრება საჩხერისა და ჭიათურის მთავარეპისკოპოსი, მიტროპოლიტი დანიელი:

— მიხეილ ქურდიანი გამორჩეული მოვლენა იყო ჩვენი ქვეყნის, როგორც ერის, ასევე, ეკლესიის ცხოვრებაში. მისი გამორჩეულობის მთავარი ნიშანი იყო ის, რომ მასში თანაბრად იყო გამოვლენილი, როგორც საერო, ისე საეკლესიო მოღვაწეობა. ჩვენ გვყავდნენ და გვყვანან საერო და საეკლესიო მოღვაწეები, მაგრამ ისეთი პიროვნება, რომ თანაბრად კომპეტენტური იყოს ორივე სფეროში, ძალიან იშვიათია. ასეთი გახლდათ მიხეილ ქურდიანი.

შემთხვევითი არ იყო, რომ ხელმძღვანელი გელათის მეცნიერებათა აკადემიისა, რომლის შექმნის მთავარი მიზანი იყო სარწმუნოებასა და მეცნიერებას შორის ხელოვნურად განწყვეტილი კავშირის აღდგენა, მიხეილ ქურდიანი იყო. იგი გახლდათ კარგი მეცნიერი, ორატორი, მეგობარი, შემოქმედი, მრავალმხრივ განათლებული, მოსიყვარულე, თბილი, გულისხმიერი ადამიანი.

მას დიდი დამსახურება აქვს უახლეს ისტორიაში. კერძოდ, როდესაც ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის შეთანხმება უნდა დადებულიყო, ამ პროცესს წინ უძღოდა სერიოზული სჯა-ბაასი, კამათი, ხშირად გადაულახავი წინააღმდეგობები. პოლემიკაში ჩართული იყო პარლამენტი, აღმასრულებელი ხელისუფლება, არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე — მეცნიერები, კულტურის სფეროს წარმომადგენლები... ნამდვილად არ იყო იოლი კონსესუსამდე მისვლა. საბოლოოდ შედეგს მივაღწიეთ. ამ შეთანხმებამ რეალურად აღადგინა ეკლესიის ის ისტორიული როლი, რომელიც აღნიშნულია კონსტიტუციაში. ამაში უდიდესი დამსახურება სწორედ მიხეილ ქურდიანს მიუძღვის.

ბატონი მიხეილი დიდი მეცნიერი და ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო. როდესაც აფხაზეთში საომარი მოქმედებები დაიწყო, იგი, როგორც რიგითი ჯარისკაცი, იბრძოდა იქ. დაიჭრა და ეს მოუშუშებელი ჭრილობა ატარა წლების მანძილზე. მისი იერუსალიმში ყოფნის დროს სასწაული მოხდა. წმინდა ადგილების მოლოცვის და მაცხოვრის საფლავთან ლოცვის შემდეგ, მას ეს ჭრილობა შეუხორცდა. ეს იყო ნიშანი იმისა, რომ იგი იყო გამორჩეული ადამიანი, ღვთისკაცი.

— მიხეილ ქურდიანი პატრიარქის ნებართვით დაიკრძალა სამთავროს მონასტრის ეზოში, რაც მისი ნატვრა და სურვილიც ყოფილა. საბოლოოდ, ეკლესიამ უფრო მეტად დააფასა იგი, ვიდრე რომელიმე ხელისუფლებამ...

— მას მოუწია ისეთ პერიოდში ცხოვრება, როდესაც მღელვარე მოვლენები იყო, ამიტომ ისეთი დაფასების საშუალება არ ჰქონდა ქვეყანას, როგორსაც იმსახურებდა. იგი ნამდვილად გამორჩეული გახლდათ თავისი სულიერებით, სარწმუნოებით და სრულიად დამსახურებულია, რომ იგი სამთავროს დედათა მონასტერშია დაკრძალული. სულ რამდენიმე ნაბიჯში მამა გაბრიელის საფლავიდან, მისი უკვდავი სული ღვთის მფარველობის ქვეშ არის და ჩვენ შევთხოვთ უფალს, არ მოაკლოს მის სულს შვება, სიხარული და წყალობა.

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘᲡ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲚᲝᲒᲘᲡ, ᲘᲔᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠ ᲰᲐᲘᲜᲪ ᲤᲔᲜᲠᲘᲮᲘᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲗᲡᲣ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ!

ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲔᲚᲘ ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲚᲝᲒᲘ, ᲘᲔᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ (�გᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ) ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲝᲠᲘ ᲰᲐᲘᲜᲪ ᲤᲔᲜᲠᲘᲮᲘ �თᲡᲣ-ᲘᲡ ᲠᲔᲥᲢᲝᲠᲡ, ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲞᲐ�პᲐᲕᲐᲡ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲠᲘᲚᲡ ᲣᲒ ᲖᲐᲕᲜᲘᲡ.



„პატივცემულო ბატონო ვლადიმერ, დიდ მადლობას მოგახსენებთ თქვენი წერილისათვის, რომელშიც შემატყობინეთ, რომ მომენიჭა თქვენი უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემია. ამან, რა თქმა უნდა, გამახარა, თუმცა ეს პრემია მე კი არა, ქართველებს გეკუთვნით, რადგანაც ყველაფერი, რაც ქართველოლოგიისა და კავკასიოლოგიის დარგში გავაკეთე, ქართველების დამსახურებაა. მე ხომ ქართველებისგან მივიღე ჩემი ცოდნა და, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელო თქვენი უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელი, ბატონი აკაკი შანიძე, რომელმაც მასწავლა ძველი ქართული ენა. ასე რომ, თქვენი უნივერსიტეტის მეცნიერების დიდი მადლობელი ვარ.

დიდი მადლობა თქვენი მოწვევისთვისაც. სამწუხაროდ, ჯანმრთელობა მიღალატებს და ვერ ჩამოვალ თბილისში, გთხოვთ მაპატიოთ. მე რა ხანია პენსიონერი ვარ და არ ვიცი, კიდევ რამეს თუ შევძლებ, მაგრამ დამერწმუნეთ, მუდამ ვიქნები ქართველი ერისა და ქართული კულტურის თაყვანისმცემელი“, — წერს პროფესორი ჰაინც ფენრიხი.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი ქართველოლოგიაში განსაკუთრებული ღვაწლისთვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიით 2014 წლის 13 თებერვალს საუნივერსიტეტო საპრემიო კომისიის წევრების გადაწყვეტილებით დაჯილდოვდა.

ჰაინც ფენრიხს გადაეცემა ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის დიპლომი და თანხა 2 000 ლარის ოდენობით.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს ვლადიმერ პაპავას ინიციატივით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო პრემიის მოსაპოვებლად კონკურსი 2013 წლის 26 დეკემბერს გამოცხადდა. პრემიის მოსაპოვებლად 2 კანდიდატი იყო წარდგენილი.

* * *

გერმანელი ენათმეცნიერი, პროფესორი ჰაინც ფენრიხი ცნობილი ქართველოლოგი და კავკასიოლოგია. მან 1971 წელს თსუ-ში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, არჩეულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ წევრად. პროფესორი ფენრიხი არის ჟურნალ „გეორგიკას“ დამაარსებელი და რედაქტორი.

ჰაინც ფენრიხი მრავალი წლის განმავლობაში იენის უნივერსიტეტში ხელმძღვანელობდა კავკასიოლოგიის, კერძოდ, ქართველოლოგიის მიმართულებას. იგი დღემდე მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწევა გერმანიაში ქართული ენისა და კულტურის პროპაგანდისათვის. მისი წიგნები მოიცავს ქართული კულტურის თითქმის ყველა სფეროს. პროფესორმა ფენრიხმა გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა ქართული ლიტერატურის ისტორიის, საქართველოს ისტორიის, ქართული მითოლოგიის, საქართველოს ისტორიული და კულტურული ძეგლებისადმი მიძღვნილი რამდენიმე ათეული მონოგრაფია.

განსაკუთრებით ნაყოფიერია მისი მუშაობა ქართველური და კავკასიური ენების შესწავლის საქმეში. მისი კვლევის სფერო მოიცავს ძველი და ახალი ქართული ენის გრამატიკას. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ფუნდამენტური ნაშრომები: „ქართული ენა“, ძველქართულ-გერმანული ლექსიკონი (პროფ. ზურაბ სარჯველაძის თანაავტორობით), ენათმეცნიერულ ტერმინთა ქართულ-გერმანული ლექსიკონი (პროფ. ზურაბ სარჯველაძესთან ერთად), ქართველური ენების ეტიმოლოგიური ლექსიკონი (პროფ. ზურაბ სარჯველაძის თანაავტორობით). ასევე მრავალი ქართული ლიტერატურული ძეგლის გერმანული თარგმანი და კომენტირებული გამოცემა და მრავალი სხვა.

პრემია ქართველოლოგიაში განსაკუთრებული ღვაწლისთვის 2 წელიწადში ერთხელ გაიცემა.

ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ

მესამე გვერდიდან

მემკვიდრეობის ძეგლის, ბედით და ხუდონჰესის მშენებლობის პრობლემით.

ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრანტი სალომე ჭანტურიძე დაინტერესდა, რას აკეთებს ხელისუფლება იმისთვის, რომ „რუსულმა კომპანია „არ-ემ-ჯი გოლდმა“ არც გარემო დააზიანოს და არც „უძველესი ოქროს მომპოვებელი საბადო“.

„ვიცი, რომ ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ საკითხმა. ვიცი, რომ შექმნილი იყო კომისია, რომელშიც ბევრი მეცნიერი იყო ჩართული და დაიდო დასკვნა, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ ეს საბადო არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ისტორიულ ძეგლს და არ არის ოქროს უძველესი მაღარო. ინვესტორმა კომპანიამ, რომელმაც განახორციელა 300 მილიონის ინვესტიცია და დასაქმა 3000 ადამიანი, შემოგვთავაზა, რომ მოხდება თანამედროვე ტექნოლოგიებით ამ ადგილის მოჭრა და გადატანა ბოლნისში, სადაც აშენდება მუზეუმი. ყველა არტეფაქტი, რაც ამ ტერიტორიაზე იქნება მოპოვებული, მუზეუმში განთავსდება. ამ პროცესში ჩართულები არიან როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტები. რაც შეეხება იმას, რომ ოქროს მოპოვების პროცესში გარემო იწამლება, გარემოს დაცვის სამინისტრომ უნდა დადოს დასკვნა და ამის შემდეგ უნდა განხორციელდეს უკვე სხვა ღონისძიებები, რაც გარემოს დაცვისათვის იქნება აუცილებელი, ეს იქნება ფილტრები თუ სხვა რამ“, — აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

მწვავე კითხვები დაისვა ასევე ხაიშის მოსახელობის მოთხოვნისა და ხუდონჰესის აშენების შესახებაც. ამ საკითხით დაინტერესდა სტუდენტი სალომე ჭანტურიძე. „ხაიშელი მოსახლეობის სურვილია, თქვენ ჩახვიდეთ ხაიშში და შეხვდეთ მათ. არა ვარ ჰესების სპეციალისტი და არ ვიცი რას მოგვცემს ეს მშენებლობა, თუმცა ვარ ხელოვნებათმცოდნე და ვიცი, რომ სვანეთში გიგანტური ჰესის აშენებით მივიღებთ დიდ პრობლემებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით. ასევე ამ ხალხის გადმოსახლებით გაქრება დიალექტი, ისევე როგორც არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. ჰესის აშენებით მოიმატებს ტენიანობა, რაც გაანადგურებს ფრესკებს და სხვა კულტურულ ძეგლებს“, — განაცხადა სალომე ჭანტურიძემ.

მის მოსაზრებას, ხუდონჰესის აშენების შემთხვევაში, სვანეთის კულტურული ძეგლების განადგურების თაობაზე, არ დაეთანხმა პრემიერ-მინისტრი. „სვანურ კულტურას არავითარი საფრთხე არ ემუქრება. მე ვარ ერთ-ერთი პირველი დამცველი საქართველოს კულტურული მრავალფეროვნებისა. სხვა საკითხია, რომ ამ კულტურას მოვლა სჭირდება და ამ საკითხით ჩვენ დაინტერესებულნი ვართ. რაც შეეხება მოქალაქეებს, ჩვენ ყველას აზრი და პოზიცია უნდა დავიცვათ. ჩვენი ხელისუფლება არასოდეს გადადგამს მოქალაქეთა სურვილის საწინააღმდეგო ნაბიჯებს, თუმცა მათ სწორად უნდა ავუხსნათ, რას ნიშნავს ხუდონჰესის აშენება ჩვენი ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობისთვის და სვანეთისთვის. თუ ამ ყველაფრის ახსნის შემდეგ მათ ექნებათ მყარი არგუმენტები, მე მას აუცილებლად გავითვალისწინებ. მოგიწოდებთ, რომ დასკვნები გავაკეთოთ კვლევებზე დაყრდნობით“, — მიმართა სტუდენტებს ირაკლი ღარიბაშვილმა.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტმა თეკლა ჯამრულიძემ რეგიონებში უმაღლესი სასწავლებლების და კვლევითი ცენტრების ხელშეწყობის საკითხი დასვა. პრემიერ-მინისტრი დაეთანხმა მოსაზრებას, რომ რეგიონებს მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს და განაცხადა, რომ ამ მიზნით იგი აპრილის თვეში იწყებს ტურს და ყველა რაიონში თავად გაეცნობა იქ არსებულ პრობლემებს. „გარდა ამისა, ეკონომიკის სამინისტრო აანალიზებს, რომელ რეგიონში რა დარგი შეიძლება განვითარდეს. მათ უნდა შევუქმნათ სათანადო პირობები, რათა ან კვლევა აწარმოონ, ან პროდუქცია შექმნან“, — აღნიშნა მან.

შეხვედრაზე ასევე დაისვა კითხვები არაქართულენოვანი მოსახლეობისთვის ქართული ენის სწავლების აუცილებლობის შესახებ; ასევე ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შემოღების შემდეგ კანონებში გარკვეული ცვლილებების შემოღების აუცილებლობის თაობაზე, რათა საქართველომ, მაღალი სტანდარტების კონკურენტუნარიანი წარმოების შედეგად, საერთაშორისო ბაზარზე შეძლოს პროდუქციის გატანა.

შეხვედრა დასრულდა პრემიერის პირობით, რომ იგი კვლავ შეხვდება უნივერსიტეტის სტუდენტებს და უკვე გაკეთებულ საქმეებზე ისაუბრებს.

მოამზადა **ᲛᲐᲘᲐ ᲢᲝᲠᲐᲫᲔ**

ᲡᲘᲐᲮᲚᲔ

ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲡ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲓᲔᲙᲐᲜᲘ ᲰᲧᲐᲕᲡ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს არჩეული დეკანი ჰყავს — თეიმურაზ ბერიძე, რომელიც თსუ-ში მოღვაწეობას უდიდეს პასუხისმგებლობად თვლის და რომლის საქმიანობის სტრატეგიული მიზანია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის შინაარსი და ფორმები მაქსიმალურად მიუახლოვდეს საერთაშორისო სტანდარტებს. ამისათვის კი საჭიროა სასწავლო პროგრამების სრულყოფა, თითოეული საგნის აქტუალიზაცია და ინფორმაციის წვდომა სტუდენტებისთვის.

დეკანის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ ერთი კანდიდატი დარეგისტრირდა და ფაკულტეტის საბჭოს წევრებმა, 27 თებერვალს, თსუ-ის ასოცირებული პროფესორი თეიმურაზ ბერიძე ფაკულტეტის დეკანად ერთხმად აირჩიეს. იგი ფაკულტეტს შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში უხელმძღვანელებს.

ბატონმა თეიმურაზ ბერიძემ მადლობა გადაუხადა კოლეგებს ნდობისა და დაფასებისათვის და აღნიშნა, რომ მისი საქმიანობის მთავარი მიზანი ფაკულტეტის რეალური განვითარება და კოლეგების, მეცნიერების საინტერესო ინიციატივების გაზიარება და მხარდაჭერა იქნება: „საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა მორიგი გამოწვევა იყო ფაკულტეტისთვის, რომელმაც მოითხოვა საუნივერსიტეტო ეკონომიკური განათლების შინაარსის კარდინალური განახლება. ფაკულტეტის მოდერნიზაციის ამოცანები ჯერ კიდევ სრულად არ არის მიღწეული, რაც მისი განვითარების კონცეფციის, სტრატეგიისა და სამოქმედო პროგრამის შემუშავებას მოითხოვს. იმედი მაქვს, ფაკულტეტის განვითარების ჩემეული გეგმა ნაყოფიერი იქნება“, — აღნიშნა მან.

ბატონ თეიმურაზთან საუბარში გამოიკვეთა, რომ იგი იმედებს გუნდური მუშაობის პრინციპებზე ამყარებს და მიაჩნია, რომ ფაკულტეტს დიდი პოტენციალი და რესურსები აქვს, რათა შრომის საერთაშორისო და შიდა ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური სპეციალისტები მოამზადოს და ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს.

თუ თვალს გადავავლებთ ბატონ თეიმურაზ ბერიძის მიერ წარმოდგენილ თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის განვითარების კონცეფციას, მასში გაწერილია ფაკულტეტის განვითარების გეგმა, რომელმაც სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის სამი ეტაპი უნდა მოიცვას. მოკლევადიან პერიოდში მოხდება ფაკულტეტის სამართლებრივ-ნორმატიული რეგულაციების არსებულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა, ფაკულტეტის სტრუქტურის ოპტიმიზაცია, სასწავლო და სამეცნიერო პროგრამების სრულყოფა, შესაბამისი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა. საშუალო ვადიან პერიოდში განსაზღვრულია სწავლების ხარისხის თვისობრივი გაუმჯობესება, ხოლო გრძელვადიან პერიოდში — მსოფლიო სასწავლო-სამეცნიერო სივრცეში კონკურენტუნარიანობის მიღწევა.

მოამზადა **ᲗᲐᲛᲐᲠ ᲓᲐᲓᲘᲐᲜᲛᲐ**

INFO ქრონიკა

ზამთრის სკოლა

18-24 თებერვალს ბაკურიანში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტისა და მაინის ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის ემპირიული ენათმეცნიერების ინსტიტუტის ერთობლივი ორგანიზებით ჩატარდა ზამთრის სკოლა თემაზე: „დიგიტალური ჰუმანიტარია – ქართველოლოგია და XXI საუკუნის გამოწვევები“. პროექტი დაფინანსდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამის „ზამთრის სკოლების დაფინანსების ქვეპროგრამის“ ფარგლებში.

ბაკურიანის ზამთრის სკოლა 1 მარტს საზეიმო დახურვით დასრულდა, სადაც პროექტის ხელმძღვანელებმა შეაჯამეს მუშაობის შედეგები, სტუდენტებმა კი წარმოადგინეს თემები, რომლებიც მათ ლექციების მოსმენის შემდეგ უნდა შეესრულებინათ.

როგორც პროექტის ხელმძღვანელებმა ღონისძიებაზე აღნიშნეს, „ბაკურიანის ზამთრის სკოლის“ ფარგლებში მონაწილეები გაეცნენ ქართული ენის კორპუსის შექმნის მეთოდოლოგიურ პრინციპებს, კორპუსზე ორიენტირებული კვლევების თეორიულ საფუძვლებს და აითვისეს დიგიტალური კვლევის პრაქტიკული უნარ-ჩვევები. აგრეთვე, გაეცნენ ონლაინ სწავლების ინოვაციური სისტემის OLAT-ის (OLAT – Online Learning And Training) შესაძლებლობებს და ქართველოლოგიაში თანამედროვე ტექნოლოგიური ელექტრონული სასწავლო გარემოს შესაქმნელად სწავლების ახალ ფორმატს eLecture-ს (ელექტრონული ლექციები).

მათივე ინფორმაციით, ბაკურიანის ზამთრის სკოლაში მონაწილეობა 34 სტუდენტმა მიიღო. თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტების გარდა, პროექტში ჩართულები იყვნენ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს უნივერსიტეტისა და თავისუფალი უნივერსიტეტის სტუდენტებიც. აღსანიშნავია, რომ ლექციებს კითხულობდნენ მაინის ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორები: იოსტ გიპერტი, მანანა თანდაშვილი, ზაქარია ფურცხვანიძე, ლელა ციხელაშვილი, ნინო შარაშენიძე, თინათინ მარგალიტაძე, მარინე ბერიძე და ქეთევან გოჩიტაშვილი.

„ბაკურიანის ზამთრის სკოლა“, რომელიც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დააფინანსა, ერთერთი მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტია იმ თვალსაზრისით, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების გარეშე დღეს წარმოუდგენელია ნებისმიერი სფეროს განვითარება, მათ შორის, ლინგვისტიკის დარგში. ჩვენმა სტუდენტებმა ძალიან კარგად წარმოაჩინეს თავიანთი შესაძლებლობები და შეასრულეს ყველა ის დავალება, რაც მათ ამ სკოლაში ჩატარებული ლექციების მოსმენის შემდეგ მიიღეს. მნიშვნელოვანია, თსუ-ის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება პროექტის გაგრძელების თაობაზე. მომავალში ჩვენი სურვილია, „ბაკურიანის ზამთრის სკოლის“ ბაზაზე და ახალ კვლევებზე დაყრდნობით შეიქმნას სტუდენტთა სამეცნიერო წრე, რომელშიც გაერთიანდებიან ამ საკითხებით დაინტერესებული ახალგაზრდები“, — განაცხადა თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა და პროექტის ხელმძღვანელმა დარეჯან თვალთვაძემ.

ზამთრის სკოლის მონაწილეებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი ლადო პაპავა მიესალმა და პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა: „ამ პროექტის განსაკუთრებულობა იმაშიც გამოიხატება, რომ მასში, თსუ-ის გარდა, აქტიურად ჩაერთვნენ სხვა უნივერსიტეტების სტუდენტებიც, სასურველია, მსგავსი პროექტი მომავალშიც განხორციელდეს და კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტების რიცხვი გაიზრდება. მისასალმებელია, რომ ამ სტუდენტებმა ზამთრის არდადეგების დროს დასვენების ასეთი ფორმა აირჩიეს. მინდა, ყველა მონაწილეს მადლობა გადავუხადო და წარმატება ვუსურვო. დარწმუნებული ვარ, ეს გამოცდილება მომავალშიც გამოადგებათ“, — აღნიშნა ლადო პაპავამ.

„პროექტმა სტუდენტებს დიდი გამოცდილება შეგვმატა. ჩვენთვის, როგორც XXI საუკუნის დიგიტალური, „ციფრული ეპოქის შვილებისთვის“, უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანი იყო ქართული ენის კორპუსის შექმნის მეთოდოლოგიური პრინციპების გაცნობა, კორპუსზე ორიენტირებული კვლევების თეორიული საფუძვლების ათვისება და დიგიტალური კვლევის პრაქტიკული უნარ-ჩვევების ათვისება. მადლობას ვუხდით ბაკურიანის ზამთრის სკოლაში მონაწილე პროფესორებს, რომლებმაც თავიანთი სალექციო კურსებით გაამდიდრეს ჩვენი თეორიული ცოდნა და დაგვისახეს გზები მომავალი სამეცნიერო მუშაობისთვის. მოხარულები ვართ, რომ სკოლის დასრულების შემდეგ მოგვეცა შესაძლებლობა და შეძენილი ცოდნა გავიმყარეთ სხვადასხვა ტიპის კორპუსზე პრაქტიკული მუშაობით, რაც წარმოვადგინეთ ჯგუფური პრეზენტაციების სახით“, — განაცხადა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველური ენათმეცნიერების მაგისტრანტმა მაგული ღამბაშიძემ.

ღონისძიებაზე სტუდენტებს სერტიფიკატები გადაეცათ. უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ლადო პაპავამ, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა დარეჯან თვალთვაძემ და მაინის ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქალბატონმა მანანა თანდაშვილმა აქტიური სტუდენტები სხვადასხვა სამეცნიერო გამოცემებით დააჯილდოვეს.

შურთხია ბერეშვილი

სემინარი თსუ-ში კონფლიქტის პრევენციის და მოგვარების საკითხებზე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კონფლიქტის ანალიზის და მართვის ინსტიტუტმა თავდაცვის სამინისტროს საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების ცენტრის მსმენელებისათვის გამართა სემინარი კონფლიქტის პრევენციის და მოგვარების საკითხებზე. სემინარი ჩაატარეს თსუ-ის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორებმა: ნოდარ ბელქანიამ და გუგული მაღრაძემ. სემინარზე განხილული იყო კონფლიქტის წარმოშობის მექანიზმები, კონფლიქტის ესკალაციისა და დეესკალაციის ხელშემწყობი ფაქტორები, კონფლიქტის პრევენციის და ტრანსფორმაციის სხვადასხვა მეთოდები.

თსუ-ის პროფესორის, პარლამენტის წევრის გუგული მაღრაძის განცხადებით, „მსგავსი სემინარები საშუალებას აძლევს სამხედროებს უფრო კარგად გააცნობიერონ ის სიტუაციები, რომელშიც შეიძლება ისინი მოხვდნენ, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ; იცოდნენ კონფლიქტის წარმოშობის მიზეზები — როგორ აუარონ გვერდი კონფლიქტის ესკალაციას, მოახდინონ კონფლიქტის დეესკალაცია. ჩვენ განვიხილავთ ისეთ ფაქტორებს, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის გაღვივებას და ფაქტორებს, რომელიც ხელს უწყობს კონფლიქტის შემცირებას. ამასთან, ეს ჩვენთვისაც ძალიან სასარგებლოა — კონკრეტული პრაქტიკული შემთხვევების ანალიზით გავამდიდრებთ ჩვენ თეორიულ ცოდნას. ამასთან ერთად, ჩვენი მიმართულების მაგისტრებსა და მომავალ მსმენელებს შორის დამყარდება ძალიან მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები; ისინი ერთად გამართავენ დისკუსიებს, შეხვედრებს სხვადასხვა აქტუალურ საკითხებზე.“

„გარდა იმ განათლებისა და პრაქტიკული გამოცდილებისა, რომელსაც სერჟანტები ღებულობენ სამხედრო სამსახურში, აუცილებელია, რომ ჰქონდეთ თეორიული ცოდნაც — ურთიერთობა უნივერსიტეტთან, სხვადასხვა სასწავლებლებთან. ამ ადამიანებს გამოცდილება მიღებული აქვთ ერაყში, ავღანეთში, კოსოვოში და საინტერესოა მათი პრაქტიკული ცოდნის კავშირი იმ საკითხებთან, რომელსაც უნივერსიტეტის სტუდენტები თეორიულად სწავლობენ. ამდენად, ვფიქრობ, მსგავსი სემინარები საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება ორივე მხარისთვის“, — აღნიშნა თავდაცვის სამინისტროს საქართველოს ეროვნული გმირის გიორგი ანწუხელიძის სახელობის სერჟანტთა მომზადების ცენტრის მეთაურმა, მაიორმა ლაშა დავითაძემ.

სემინარის ბოლოს გაიმართა დისკუსია კონფლიქტის ანალიზის და მართვის მიმართულების მაგისტრების და სერჟანტთა სკოლის მსმენელების მონაწილეობით.

სემინარში სერჟანტთა სკოლის 45 მსმენელი მონაწილეობდა. თავდაცვის სამინისტროსთან მსგავსი ტიპის ურთიერთთანამშრომლობა სისტემატური ხასიათის იქნება და სემინარები ჩატარდება თავდაცვის სამინისტროს სხვა სტრუქტურებისათვისაც.

მემორანდუმი სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროსთან

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს შორის სასწავლო კლინიკის შექმნის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმის ფარგლებში იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრატურის სტუდენტები სწავლების პრაქტიკულ კურსს გაივლიან საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს სხვადასხვა სამსახურში.

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანის ირაკლი ბურდულის განცხადებით, „მემორანდუმის თანახმად, სამინისტროს ბაზაზე ჩამოყალიბდება სასწავლო კლინიკა. ეს ჩვენს სტუდენტებს მისცემს საშუალებას დაეუფლონ იმ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს, რაც საჭიროა ამ სფეროში სამუშოდ. მემორანდუმი მნიშვნელოვანია სტუდენტთა შემდგომი დასაქმების თვალსაზრისითაც და ძალიან მნიშვნელოვანია სამინისტროსთვისაც. ასეთი ურთიერთობა ხელს უწყობს სამინისტროს ტრანსპარენტულობას და ის კითხვები, რომელიც, შესაძლოა, არსებობს საზოგადოებაში, პასუხის გარეშე არ დარჩება“.

„თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტთან გაფორმებული მემორანდუმი ხელს შეუწყობს სტუდენტთა ჩართვას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის სხვადასხვა სტრუქტურების მუშაობაში. მათ საშუალება ექნებათ უშუალოდ ნახონ, რა სამუშოს ასრულებს სამინისტრო; მიიღონ მეტი ცოდნა და გამოცდილება. ეს კი ხელს შეუწყობს და წაადგება დღევანდელი სტუდენტების მომავალში პროფესიონალად ჩამოყალიბებას“, — აღნიშნა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მოადგილემ გრიგოლ გიორგაძემ.

თანამშრომლობის მემორანდუმი ჟურნალისტური ეთიკის ქარტიასთან

5 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. ხელშეკრულებას თსუ-ის რექტორმა, აკადემიკოსმა ვლადიმერ პაპავამ და ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელმა დირექტორმა თამარ რუხაძემ მოაწერეს ხელი.

მემორანდუმის ფარგლებში, უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების სტუდენტები თეორიულ ცოდნას და პრაქტიკულ გამოცდილებას გაიღრმავებენ. მომავალ ჟურნალისტებს შესაძლებლობა ექნებათ ჩაერთონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქარტიის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში, მიიღონ ნებისმიერი კონსულტაცია და დახმარება ქარტიის მანდატისა და უფლებამოსილების ფარგლებში. უნივერსიტეტი, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სტუდენტებისა და ქარტიის თანამშრომლობას, შეხვედრებს, დისკუსიებს.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲘ�გᲜᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ

თსუ-ის იურიდიულმა ფაკულტეტმა შრომის სამართლის სტატიათა კრებულის მეორე წიგნი გამოსცა. კრებულში შესულ სტატიებში საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში შრომითი ურთიერთობებისას წარმოქმნილი პრობლემები, შრომის კოდექსში არსებული ხარვეზები და 2013 წელს განხორციელებული შრომის სამართლის რეფორმის შედეგებია გამოკვლეული. აღნიშნული საკითხები 9 კონკრეტული მიმართულებით არის გაანალიზებული და ევროპული გამოცდილებაც გათვალისწინებულია. ეს მიმართულებებია: „შრომითი დისკრიმინაციის შესახებ დავის განხილვის თავისებურებანი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2010 წლის 19 ოქტომბრის ას-549-517-2010 განჩინების მაგალითზე“ (ავტორი — ზაქარია შველიძე); „ადმინისტრაციულ ორგანოსა და დასაქმებულს შორის შრომითი ურთიერთობის მოწესრიგების თავისებურებანი“ (უჩა ძიმისტარიშვილი); „შრომის ხელშეკრულებაში სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი“ (თათია კერესელიძე); „სამუშაო დროის თავისებურებანი საქართველოს შრომის კოდექსის მიხედვით (შედარება გერმანიის შრომის სამართალთან)“ (მარიამ ბაჯიაშვილი); ზეგანაკვეთური სამუშაოს რეგულირება ქართული და გერმანული სამართლის მიხედვით“ (სალომე ქავთარაძე); „კონკურენციის აკრძალვა შრომითი ურთიერთობის დასრულების შემდგომ“ (თამთა ბერიკელაშვილი); დასაქმებულის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მესამე პირისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თავისებურება“ (გიორგი ამირანაშვილი); „დამსაქმებლის პასუხისმგებლობა დასაქმებულს მიერ მიყენებული ზიანისთვის“ (თამარ შუდრა); „დასაქმებულის დაცვა უცხოური ელემენტის მონაწილეობით გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებაში“ (სალომე ფრუიძე); კრებულში წარმოდგენილი სტატიების ავტორები, ახალგაზრდა მკვლევრები, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტები არიან. ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის რეკომენდაციით, მათი ნამუშევრების გაცნობა-გამოყენება მნიშვნელოვანია როგორც სტუდენტებისთვის და პროფესორებისთვის, ასევე, მართლმსაჯულების სისტემაში დასაქმებული პრაქტიკოსი იურისტებისთვის.

„შრომის სამართლის კრებულის მეორე წიგნის გამოცემა მნიშვნელოვანი და დროულია, რადგან სამართლის ეს დარგი მეტად დინამიკურ ხასიათს ატარებს. საქართველოს შრომის კოდექსში, მისი მიღების დღიდან, ძალიან ბევრი ცვლილება განხორციელდა. რადიკალური ცვლილებები კი 2013 წელს შევიდა, როდესაც ხელისუფლებამ შრომის სამართლის რეფორმა დაიწყო. ეს კრებული სწორედ იმ აქტუალურ საკითხებს ეხმაურება, რომლებიც ამ საკანონმდებლო აქტშია ასახული. პრობლემები გაანალიზებულია თეორიულად და პრაქტიკული მაგალითებიც არის მოცემული“, — განაცხადა თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა ირაკლი ბურდულმა.

„საქართველოში შრომის სამართალი დღემდე ყველაზე განუვითარებელი დარგია. თუ გადავხედავთ ისტორიას, საბჭოთა პერიოდშიც კი, რაიმე სერიოზული კვლევა არ დადებულა. შრომის სამართლის კრებულები, რომლებიც ჩვენი ახალგაზრდა მკვლევრების ავტორობით გამოიცა, პირველი ნაბიჯებია. ამ მიმართულებით ქართულ სინამდვილეში უკეთესი ნაშრომები არ გამოქვეყნებულა. ყველაზე მისასალმებელია, რომ ამ მნიშვნელოვან საქმეს ჩვენი დოქტორანტები აკეთებენ“, — აღნიშნა კრებულის რედაქტორმა, თსუ-ის პროფესორმა ბესარიონ ზოიძემ.

ქართული შრომის სამართლის კვლევის პროექტის (რომლის ფარგლებშიც შრომის სამართლის კრებულების გამოცემა მიმდინარეობს) ერთ-ერთი ინიციატორი და კოორდინატორი თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, მოწვეული ლექტორი გიორგი ამირანაშვილი გახლავთ. აღნიშნული პროექტის განხორციელების მთავარი მიზანი, შრომის კოდექსში შეტანილი ცვლილებების პარალელურად, აქტიური სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების წარმოებაა. კვლევის დანიშნულება კი, შრომის სამართლის დარგის განვითარება და,შესაბამისად, სტუდენტებისა და პროფესურისთვის სასწავლო მასალის შეთავაზება გახლავთ. კვლევის ადრესატები მართლმსაჯულების სისტემაში დასაქმებული პრაქტიკოსი იურისტებიც არიან, რომლებსაც უშუალოდ უწევთ შეხება შრომითი ურთიერთობების რეგულაციის პროცესებთან.

„შრომის სამართლის პირველი წიგნის წარდგენა 2011 წლის ნოემბერში გვქონდა. ეს დიდი მოვლენა იყო მაშინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით. კერძოდ, 2006 წლიდან მოყოლებული, როდესაც საქართველოში ახალი კოდექსი შევიდა ძალაში, ეს სფერო ყოველგვარი თეორიული საფუძვლის გარეშე ცდილობდა გზის გაკვალვას. იგივე ითქმის მის სწავლებასთან დაკავშირებითაც. დიდი ხნის მანძილზე შრომის სამართალი, როგორც სავალდებულო დისციპლინა, ჩვენს უნივერსიტეტში ისე იკითხებოდა, რომ პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს კოდექსისა და თითო-ოროლა სტატიის გარდა, სხვა სახელმძღვანელო მასალა არ გააჩნდათ. პირველი წიგნის გამოცემის ამბიციური მიზანიც, სწორედ ამ ვაკუუმის შევსება იყო.

თავიდანვე ითქვა უარი კომენტარებზე და არჩევანი შეჩერდა სტატიებზე, რაც გამოწვეული იყო შრომის კანონმდებლობის არასტაბილურობით. ამასთანავე, კრებულში არც ამჯერად დაირღვა ტრადიცია და მასში, სტანდარტული სტატიების გვერდით, კვლავაც მოთავსებულია ის სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც ბოლო წლებში წარმატებით დაიცვეს ჩვენ ფაკულტეტზე“, — განაცხადა პროექტის კოორდინატორმა, თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტმა გიორგი ამირანაშვილმა.

ამ დროისთვის უკვე დაწყებულია შრომის სამართლის სტატიათა კრებულის მომდევნო ნაწილზე მუშაობა. გიორგი ამირანაშვილის ინფორმაციით, ასევე იგეგმება შრომის კოდექსის მუხლობრივი კომენტარის გამოცემაც. საყურადღებო ამ წამოწყებაში სწორედ ის გახლავთ, რომ მისი ავტორები უცხოელი სპეციალისტები არიან. კერძოდ, საუბარია ჟან მონეს სახელობის იტალიის უნივერსიტეტის პროფესორებსა და ამ დარგში ერთერთ ცნობილ ბრიტანელ ექსპერტ მალკოლმ სარჯენტზე. კომენტარი ინგლისურ ენაზე შესრულდება და მას რედაქტორობას იტალიელი მეცნიერი ანდრეა ბორონი გაუწევს.

ᲜᲐᲗᲝ ᲝᲒᲝᲚᲐᲫᲔ

ᲛᲘᲚᲝᲪᲕᲐ

ᲒᲔᲚᲐ ᲛᲐᲠᲒᲕᲔᲚᲐᲜᲘ — ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲓᲐᲜ 80 ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲞᲔᲓᲐ�გᲝ�გᲘᲣᲠᲘ ᲛᲝᲦᲕᲐᲬᲔᲝᲑᲘᲡ 55 ᲬᲚᲘᲡ

Ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის, გეოგრაფიის დეპარტამენტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები გულითადად გილოცავთ ღირსშესანიშნავ თარიღს – 80 წლის იუბილეს.

პიროვნების ძირითად ღირსებად მიზანდასახულობა, შრომისმოყვარეობა, თანადგომა, ერთგულება, თავმდაბლობა, ერისა და ქვეყნის სიყვარული მიგვაჩნია და ვინც ბატონ გელას იცნობს, უთუოდ დაგვეთანხმება, რომ იგი სწორედ ამ თვისებების მატარებელია. მარადიული ჭეშმარიტებაა, რომ ადამიანის ხასიათს და პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას, ოჯახურ გარემოცვაში ეყრება საფუძველი, ამიტომ ეს ყოველივე, ბატონი გელას მშობლების დამსახურებაა.

ბატონი გელა საქართველოს ერთერთ მაღალმთიან რეგიონში — სვანეთში მესტიის რაიონის სოფელ იფრარში მრავალშვილიან ოჯახში დაიბადა. ულამაზესი და დიდებულია სვანეთი, განუმეორებელი ბუნებრივი ლანდშაფტებით, თოვლიან-მყინვარებიანი მწვერვალებით, ეგზოტიკური პეიზაჟებით და, რაც მთავარია, მშრომელი, ეროვნული სულისკვეთებით და უძველესი ტრადიციებით გამსჭვალული ადამიანებით. ალბათ, ბუნების ასეთმა სილამაზემ აღძრა მასში გეოგრაფიისადმი ინტერესი.

ბატონმა გელამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის ფიზიკური გეოგრაფიის სპეციალობის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში, შემდეგ გარკვეული წლების მანძილზე მოღვაწეობდა გორის ნ. ბარათაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში. 1976 წლიდან კი მუშაობდა თსუ-ში ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს დაცვის კათედრაზე დოცენტის თანამდებობაზე, სადაც ამჟამადაც არ გაუწყვეტია კონტაქტი და ჩართულია სასწავლო-სამეცნიერო პროცესში, რაც გამოიხატება მისი თანაავტორობით, უკანასკნელ წლებში დასტამბულ რამდენიმე სახელმძღვანელოს შედგენა-გამოცემაში, კერძოდ: „ბუნებათსარგებლობის გეოგრაფია“ და „მსოფლიოს ფიზიკურ გეოგრაფია“. 80-მდე ნაშრომის ავტორს ეკუთვნის უმაღლესი და საშუალო სკოლის რამდენიმე სახელმძღვანელო, მათ შორის: ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ ამერიკის, ავსტრალიისა და ოკეანეთის, აფრიკის, ევროპისა და აზიის ფიზიკური გეოგრაფია; მსოფლიოს ბუნებრივი პირობები და რესურსები. ასევე აღსანიშნავია აბიტურიენტთათვის და



სასკოლო სახელმძღვანელოები. ბატონი გელას სამეცნიერო ინტერესები მთიანი რეგიონების ბუნებათსარგებლობისა და გარემოს დაცვის საკითხებს ეხება. საკანდიდატო დისერტაცია კი „მდ. ყვირილას აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიულ დახასიათებას“ მიუძღვნა. ასევე აღსანიშნავია ბატონი გელას წვლილი ქართული ენციკლოპედიის — ტერმინების და ცალკეული რეგიონების დახასიათებაში.

ბატონი გელა სამეცნიერო პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, წარმატებით ასრულებდა გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის დეკანის მოადგილის მოვალეობას.

ბატონი გელას მეუღლე ქალბატონი ნაზი ოდიშარია, მრავალი სიკეთით შემკული ქალბატონია, რომლის სახითაც ბატონ გელას ერთგული, გამგებიანი და მუდამ მხარში მდგომი მეგობარი ჰყავს, რომელსაც ლომის წილი მიუძღვის ბატონი გელას ცხოვრებაში მიღწეულ წარმატებებში. იგი ორი საამაყო ვაჟიშვილის მამაა, დათო ბიზნეს-საქმიანობით არის დაკავებული, მას წარმოშობით ჩინელი მეუღლე ჰყავს, რომელიც არ ღალატობს ჩინურ ტრადიციებს და ხუთი შვილის დედა გახლავთ. ზაზა ცნობილი ექიმი — სტომატოლოგია, იგი სამი შვილის მამაა.

გვინდა დღეგრძელობა და კვლავაც წარმატებული მოღვაწეობა ვუსურვოთ შესანიშნავ მოქალაქეს, ამაგდარ პედაგოგსა და მეცნიერს, ღირსეულ მამულიშვილს – ბატონ გელა მარგველანს.

თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის დეპარტამენტი, ბუნებათსარგებლობის გეოგრაფიის კათედრა

ქალთა დღე უნივერსიტეტში

გაზაფხულის მოსვლა, დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღე — 8 მარტი ივანე ჯავახიშვილის სახლობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მუზეუმის გალერეაში განსაკუთრებულად აღინიშნა. გამოფენამ, რომელიც თსუ-ის პედაგოგების, სტუდენტებისა და მხატვარ ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია „ფემინ არტის“ წარმომადგენლების მონაწილეობით გაიმართა, დიდი მოწონება და დაინტერესება დაიმსახურა. ქართველმა ქალმა მხატვრებმა გალერეაში 60-მდე ნამუშევარი — ფერწერა, გრაფიკა, გობელენი წარმოადგინეს. ღონისძიების ფარგლებში კი თსუ-ის ხელოვნების მიმართულების პედაგოგებმა მასტერკლასი მოაწყვეს.

როგორც გამოფენის ერთერთმა ინიციატორმა, თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სახვითი ხელოვნების მიმართულების პედაგოგმა, ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია „ფემინ არტის“ დირექტორმა, მხატვარმა ლელა გელეიშვილმა აღნიშნა, თსუ-ის მუზეუმის ორგანიზებით მოწყობილი ღონისძიება მნიშვნელოვანი იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ ასეთი მასშტაბური გამოფენა საქართველოში პირველად ჩატარდა.

„ქართველმა ქალმა მხატვრებმა კიდევ ერთხელ დაამტკიცეს, რომ მათი შემოქმედება ღირებული და საინტერესოა. მასში მონაწილეობა ყველა ჩვენგანისთვის დიდი პატივი იყო. გამოფენაზე ჟანრობრივი თვალსაზრისით სრულიად განსხვავებული ნამუშევრები იყო წარმოდგენილი: როგორც სახვითი ხელოვნების, ასევე გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშები, მათ შორის, თექა, გობელენი, მინანქარი, ბატიკა და სხვა. სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ გამოფენამ სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურა. სასურველია, რომ ამგვარი გამოფენები მომავალში უფრო ინტენსიურად გაიმართოს, რაც ხელს შეუწყობს ქართველი მხატვარი ქალების შემოქმედების პოპულარიზაციას. მით უფრო, თუ ასეთი ორგანიზაციებიც მიიღებენ მონაწილეობას, რომლებიც ქალთა უფლებების დაცვას ემსახურებიან“, — აღნიშნა ლელა გელეიშვილმა.

მისი აზრით, კარგი იქნება, თუ მომავალში მოეწყობა გამოფენა-გაყიდვა, რომელიც საქველმოქმედო მიზნებს მოხმარდება.

ფულის შოვნის 5 პოპულარული გზა სტუდენტებისთვის სახლიდან გაუსვლელად

სტუდენტობა რთულია: გადატვირთული საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ყოველდღიური მუშაობა ლექციებისთვის, სემინარებისთვის, გამოცდებისთვის, ასევე, იმის გაცნობიერება, რომ თითოეული მიღებული ქულა იმ 100-ქულიანი სისტემის ნაწილია, რომელიც ხშირად გადამწყვეტ როლს თამაშობს საგნის საბოლოო ჩაბარება/ვერჩაბარებაში.

რასაკვირველია, ეს ყველაფერი დამქანცველია და ბევრი საათის, წუთის დახარჯვას მოითხოვს. ამისდა მიუხედავად, თითოეული ჩვენგანი სტუდენტურ პერიოდს უნდა უკავშირებდეს ცხოვრების ახალ ეტაპს და იმასაც, რომ მას უკვე შეუძლია დამოუკიდებლად ეძებოს ფულის შოვნის, თვითდაფინანსების გზები, რომლებიც მას, პირველ რიგში, სტიმულს მისცემს, აგრძნობინებს, რომ უკვე აღარაა დამოკიდებული მშობლების შემოსავალზე და ძალა შესწევს საჭიროების მიხედვით განკარგოს თავისი შემოსავალი.

ინტერნეტით ფულის შოვნის პრაქტიკა (ასეთ ადამიანებს ეწოდებათ “Freelancers”) ერთერთი ყველაზე გავრცელებული და წარმატებული საშუალებაა მთელს მსოფლიოში, განსაკუთრებით იგი ყველაზე მეტადაა სასურველი და მისაღები უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის, რომლებსაც დაძაბული სასწავლო გრაფიკის გამო სახლიდან გასვლის დრო არ აქვთ.

მაგალითად, ტულანის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი ნიკ ანდერსონი წერს, რომ ინტერნეტის სწორად გამოყენებამ საშუალება მისცა, შემოსავალი მიეღო სახლიდან გაუსვლელად და თან არცთუ მცირე. იგი გაზეთ „Tulane Hullabaloo”-სთან ინტერვიუში აცხადებს, რომ წერს ახალი ფილმების მიმოხილვებს, რის გამოც იგი თანამედროვე რეჟისორებისაგან თითოეულ მიმოხილვაზე 5 დოლარს იღებს. ამის გარდა, ტოკიოს უნივერსიტეტის სტუდენტი ბენიტო ნაკამურა „uffingtonpost”-თან ინტერვიუში ხაზს უსვამს, რომ იგი დაკავებულია „youtube”-ზე იაპონური ენის ვიდეო–გაკვეთილების ატვირთვით და სწორედ ამის გამო კარგ შემოსავალს იღებს კომპანია “Google”-სგან.

როგორც ზემოთ აღნიშნული კონკრეტული ორი შემთხვევიდან ვიგებთ, საერთაშორისო სტუდენტთა პრაქტიკაში ინტერნეტის სწორად გამოყენება და ცოტაოდენი შემოქმედებითი უნარი ერთად ძალიან პროდუქტიულად მუშაობს. აქედან გამომდინარე, თუ ეს სისტემა მიღებულია და გამოყენებულია წამყვანი უნივერსიტეტების სტუდენტების მიერ, რატომ არ შეგვიძლია, ჩვენც აქტიურად გამოვიყენოთ? სწორედ ამ პრაქტიკის დანერგვის მიზნით, სახლიდან გაუსვლელად ფულის საშოვნელად დაგისახელებთ 5 საუკეთესო საშუალებას, 5 საუკეთესო ინტერნეტ-საიტს.

1) **FIVERR.COM**

ვთქვათ, ამ საიტის მომხმარებელი არის ქალბატონი, რომელსაც, მაგალითად, მერილინ მონროს გარეგნობა აქვს და 5 დოლარად თანახმაა ცნობილი სიმღერა — „Happy Birthday Mr.President“ შეგისრულოთ. ან ადამიანი, რომელიც 5 დოლარად გიხატავთ და გიგზავნით თქვენს პორტრეტს, ასევე, გიქმნით ვებ-გვერდს, ზურგზე იხატავს თქვენს სახეს, გასწავლით ინსტრუმენტზე დაკვრას და ა.შ. ვებ-გვერდის მომხმარებლები და დამქირავებლები გაწეული სამსახურისთვის, კრეატიულობისთვის გვიხდიან თანხას.

2) **CLICKBANK.COM**

საქართველოში სტუდენტები ხშირად ქმნიან ბლოგებს გასართობად ან საკუთარი აზრის გადმოსაცემად. ეს საიტი საშუალებას მისცემს მათ, რომ სწორედ ბლოგერობითა და იმ საქმით, რომელიც მათ მოსწონთ, იშოვონ ფული. კერძოდ, ირჩევენ პერსპექტიულად გასაყიდ პროდუქტებს და მათ აქვეყნებენ საკუთარ ბლოგებზე, რომლის რეალიზაციის შემთხვევაში ვებ-გვერდიდან იღებენ საკმაოდ სერიოზულ სარგებელს.

3) **INFOLINKS.COM**

ეს კომპანია უხდის თანხას დაახლოებით 128 ქვეყნის წარმომადგენელ სტუდენტს მხოლოდ იმიტომ, რომ ახალგაზრდები წერენ თავიან საყვარელ თემაზე, საგანზე და, ამავდროულად, მარტივად ამატებენ ბანერს, ტექსტ-განცხადებებს საკუთარ პოსტებში.

4) **Youtube Partnership**

პოპულარული ვიდეო-პორტალ „Youtube“-ის ეს პროგრამა საშუალებას გვაძლევს, მივიღოთ სარგებელი შემდეგნაირად: ჩვენ ვტვირთავთ ორიგინალურ ვიდეოებს ამ ყველასათვის ცნობილ პორტალზე (მაგალითად, ქართული ენის ვიდეო-გაკვეთილებს) და „Youtube“ ამის სანაცვლოდ ჩვენს ვიდეოებზე ფასიან ტექსტურ განცხადებებს აქვეყნებს, რაც მეტი იქნება მისი მნახველი, იმდენად მეტ ფულად სარგებელს მივიღებთ.

5) **FREELANCER.COM**

ვებ-გვერდი, სადაც უამრავი დამქირავებელია. ისინი ეძებენ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ, მაგალითად, ტექსტის თარგმნა, პოსტების წერა, გვერდების დიზაინი, საოფისე პროგრამებთან დაკავშირებული დავალებები და ა.შ. ხოლო ამის სანაცვლოდ უხდიან ფულს.

რასაკვირველია, ზემოთ ჩამოთვლილი ვებ-გვერდების მოხმარებისთვის სტუდენტებს მოგვეთხოვება მინიმუმ საშუალო დონეზე ინგლისურის ცოდნა, რათა ჩავწვდეთ მათ დანიშნულებებს, მისი გამოყენების წესებს უფრო ვრცლად. ამ საკითხების ათვისება გაგვხდის იმ საერთაშორისო სტუდენტური პრაქტიკის ნაწილად, რომელიც რეალურად არსებობს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

აკაკი გუმბერიძე,
თსუ-ის ეკონომიკის ფაკულტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულების I კურსის სტუდენტი

მთავარი რედაქტორი **ნინო კაკულია**
მთავარი სპეციალისტი **მაია ტორაძე**
ტექნიკური რედაქტორი **მანანა ჯურხაძე**
ფოტოკორესპონდენტი **ანა ბოლქვაძე**
კომპ. უზრუნველყოფა **ზაზა გულაშვილი**

რედკოლეგიის წევრები:
რისმაგ გორდეზიანი, იაგო კაჭკაჭიშვილი, ნოდარ ხადური, ელენე ხარაბაძე, მანანა შამილიშვილი, თემურ ნადარეიშვილი, ლადო მინაშვილი, მორის შალიკაშვილი, ნინო ჩიხლაძე, დიანა ძიძიგური, არსენ გვენეტაძე, პაატა ტურავა

მისამართი:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 11ª
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
tsunewspaper@tsu.ge
2 22 36 62